

დავა "საერთო სამეზობლოზე" A5



"თბილგაზიდან" საგარეო პოლიტიკაში A6



30 ათასი თანამედროვე აზროვნებისთვის B3


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 6 აპრილი, 2005 წელი. №77 (937)

ფასი 50 თეთრი

## საზოგადოება

"კონსერვატორები" მერის პირდაპირი არჩევნებისთვის იბრძვიან



მალე "კონსერვატორები" ჩვეულ საქმიანობას გაიხსენებენ და ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებენ. ამჯერად, მათი აქციის მიზანი პლებისციტის გამართვაა. გამოკითხვა თბილისში უნდა ჩატარდეს და დედაქალაქის მოსახლეობამ პასუხი ერთადერთ კითხვას უნდა გასცეს: როგორ სურს მას მერის არჩევა - პირდაპირი თუ ირიბი გზით.

A4


იურიდიული ოფისი „გაპი“ და გაზეთი „24 საათი“

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7


**მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

**ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.**

## ამინდი

| | 6/4 | 7/4 | 8/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 20 | 20 |
| ქუთაისი | 16 | 19 | 23 |
| ბათუმი | 15 | 16 | 22 |
| სოხუმი | 16 | 18 | 22 |
| ფოთი | 17 | 19 | 23 |
| თელავი | 14 | 19 | 19 |
| ზუგდიდი | 17 | 19 | 23 |
| გორი | 10 | 12 | 17 |
| ახმეტა | 15 | 19 | 20 |
| ჭიათურა | 12 | 14 | 19 |
| გაგრა | 16 | 18 | 19 |
| სამტრედია | 17 | 19 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8375 |
| ევრო | 2.3555 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4462 |
| რუბლი | 0.0658 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ჯარში ყველა დაცულია

ასეთია პრეზიდენტის პასუხი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეშფოთებულ განცხადებებზე

ვერიკო თევზაძე

**"ყველამ უნდა იცოდეს, რომ მისი ოჯახის წევრი, მეუღლე, ცოლი (აქ ქალებიც არიან), ქალიშვილი ჯარში არის ბოლომდე დაცული, ჩაცმული, კარგი კვების და მოვლის პირობებში. და ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ დაცულები ასეთი ჯარის პირობებში,"** - პრეზიდენტმა სააკაშვილმა კრწანისის სასწავლო პოლიგონზე ეს განცხადება გუშინ გააკეთა, ანუ ერთი დღის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო გამოსვლიდან, რომელიც ქართულ არმიაში და თავდაცვის სისტემაში შექმნილ, მათი აზრით, უკიდურესად შემაშფოთებელ ვითარებას ეხებოდა. სხვათა შორის, 4 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმის იმედიც გამოთქვეს, რომ არსებულ პრობლემებზე სამოქალაქოებსა და სამხედროებს შორის დიალოგი დაიწყებოდა.

პრეზიდენტმა დაათვალიერა სასწავლო ცენტრი, ადგილობრივი მეთაურებისგან მოისმინა ინფორმაცია ჯარისკაცების მომზადების და ყოფა-ცხოვრების შესახებ. პრეზიდენტს თან ახლდნენ თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრები. მიხეილ სააკაშვილმა, ირაკლი ოქრუაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა გუშინ ერთად ისადილეს და ჯარისკაცების ულუფას გაუსინჯეს გემო.

ჟურნალისტებთან ინტერვიუსას ჯარისკაცები აცხადებდნენ, რომ ისინი კარგ პირობებში იმყოფებიან. შეკითხვაზე - რატომ გადაწყვიტეს ჯარში წასვლა? - პასუხი ასეთი იყო: **"საქართველოს გულისთვის."** ჯარისკაცების დიდი ნაწილი ჟურნალისტების კითხვებს დუმილით პასუხობდა, თუმცა, სამწყობრო ვარჯიშისას ყველა მათგანი ომახიანად მღეროდა: **"ჩვენ გავიტანთ მალე ლელოს... თავისუფალს მალე ვნახავთ საქართველოს!"**

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებს და ბაზების საკითხს წარმატებით გადაწყვეტს. **"რამდენიც არ უნდა იხტუნაონ ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმა, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ, ვერაფერს ეღირსებიან, ჩვენ ამ საკითხს მაინც გადავწყვეტთ!"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.



ქართულ ჯარში პრეზიდენტი პრობლემებს ვერ ხედავს.

# ხელისუფლება უპირობო ნდობას ითხოვს

საზოგადოებას კი კითხვები აწუხებს

მაია ჭალაგანიძე

*თინა ხიდაშელი უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებებს უსვამს შეკითხვებს და, როგორც ჩანს, პასუხებს ვერ იღებს, რადგან ქვემორე ინტერვიუ პათოსით და ტონით დიდად არ განსხვავდება იმ ინტერვიუებისგან, რომელსაც შევარდნაძის ხელისუფლების დროს გვაძლევდა. როგორც თავად ამბობს, მთელი ამ ხნის განმავლობაში ამგვარი პათოსი რევოლუციიდან მხოლოდ 2-3 თვის განმავლობაში განელდა და ისიც იმიტომ, რომ ხელისუფლების მსგავს პასუხისმგებლობას გრძნობდა რევოლუციისთვის. ეს 2-3 თვე გავიდა და, სამწუხაროდ, კითხვის ნიშნები ისევ დაისვა. დღეისთვის სახეზეა რამდენიმე სახელისუფლებო სკანდალი - დიზელი, სატელეფონო მოსმენები, ჯარისკაცის ბედი ქართულ ჯარში. გუშინ საღამოს ამას დაემატა თავდაცვის მინისტრის მიერ თინა ხიდაშელისა და მისი მეგობრების მიმართ წაყენებული საკმაოდ სერიოზული ბრალდებები, რომელზეც ქვემოთ ადრესატი პასუხობს. რაც შეეხება, სხვა სკანდალებს - ხელისუფლება ამაზე ამბობს, ერთი გუნდი ვართ, ეს უბრალოდ აზრთა სხვადასხვაობაა, რაც დემოკრატიული მოვლენააო. ამ ქვეყნის პოლიტიკით ოდნავ დაინტერესებული ნებისმიერი მოქალაქე გეტყვით, რომ ეს ძალაუფლების გადანაწილებაა...*

**- რა დინებებმა იჩინა თავი ხელისუფლებაში?**

- შორიდან მაყურებლისთვის განსაკუთრებით ახლაა ინფორმაცია მაქსიმალურად დახურული. საუბარი არ არის სახელისუფლებო ინტრიგებზე. ისეთი ინფორმაციის მიღებაც კი შეუძლებელია, რომელიც ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მაგალითად, ვერ გაარკვევთ, პარლამენტში როდის და რა საკომიტეტო მოსმენები ეწყობა.

გაგრძელება B1 გვერდზე



## მიმართვა

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

მივესალმებით "საქართველოს მთავრობის ინიციატივას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით." რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, დოკუმენტი უფრო ადრე ყოფილიყო შემუშავებული, რაც, ალბათ, თავიდან აგვარიდებდა კონფლიქტის ესკალაციას 2004 წლის ზაფხულში.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას ნამდვილად შეიძლება საფუძვლად დაედოს ხსენებული დოკუმენტი, თუკი იგი გაითვალისწინებს მეორე მხარის შესაძლო წინადადებებს.

ჩვენი აზრით, დოკუმენტის რეალიზაციას წინ უნდა უძღვოდეს გარკვეული ნაბიჯები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც აღადგენს დაკარგულ ნდობას, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მოპოვებულ იქნა ქართველი და ოსი ხალხების მიერ. კერძოდ:

ვფიქრობთ, ზოგი ღონისძიება, რომელსაც ითვალისწინებს "სამთავრობო ინიციატივა", უკვე მისი რეალიზაციის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს. ეს ხელს შეუწყობს, შეუქცევადი გახდეს ოს ხალხში დაწყებული უნდობლობის ლღობის პროცესი.

მხედველობაში გვაქვს შემდეგი:

ა) აუცილებელია 1990-1992 წლების შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური შეფასება საქართველოს ხელისუფლების მიერ, მით უფრო, რომ თქვენი მხრიდან ამის შესახებ გაკეთდა მნიშვნელოვანი განცხადებები. მხოლოდ ასეთი ოფიციალური შეფასებების შემდეგ შეიძლება დაიწყოს ნებისმიერი სამშვიდობო პროცესი; ამასთან ერთად, ვფიქრობთ, მკაფიო ახსნა უნდა მოეძებნოს 2004 წლის ზაფხულის მოვლენებს;

გაგრძელება A3 გვერდზე

## სიკეთე უბედურებად რომ არ გვექცეს...

გიორგი ასანიშვილი

*გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემაჯამებელი განხილვა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე რეკორდულად მოკლე დროში, სულ რაღაც საათნახევარში დასრულდა. "რა ისეთი საკომიტეტო მოსმენები გამართეთ, რომ შეკითხვები და შენიშვნები აღარ დაგრჩათ?" - დეპუტატების პასიურობის გამო გაოცება ვერ დამალა პარლამენტის თავმჯდომარემ.*

"დროის გაფრთხილების" მაგალითი პარლამენტარებს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მისცა, რომელმაც, ბიუჯეტის პროექტის პრეზენტაციისთვის, რეგლამენტით გათვალისწინებული ერთი საათის ნაცვლად, სულ რაღაც, ხუთიოდე წუთი იკმარა. მინისტრთა კაბინეტის მეთაურის გამოსვლაში მთავარი მესიჯი ის იყო, რომ მოსახლეობამ ენერგოკრიზისს, მინიმუმ, კიდევ ერთი წელი უნდა გაუძლოს.

**"ელექტროენერგიით მოსახლეობის 24-საათიანი მომარაგება 2006 წლის ბოლოსთვის იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, 2007 წლიდან ენერგეტიკის სფეროში ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც აღარ დაიხარჯება,"** - აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

მთავრობის ხელმძღვანელის მიერ ქვეყნისთვის შეთავაზებული ასეთი "გრაფიკი" კანონმდებლებს სულაც არ აღაფრთოვანებთ. ამიტომ, საპარლამენტო უმრავლესობის სახელით, მაია ნადირაძე პრემიერ-მინისტრს ალტერნატივას სთავაზობს.

**"პრობლემის მოგვარების 2006 წლის ბოლომდე გაწელვას, იქნებ, სჯობდეს, ენგურჰესის რეაბილიტაცია აღარ გადავდოთ, სადგური**

გაგრძელება A2 გვერდზე

*მოკლედ*

## ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები ჟენევაში

გაერო-ს ეგიდით 7-8 აპრილისთვის დაგეგმილ ქართულ-აფხაზურ მოპალარაკებებში მონაწილეობის მისაღებად ქართული დელეგაცია დღეს ჟენევაში მიემგზავრება.

ქართულ დელეგაციას სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ხელმძღვანელობს. სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაშია ასევე აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებში პრეზიდენტ სააკაშვილის წარმომადგენელი ირაკლი ალასანია. ჟენევის შეხვედრაში აფხაზური მხრიდან მონაწილეობას მიიღებენ თვითალიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და აფხაზური პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბესლან ბუთბა.

საქართველოში გაერო-ს სპეცწარმომადგენლის ოფისში მიღებული ინფორმაციით, ქართულ-აფხაზური შეხვედრა სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან მარი გიენოს თავმჯდომარეობით გაიმართება. ჟენევის მოლპარაკებებს გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მაღალი დონის წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

გიორგი ხაინდრავას განცხადებით, მოლაპარაკებებზე ქართული მხარე გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების უსაფრთხოების გარანტიების და ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების საკითხებს დააყენებს. გარდა ამისა, ალასანია და შამბა მიხეილ სააკაშვილისა და სერგეი ბაგაფშის შეხვედრის მომზადების საკითხებს განიხილავენ.

ხაინდრავას განცხადებით, ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ აფხაზეთში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები უფრო შედეგიანად წარიმართება. მისივე თქმით, ჟენევის შეხვედრისას გაირკვევა, რამდენად ღირებულია აფხაზური ხელისუფლებისთვის ადამიანის უფლებები და მათ დაცვასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

*ინტერ-პრესი*

## საქართველოს პრეზიდენტი რუსული თვითმფრინავის არშემოშვების გადაწყვეტილებას კანონიერად მიიჩნევს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კანონიერს უწოდებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას რუსული სადაზვერვო თვითმფრინავის "ა-50"-ის საქართველოს საჰაერო სივრცეში არშემოშვების თაობაზე.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა გუშინ კრწანისის სასწავლო ცენტრში ჟურნალისტებს განუცხადა, ქართულმა მხარემ საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად იმოქმედა.

*ინტერ-პრესი*

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მიერ აფხაზეთის ეკონომიკურ ექსპანსიას საპროტესტო ნოტით პასუხობს. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გომიაშვილმა გუშინ საგარეო უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, გაეროს ეგიდით 7-8 აპრილისათვის ჟენევაში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წინ, მოსკოვის მთავრობისა და რუსული საინვესტიციო კომპანია "ს-ჰოლდინგის" მიერ აფხაზეთის ეკონომიკაში თანხების დაბანდების პერსპექტივის განხილვა ხელს არ შეუწყობს არც ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებას, არც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების მოწესრიგებას.

გომიაშვილმა საქართველოს საგარეო უწყების სახელით გაკვირვება გამოთქვა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინსა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტს სერგეი ბაგაფშს შორის სოჭში გამართული შეხვედრის გამო.

სოხუმში ვიზიტით მყოფმა მოსკოვის მთავრობის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ანატოლი სოროკინმა და საინვესტიციო კომპანია "ს-ჰოლდინგის" პრეზიდენტმა ალექსნდრ შეპელმა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან სერგეი ბაგაფშთან მხარეების მიერ აფხაზეთის საკურორტო ინფრასტრუქტურაში, ადგილობრივ გადამამუშავებელ წარმოებაში, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროებში ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების პერსპექტივები განიხილეს.

*ინტერ-პრესი*

## კობა ხაბაზი საქართველოს სახელმწიფო მინისტრია

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი კობა ხაბაზი ცენტრალურ ხელისუფლებაში სახელმწიფო მინისტრად გადაიყვანეს. ამის შესახებ ხაბაზმა გუშინ თავად განაცხადა.

ხაბაზის თქმით, ახალი თანამდებობა მას საქართველოს პრეზიდენტმა შესთავაზა და ისიც სიამოვნებით დათანხმდა.

ამასთან, ხაბაზმა კატეგორიულად გამორიცხა ამ საკადრო გადაწყვეტილების კავშირი მასსა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს შორის თითქოსდა არსებულ დაპირისპირებასთან.

ხაბაზი საკუთარ კაბინეტში კიდევ ორ დღეს დარჩება. უცნობია, ვინ დაიკავებს მის ადგილს. ხაბაზის ვარაუდით, აჭარაში სერიოზული საკადრო ცვლილებები გატარდება.

*ინტერ-პრესი*

## საქართველოს ხელისუფლების სამძიმარი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა მისი უწმინდესობის, რომის პაპის იოანე პავლე მეორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმრის წერილი გაუგზავნეს კარდინალ იოზეფ რაცინგერს, ვატიკანის კარდინალთა წმინდა კოლეჯის დეკანს.

პრეზიდენტის სამძიმრის წერილში ხაზი გაესვა იმ მნიშვნელოვან ისტორიულ როლს, რომელიც იოანე პავლე მეორემ შეასრულა მშვიდობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ევროპის კონტინენტზე კომუნიზმის დაცემის, მსოფლიოში უნივერსალური დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების საქმეში, ასევე იმ დიდ დამსახურებას, რაც რომის პაპს მიუძღვის მსოფლიო ქრისტიანთა და სხვადასხვა კონფესიების ურთიერთდაახლოების საქმეში.

*ინტერ-პრესი*

## "მემარჯვენეები" მხარს უჭერენ "კონსერვატორებს"

საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია" მხარს უჭერს "კონსერვატორების" მოთხოვნას თბილისის მერის არჩევითობასთან დაკავშირებით პლებისციტის ჩატარების თაობაზე.

ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" წარმომადგენლის მანანა ნაჭყებიას განცხადებით, "მემარჯვენეები" მზად არიან, მხარი დაუჭირონ ყველა იმ წამოწყებას, რომელიც ხელს შეუწყობს დედაქალაქის მერის არჩევითობას.

"მემარჯვენეებს" ეჭვი ეპარებათ, რომ საქართველოს პრეზიდენტი, "კონსერვატორების" მიერ პლებისციტის ჩატარების მოთხოვნით შეგროვებული ხელმოწერების საფუძველზე, პლებისციტს დანიშნავს.

*ინტერ-პრესი*

# სიკეთე უბედურებად რომ არ გვექცეს...

პირველი გვერდიდან

**ერთი თვით გავაჩეროთ და ამ დროის განმავლობაში მაქსიმალურად გავიჭირვოთ?"** - ურჩევს ნადირაძე ნოღაიდელს.

როგორც ცნობილია, ენერგეტიკის გარდა, მთავრობას ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადებული აქვს, აგრეთვე, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება (ამ ამოცანის გადასაჭრელად დამატებით 176 მილიონი ლარი გამოიყოფა). თუმცა, ბევრისთვის გაუგებარია, რატომ უვლის ხელისუფლება გვერდს ამ სფეროს ორგანულ ნაწილს - საზღვრის დაცვის უწყებას, და არ ავრცელებს მასზე "უპირატესი დაფინანსების" პრინციპს.

**"საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებული რთული ვითარების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდოს,"** - მოითხოვს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე.

აღნიშნული კომიტეტის ოფიციალური დასკვნა მთავრობისთვის საყურადღებო ერთ გაფრთხილებასაც შეიცავს.

**"იმის გამო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 80-85 პროცენტით პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლებით და საკრედიტო წყაროების ხარჯზე იზრდება, ამან, შესაძლოა, არასასურველი გავლენა მოახდინოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე - ინფლაციაზე, საპროცენტო განაკვეთებზე, კერძო ინვესტიციებზე, ეკონომიკურ ზრდაზე ან ლარის კურსზე,"** - ნათქვამია პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნაში.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დეპუტატები გაზრდილ საბიუჯეტო შემოსავლებსაც უფრთხიან.*

ამავე დოკუმენტით კანონმდებლები მინისტრთა კაბინეტს ურჩევენ, რომ **"უმჯობესია, დაუყოვნებლივ მოხდეს წლის დარჩენილ თვეებში პრივატიზებიდან მისაღები შემოსავლების შემოდინების გრაფიკის შედგენა, ხოლო ბიუჯეტში ამ გზით მობილიზებული ფაქტიური ხარჯვა წარმოებდეს სინქრონულად, აღნიშნული თანხების ბიუჯეტში ფაქტიური მიღების კვალდაკვალ, რათა არ განვითარდეს ინფლაციური მოვლენები და არ მოხდეს ლარის კურსის მნიშვნელოვანი რყევები."**

აღსანიშნავია, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ დანახული საფრთხეების არსებობას ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელიც ადასტურებს. რომან გოცირიძე აღნიშნავს, რომ პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 452 მილიონი ლარით გაზრდამ, შესაძლოა, ქვეყანაში მაკროეკონომიკურ სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას.

**"ბიუჯეტის ამგვარ კორექტირებას აუცილებლად მოჰყვება ფულადი აგრეგატების მატება, ფულის მასის მნიშვნელოვან გაფართოებას კი თან ახლავს ინფლაციური რეციდივების გაღვივების რისკი, მისი თანმდევი უარყოფითი სოციალ-ეკონომიკური შედეგებით,"** - მიაჩნია ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

რომან გოცირიძის თქმით, თუ მოვლენები ასეთი არასასურველი სცენარით განვითარდება, ფასების სტაბილურობის შენარჩუნების ამოცანიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი იძულებული გახდება, გაატაროს ჭარბი ფულადი მასის სტერილიზაციის ღონისძიებები, რისთვისაც მან საგრძნობლად უნდა აწიოს საპროცენტო განაკვეთები მის ხელთ არსებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებზე. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს სარგებლის ზრდას სახაზინო ვალდებულებებზე და სტიმულს მისცემს კერძო სექტორიდან ცენტრალურ ბანკში რესურსების გადანაცვლებას, რაც კერძო ინვესტიციების შემაფერხებელი ფაქტორი გახდება და ეკონომიკის ზრდას შეანელებს.

იმისთვის, რომ სიკეთე (ბიუჯეტის გაზრდა) უბედურებად (ეკონომიკის სტაგნაცია) არ გვექცეს, რომან გოცირიძე მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ **"ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვა მოხდეს არა ერთბაშად, არამედ ეტაპობრივად, მთელი წლის განმავლობაში, არსებული მაკროეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით."**

სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარმილიარდიან ზრდას, რა თქმა უნდა, კონტროლის პალატაც მიესალმება, მაგრამ ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონის მიმართ მასაც აქვს პრეტენზიები. ამ უწყების დასკვნაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ცალკეული პროგრამებით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვა საჭიროებს მეტ დეტალიზებას და განმარტებებს, რისი დეფიციტიც ბიუჯეტის გამჭვირვალობის დონეს დაბლა წევს.

შენიშვნებით, რეკომენდაციებითა და სურვილებით დახუნძლული, გაზრდილი ბიუჯეტის პროექტი ზურაბ ნოღაიდელმა გადასამუშავებლად სახელმწიფო კანცელარიაში წაიღო. ზემოთ ჩამოთვლილი რჩევებიდან პრემიერ-მინისტრი რას გაითვალისწინებს და რას არა, პარასკევს გაირკვევა, როდესაც დოკუმენტი პარლამენტში დაბრუნდება და კენჭისყრა შედგება.

# გოჩა ფიფია სოხუმს მიემგზავრება

ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ფიფია აფხაზეთში საცხოვრებლად გადადის. თუმცა, მისი გადასახლება სამუდამო არ არის - იგი მხოლოდ რამდენიმე კვირას დაჰყოფს აფხაზეთში და იმ ინფორმაციას შეაგროვებს, რომელიც, როგორც თავად აცხადებს, მას არ აქვს.

ზუგდიდის მაჟორიტარი აფხაზეთში სამ კვირას დაჰყოფს. მისი თქმით, იგი უკვე ესაუბრა დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მის პრესსამსახურს და პრინციპული თანხმობა უკვე მიღებული აქვს. როგორც მან განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები კიდევ ორი-სამი დღე გაგრძელდება და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალ კვირას უკვე სოხუმში იქნება.

გოჩა ფიფია დარწმუნებულია, რომ მას "აფხაზი ძმები" ისე მიიღებენ, როგორც მათ სჩვევიათ და **"თუკი არაკეთილმოსურნე მასთან ფიზიკურ ანგარიშსწორებას შეეცდება, იგივე აფხაზი ძმები პროვოკატორს საკადრის პასუხს გასცემენ."**

ფიფია, ჯერჯერობით, მხოლოდ იმას აკონკრეტებს, რომ ერთ-ერთ აფხაზურ ოჯახში იცხოვრებს. იგი განსაკუთრებულ სასწაულს ამ ვიზიტისაგან არ ელის, მაგრამ მიიჩნევს, რომ წასვლა აუცილებელია. **"აფხაზეთის დაბრუნება კი არა, აფხაზების ჩვენკენ მობრუნებაა საჭირო,"** - აცხადებს დეპუტატი.

მოკლედ, გოჩა ფიფიამ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში საკუთარი წვლილის შეტანა გადაწყვიტა. მანვე მოუწოდა დეპუტატებს, განსაკუთრებით კი - სამეგრელოს დეპუტაციას, რომ მას ამ წამოწყებაში მხარი დაუჭირონ.

რაც შეეხება საკუთარი გადაწყვეტილების მოტივაციას, გოჩა ფიფია აცხადებს, რომ იგი და, მთლიანად, სამეგრელოს დეპუტაცია, არ არის ჩართული აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებში და არ ფლობს სრულ ინფორმაციას აფხაზეთში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

როგორც დეპუტატმა განაცხადა, იგი აფხაზეთში ვითარების გასაცნობად მიემგზავრება, რათა ამომწურავი ინფორმაცია მოიპოვოს კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

გოჩა ფიფია მიიჩნევს, რომ აფხაზეთთან ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და აფხაზეთთან ეკონომიკური კავშირები სწორედ სამეგრელოდან უნდა აღდგეს.

დეპუტატი დარწმუნებულია, რომ მის ვიზიტს დადებითი შედეგები მოჰყვება.

*24 საათი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის 95 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა. არასამთავრობო ორგანიზაცია "იბერ ირონის" წარმომადგენლები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, წარმოადგინოს ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების უკანონობის არგუმენტირებული, სახელმწიფოებრივ დონეზე მომზადებული დასაბუთება და მის წინააღმდეგ ეფექტური ნაბიჯები გადადგას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მაჰმადიან მესხთა საქართველოში რეპატრიაციის პროცესის დასაწყებად, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ფინანსურ დახმარებას გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისგან მოითხოვს. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციისთვის, პირველ რიგში, მატერიალური სახსრების მობილიზებაა საჭირო. ეს თანხები კი, ხაინდრავას განცხადებით, რეპატრიანთა დაბრუნებამდე მათთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების მომზადებას უნდა მოხმარდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმში რეგისტრირებული, დროებით თბილისში მცხოვრები კ. გ. და ჩხოროწყუში მცხოვრები ზ. ხ. - მეტსახელად „დურუ", რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან გიორგი წულაიას ეზოდან ავტომანქანა „ბმვ"-ს მოპარვაში. საქმეს იძიებს დიდუბე-ჩუღურეთის საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახმეტაში სკოლა-ლიცეუმის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე, 48 წლის ალექსანდრე ლიკოკელის გვამი. გატარებული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ახმეტაში მცხოვრები, 25 წლის გ. ა., რომელიც ეჭვმიტანილია ლიკოკელთან ურთიერთშელაპარაკებისას ქვის ჩარტყმით მის მკვლელობაში. **მედიანიუსი**




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# სროლები "ხადორჰესზე"

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*უშუქობით შეწუხებულმა ახმეტის და პანკისის ხეობის მოსახლეობამ გუშინ პროტესტის უკიდურეს ზომებს მიამართა და რამდენიმე დღის წინ, ხელისუფლების მისამართი გაგზავნილი მუქარა შეასრულა. ამჯერად საპროტესტო აქცია ახმეტიდან თვით "ხადორჰესთან" გაიმართა. ძალოვნების დიდი მცდელობის მიუხედავად, ბოლოს სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ აქციის ორასამდე მონაწილემ ორ მწკრივად განლაგებული სამართალდამცველთა კორდონი გაარღვია, რასაც პოლიციის მხრიდან რამდენიმე გასროლა მოჰყვა.*

თითქმის ერთი თვეა, რაც ახმეტის რაიონს ელექტროენრეგია არ მიეწოდება. მოსახლეობამ აღნიშნული პრობლემის მოსაგავრებლად რეგიონის ხელმძღვანელობას არერთხელ მიმართა, მაგრამ შეხვედრები ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ახმეტელებმა, ხელისუფლების უყურადღებობით გაბრაზებულებმა, რაიონის ცენტრში ორდღიანი საპროტესტო აქცია გამართეს. რეგიონის ხელმძღვანელობამ აღელვებული მოსახლეობის დაწყნარება აქციიდან ორი დღის განმავლობაში, ელექტროენერგიის მომარაგებით მოახერხა, შემდეგ კი, როგორც ახმეტელები ამბობენ, **"ხადორჰესიდან" გამომუშავებულ ელექტროენერგიას თურქეთის რესპუბლიკაში ყიდდნენ."**

მოსახლეობის მხრიდან ასეთ ბრალდებებს რეგიონის ენერგოკომპანიის დირექტორი თამაზ ბიბილური, "24 საათთან" სატელეფონო საუბარში, ასე პასუხობს: **"ვინ როგორ გამოიყენებს, სად გაანაწილებს და ვის მიჰყიდის ენერგიას, ეს მე არ მეხება. ჩვენი სამსახური მხოლოდ ცენტრის მიერ მოწოდებული მეგავატების განაწილებას ვახორციელებთ, რადგან ხადორის დენი პირდაპირ ენერგოსისტემაში შედის."** მისივე თქმით, ენერგოკრიზისია მთელ საქართველოში და გამონაკლისი არც კახეთია.

მიუხედავად ასეთი თავის მართლებისა, ახმეტელები დენს მაინც თხოულობენ. თუ გასულ კვირას აქციებს მოხლოდ ახმეტელები მართავდნენ, გუშინ მათ რიცხვს უკვე პანკისის ხეობის სამი სოფელიც შეუერთდა. ხეობაში მცხოვრებმა ორასამდე ადამიანმა "ხადორჰესთან" დამაკავშირებელ ხიდთან, რომელსაც მოსახლეობის მუქარის შემდეგ პოლიცია და სასაზღვრო საჯარისო ნაწილი იცავს, აქცია გამართა. ახმეტის და პანკისის მოსახლეობა ჰესის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას მოითხოვდა. **"ეს ჰესი რომ შენდებოდა, წვლილი მოსახლეობასაც მიგვიძღვის. გვიხაროდა, აქ თუ ჰესი აშენდებოდა, ხეობას დენის პრობლემა აღარ ექნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა, ყველაზე მეტად ხეობის მოსახლეობაა დაჩაგრული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქციები არერთხელ გავმართეთ, ყურადღება მაინც არავინ მოგვაქცია. ამიტომ გავხდით იძულებულნი, რომ აქცია უკვე ჰესთან გაგვემართა,"** - ამბობს აქციის წევრი მალხაზ კუტივაძე.

აქცია რამდენიმე საათს გაგრძელდა, მაგრამ მოსახლეობასთან გასაუბრება არც ჰესის წარმოადგენლობამ და არც ენერგოდისტრიბუციის ხელმძღვანელობამ ისურვა, რასაც შდეგად უმართავი პროცესები მოჰყვა. მოსახლეობამ სამარათალდამცველების და ჯარისკაცების ორ მწკრივად განლაგებული კორდონი გაარღვია. ამ ყველაფერს კი პოლიციის მხრიდან რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლა მოჰყვა. დაშინების მიუხედავად, აქციის წევრებმა "ხადორჰესის" რეზიდენციის შტურმით აღებაც სცადეს, მაგრამ პოლიციამ მათი შეჩერება მოახერხა. "**იმის გულისთვის, რომ ანძები დამონტაჟებულიყო ჩვენს ნაკვეთებში, ჩინელები ლამის მუხლზე გვედგნენ, ახლა კი ხალხი აღარ აინტერესებთ. თუმცა ჩინელები როგორ გავამართლო, როცა გუბერნატორი ამბობს, რომ ახმეტა, თურმე, ბოსელია და დენი არ სჭირდება?** –აღშფოთებულია პანკისელი ვანო ქიტესაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ჩინურმა მხარემ, თავი აარიდა ჟურნალისტებთან შეხვედრასაც. რეგიონის ენერგოდისტრიბუციაში კი განმარტავენ, რომ ამ დროისთვის "ხადორჰესი" 3 მეგავატს გამოიმუშავებს.

იმ შემთხვევაში, თუ პანკისელების და ახამეტელების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, მოსახლეობა ჰესის აფეთქებით და ცენტრალური სადენების ჩამოყრით იმუქრება.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის“ ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.





### სამართლდება „რწყილი და ჭიანჭველა“

მომრიგებელი მოსამართლე ზაზა ჯოჯორიძე

ბრალმდებელი ბესო ხვედელიძე, პოეტი, — პრობაციონი: „ანუ ვიქნებით ლორები, ყვავები, კრუხები, ძროხები... და მისთანანი. ჯუჯეარდეს ბალახი. „რა არის იგი ნათელი, რასაც არ ახლავს ბნელი“...

ადვოკატი ზაზა ნახუცრიშვილი, პოეტი: — სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოება ჯაგარს, რქას, ყვავისა და წიწილის მეგობრობაზე მაღლა აყენებს. ასეთი პრინციპით ყველა შედევრი შეიძლება ნეგატიურად გამოვაცხადოთ. სასიკვდილოზე გადასახადს ნუ დავაწყებთ

ბრალდება: „რწყილი და ჭიანჭველა“ არა მარტო მეგობრობის ჰიმნია, არამედ პროპაგანდას უწევს მექრთამეობასა და გამორჩენის მთელ ჯაჭვს.

ვერდიქტი: 12 ნაფიცი მსაჯული (8 ხმა 4-ის წინააღმდეგ) დაეთანხმა პროკურორის მოთხოვნებს და მიიღო ვერდიქტი „რწყილი და ჭიანჭველა“ არ არის ზღაპარი მხოლოდ მეგობრობაზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.რეზო გომარაძე | (უდანაშაულოა) | 7.სოფიო | (დამნაშავეა) |
| 2.მიხეილ გორდელაძე | (უდანაშაულოა) | 8.ლუკა | (უდანაშაულოა) |
| 3.ლადო ქართველი | (დამნაშავეა) | 9.დავითი | (დამნაშავეა) |
| 4.ნინო | (დამნაშავეა) | 10.ურანკა ობოლაძე | (დამნაშავეა) |
| 5.გარიელი | (დამნაშავეა) | 11.ლერი | (დამნაშავეა) |
| 6.ნუკრი ობოლაძე | (დამნაშავეა) | 12 ფიქრია | (უდანაშაულოა) |

# სტიქიის მძიმე შედეგები იმერეთში

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ორკვირიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად იმერეთს სტიქიამ გადაუარა. ჩამოწოლილი მეწყერის გამო ასობით ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.

**"სტიქიამ სერიოზული ზარალი გამოიწვია რაიონებში. ზარალის ზუსტი ციფრი ჯერ დადგენილი არ არის, ვინაიდან დღითი დღე იმატებს ზარალის რაოდენობა. მაგალითად, ვანში გუშინწინ დათვლილი ზარალი გუშინ მნიშვნელოვნად გაიზარდა, რადგან ისევ ჩამოწვა მეწყერი,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე ზურაბ ქაჯაია.

სტიქიის შედეგად იმერეთის 11 რაიონს შორის ყველაზე მეტად ვანის რაიონი დაზარალდა. სოფელ ჭყვიშში მდინარე რიონმა კალაპოტი გადმოლახა და 50 ოჯახის კარმიდამო დატბორა. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სოფლებშიც. ოთხ ოჯახს საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაენგრა. წვიმის გაგრძელების შემთხვევაში, იგივე ბედი ეწევა კიდევ 23 ოჯახს.

მძიმე მდგომარეობაა სამტრედიის რაიონშიც, სადაც 162 ოჯახი დაიტბორა. 52 შათგანი სოფელ ნიგოზსაში ცხოვრობს, სადაც 30 მარტს ჩამოწოლილმა მეწყერმა კიდევ სამი ოჯახი დააზარალა.

**"30 მარტს ჩამოწოლილი მასა გავწმინდეთ რისკის ფასად, რადგან შეხება არ შეიძლებოდა, მაგრამ 31-ში ისევ ჩამოწვა. სოფელი ნიგორზღვა მეწყერსაშიში ზონაა, მაგრამ ასეთს მაინც არ ველოდით. სოფელი, პრაქტიკულად, ორ ნაწილადაა გაყოფილი,"** - აცხადებს სამტრედიის რაიონის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო შტაბის უფროსი ნესტორ ბიბილეიშვილი.

სამტრედიაში სტიქიით მიყენებული ზარალის ზუსტი ოდენობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. ზარალის რაოდენობამ 73 000 ლარი შეადგინა წყალტუბოს რაიონში. ოფურჩხეთის თემის სოფელ ჟონეთში ჩამოწოლილი მეწყერის შედეგად სამი ოჯახი დაზარალდა. წინა წელს იმავე სოფელში მომხდარმა წყალდიდობამ 45 ოჯახის საცხოვრებელი ფართი დატბორა. მაშინ სპეციალურმა კომისიამ ზარალი (1 174 820 ლარი) დაადგინა, მაგრამ თანხის რაოდენობა ცენტრალურ ხელისუფლებას საეჭვოდ ეჩვენა და, შესაბამისად, არც ბიუჯეტში გაუთვალისწინებია.

**"წლების მანძილზე წვიმების დროს მდინარე რიონი დიდდება და იტბორება ტერიტორია. მოსახლეობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ფაქტობრივად, ყველას სურს, სხვაგან მოიძიოს საცხოვრებელი ფართი,"** - აცხადებს ოფურჩხეთის თემის სარწმუნებლოს თავმჯდომარე კახა იოსელიანი.

პრემიერ-მინისტრმა იმერეთში ვიზიტის დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დასახმარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა შესაბამისი თანხა. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას ამერიკის საელჩოს დახმარების იმედიც აქვს.

**"ჩვენთან მოვიდა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთის ოფისის მენეჯერი ილია ელოშვილი და გვითხრა, რომ ამერიკის საელჩოს განზრახული აქვს ოთხი დაზარალებული რაიონისთვის დახმარების გაწევა. ჩვენ სასწრაფოდ მოვამზადეთ ეს მონაცემები და გავგზავნეთ",** - აცხადებს რწმუნებულის პირველი მოადგილე "24 საათთან" საუბარში.

ამერიკის საელჩოსგან იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია 270 000 ლარის დახმარებას ელოდება. აქედან, საჩხერისთვის 50 000 ლარია გათვალისწინებული, წყალტუბოსთვის - 73 000 ლარი, ბაღდათისთვის - 55 000 ლარი და ვანისთვის 100 000 ლარი.

სტიქიით დაზარალებულებისგან განსხვავებით, კვლავაც გაურკვეველი რჩება სოფელ ბაშის მცხოვრებლებისა და "ჭიათურმანგანუმის" კრედიტორების ზარალის ანაზღაურების ბედი. სოფელ ბაშის მოსახლეობის დატბორვა ნალექის ყოლავაც დაუსრულებელია.

**"ორი წლის წინ ჩვენ რწმუნებულის ფონდიდან გამოვყავით 3000 ლარი. ამ თანხით გაკეთებული სამუშაოებით შემცირდა დატბორვა, მაგრამ მაინც მძიმე მდგომარეობაშია ეს ხალხი. ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა უნდა გამოაგზავნოს კომისია საკითხის საბოლოოდ შესასწავლად. დაახლოებით 300 ათასი ლარია საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად,"** - აცხადებს ზურაბ ქაჯაია.

"ჭიათურმანგანუმის" კრედიტორების ზარალს კი ხელახლა დაადგენს კიდევ ერთი კომისია, რომელსაც ამჯერად უშუალოდ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უხელმძღვანელებს. დღეისათვის არსებული ოფიციალური ინფორმაციით, კრედიტორების ვალი 11 მილიონადაა შეფასებული, აქედან ოთხი მილიონი უკვე გაიცა კრედიტორებზე. 7 მილიონი კი სახელმწიფოს დღემდე ვალად ადევს.

**"ამ თანხას, ალბათ, პრემიერ-მინისტრი მკვეთრად შეამცირებს, რადგან ძალიან გაბერილია ციფრები. თქვენ წარმოიდგინეთ, ჭიათურაში 46 000 და 87 000 დოლარად რომ იქნება შეფასებული სახლი,"** - აცხადებს ზურაბ ქაჯაია.

მორიგი კომისიები ბაშში და ჭიათურაში მაისის ბოლოს დაიწყებენ მუშაობას, როცა "ვარციხეჰესის" კასკადში" და "ჭიათურმანგანუმში" ინვესტორი ოფიციალურად გამოჩნდება.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
სიახლე!!!
გთავაზობთ ახალ, დაბალ ტარიფებს საერთაშორისო საუბრებზე
უქმე და სადღესასწაულო დღეები
24.00-09.00სთ.
ევროპა 70თ
აშშ 50თ
რუსეთი 50თ
40თ. 35თ. 30თ.
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები!
8-10
რუსთაველის გამზ. 31 ტელ: 44 18 10; 44 28 28 www.telecom.ge

# მიმართვა
## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

პირველი გვერდიდან

ბ) "სამშვიდობო შეთანხმების პირობებში" 1990-1992 წლების კონფლიქტში დაზარალებული მოსახლეობის მიმართ ქონებრივი რესტიტუციის კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს კანონი მიღებულ იქნეს სამშვიდობო შეთანხმებამდე. მსგავს ნაბიჯებს შეუძლია გააღვივოს რწმენა ოს მოსახლეობაში, რომ საქართელოს ხელისუფლება რეალურად იწყებს თავისი ვალდებულებების შესრულებას;

გ) დროულად უნდა დასრულდეს სოფელ კეხვთან 1992 წლის მაისში მომხდარი ტრაგედიის გამოძიება და მისი შედეგები ეცნობოს საზოგადოებას.

დ) ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად, უნდა შემუშავდეს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფილ და რეპრესირებულ ოსური წარმოშობის მოქალაქეთა ღირსებისა და უფლებების აღდგენას.

ე) საჭიროა, შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატში ან ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში, ცხინვალის ხელისუფლებას ოფიციალურად მიეწოდოს "საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით".

დარწმუნებული ვართ, ამ მოსაზრებათა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის რეალიზაციას.

თქვენი სურვილის შემთხვევაში, შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

*ნაირა გელაშვილი - "კავკასიური სახლის" დირექტორი;*
*ნაირა ბეპიევი - "კავკასიური სახლის" ოსური სექტორის გამგე;*
*პაატა ზაქარეიშვილი - ქ. თბილისის საკრებულოს წევრი;*
*დავით დარჩიაშვილი - ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი;*
*ნინო პოპიაშვილი - კონფლიქტოლოგი;*
*დიანა პილიევა*
*თავისუფლების ინსტიტუტი;*
*ქეთი ხუციშვილი - ფონდ "ევრაზიის" დირექტორი საქართველოში;*
*ემილ ადელხანოვი - "მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი";*
*ფონდი "ალპე";*
*საქართველოს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია";*
*მიხეილ მირზიაშვილი - "სტუდია რე";*
*მამუკა ყუფარაძე - "სტუდია რე";*
*მამუკა არეშიძე - ექსპერტი კავკასიის საკითხებში;*
*თინათინ ხიდაშელი – იურისტი;*
*ზაალ ტყეშელაშვილი - პასტორი, ევანგელისტური ეკლესია;*
*ხათუნა კვესელავა;*
*ლევან თარხნიშვილი;*
*რამაზ აფციაური - "გაეროს ახალგაზრდული ასოციაცია";*
*ივლიანე ხაინდრავა - პარლამენტის წევრი;*
*ლევან ბერძენიშვილი; პარლამენტის წევრი;*
*გია ანჩაბაძე – ისტორიკოსი, "კავკასიური უნივერსიტეტი", რექტორი;*
*ვაჟა კეშელავა - პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. დირექტორი;*
*ანა წვინარია-აბრამიშვილი - "კავკასიური სახლი", აფხაზური სექტორის კოორდინატორი;*
*მიხეილ ბეროშვილი - "კავკასიური სახლი", დირექტორის მოადგილე;*
*ჰამლეტ ზუკაკიშვილი - გაზეთი "კავკაზსკი აქცენტი", რედაქტორი;*
*ლია ჩლაჩიძე – ჟურნალისტი.*

# ბოლნისში გლეხებისგან ფულის გამოძალვას ცდილობდნენ

მაია მოსიაშვილი

ქვემო ქართლში ლევან მამალაძის გუბერნატორობის დროს უკანონოდ გადანაწილებული საიჯარო მიწების დაჩაგრულ გლეხებზე გადანაწილების აუცილებლობის მომიზეზებით, მხარის რაიონებში უკვე რამდენიმე თვეა, ძველი მეიჯარეების ერთი ნაწილისათვის ხელშეკრულებების გაუქმება დაიწყო. რამდენად კანონიერად მიმდინარეობს ეს პროცესი, ძნელი სათქმელია, თუმცა, თუ რამდენიმე დღის წინ სამართლის საძიებლად სამხარეო ადმინისტრაციაში მისული ბოლნისელების მონაყოლს დავუჯერებთ, ახალი ხელისუფლება ძველ "მემამულეებს" ახლებით ცვლის, უბრალო გლეხი კვლავ იმავე დღეშია.

ბოლნისის რაიონის სოფელ სამტრედეში 56 ჰექტარ მიწას 86 აზერბაიჯანული ოჯახი ამუშავებდა. მიწა იჯარით იყო გაფორმებული მათივე თანასოფლელ ჰასმამედ ალიზე, რომელსაც ორი თვის წინ საიჯარო ხელშეკრულების დარღვევის გამო მიწა ჩამოართვეს. ხალხი, რომელიც ამ მიწას ამუშავებდა, დაინტერესდა, რა თანხის გადახდა მოუწევდათ ახალი მეიჯარისათვის. რაიონის გამგეობაში მათ განუმარტეს, რომ ერთ ჰექტარზე, ნაცვლად 29 ლარისა, რომელიც სახელმწიფო გადასახადია, 290 ლარის გადახდა მოუწევთ. სწორედ ამ ამბის გასაპროტესტებლად ჩავიდნენ სამტრედელები რუსთავში. ისინი ცალსახად აცხადებდნენ, რომ ახალი მეიჯარე გამგებლის კაცია და მათ ხალხის ხარჯზე ფულის გაკეთება უნდათ.

**"300 ლარს გვთხოვენ, რატომ უნდა გადავიხადოთ ათჯერ მეტი. თუ სახელმწიფო გაზრდის გადასახადს, სიამოვნებით გადავიხდით, ვიღაც შპს-ს რატომ უნდა მივცეთ?"** - კითხულობდნენ ისინი.

ბოლნისის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი არევაძე 50-მდე სამტრედელის სამხარეო ადმინისტრაციის წინ გამოჩენიდან დაახლოებით ერთ საათში მათთან გაჩნდა.

"აქ რა გინდათ, წამოდით მიწა სადაც არის, იქ ვილაპარაკოთ," - დაუცაცხანა მან ცოტა არ იყოს ნირშეცვლილ ადამიანებს, რომლებიც მალე მოეგნენ გონს და გამგებელთან საქმის განხილვა განაგრძეს. არავინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ეს ამბავი, არევაძისთვის ზურაბ მელიქიშვილს რომ არ დაერეკა. გუბერნატორთან საუბრის შემდეგ გამგებელმა სამტრედელებს ხელით რწმუნებულის ფანჯრებისკენ ანიშნა: იმან თქვა, როგორც მაგათ უნდათ, ისე იყოსო. წადით ახლა, გყავდეთ თქვენი ჰასმამედა და იყავით ძველებურადო...

**"ეს ხალხი ერთ შპს-ში იყო გაერთიანებული, რომელსაც გადაუხდელობის გამო კანონის ფარგლებში ჩამოერთვა მიწა. შემდეგ ჩატარდა კონკურსი, გამარჯვებული, ფაქტობრივად, გამოვლენილია, შპს "ხიდისყური" და ახლა ოფიციალურად უნდა გაუფორმდეთ მიწა. ხალხის აზრის გათვალისწინებით, ახლა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შევეცდებით ახალ მეიჯარეებს მოველაპარაკოთ და ეს ჰასმამედა მიწის რაღაც ნაწილზე დარჩეს,"** - განუცხადა "24 საათს" გიორგი არევაძემ. მან დაასატურა, რომ ახალი მეიჯარე გლეხებს საკმაოდ დიდ გადასახადს სთხოვდა.

"აბა, შპს რისი შპს-ა, თუ რაღაც არ დარჩა?! მათ თავისი ტარიფები ჰქონდათ დამატებული, მაგრამ ახლა ესენი შპს-დან აღარ იღებენ მიწას და თავისთავად არც დაემატებათ არაფერი," - განაცხადა ბოლნისის გამგებელმა.

"24 საათი" შეეცდება, გაარკვიოს, რეალურად შეუსრულებს თუ არა დანაპირებს გამგებელი სამტრედელ გლეხებს და საერთოდ, რამდენად სამართლებრივად მიმდინარეობს საიჯარო მიწების ხელახალი გადანაწილება მხარეში.

# ევროპის საბჭოს დახმარება

ევროპის საბჭო მზადაა, საქართველოს ხელისუფლებას მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციაში დაეხმაროს. ამის შესახებ გუშინ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა საქართველოში ოგორ გაონმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, სადაც სწორედ მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციასთან დაკავშირებული პრობლემები განიხილებოდა.

ოგორ გაონის თქმით, ევროსაბჭო მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას მაჰმადიან მესხთა სამშობლოში ეტაპობრივად დაბრუნებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც 15 აპრილამდე სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს და განსახილველად პრეზიდენტს წარუდგენს.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენლის თქმით, ევროსაბჭო სრულად იზიარებს საქართველოს ხელისუფლების პოზიციას რეპატრიანტთათვის სოციალური პირობების შექმნის შესახებ.

ოგორ გაონის აზრით, საქართველოს ხელისუფლებას მაჰმადიან მესხთა რეპატრიაცია საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდება. ამის გამო, ევროსაბჭო მზადაა, ითანამშრომლოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელიც რეპატრიაციის პროცესის დასაწყებად საქართველოს ხელისუფლებას ფინანსურად დაეხმარება.

*ინტერ-პრესი*

## "კონსერვატორები" მერის პირდაპირი არჩევნებისთვის იბრძვიან



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*კონსერვატორები პრეზიდენტს მოუწოდებენ, მოუსმინოს ხალხს.*

*მალე "კონსერვატორები" ჩვეულ საქმიანობას გაიხსენებენ და ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებენ. ამჯერად, მათი აქციის მიზანი პლებისციტის გამართვაა. გამოკითხვა თბილისში უნდა ჩატარდეს და დედაქალაქის მოსახლეობამ პასუხი ერთადერთ კითხვას უნდა გასცეს: როგორ სურს მას მერის არჩევა - პირდაპირი თუ ირიბი გზით.*

თამარ მჭედლიშვილი

ამ გამოკითხვის ჩატარება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი თანხმობას თავად საქართველოს პრეზიდენტი განაცხადებს. საერთოდ, პლებისციტი ხელისუფლებას მოსახლეობის განწყობის გაგებაში ეხმარება. მისი ყველაზე მთავარი "ხიბლი" კი ის არის, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება აუცილებელი სულაც არ არის. თანაც, კანონის თანახმად, რეფერენდუმისაგან განსხვავებით, იგი შეიძლება მხოლოდ ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულში გაიმართოს და მხოლოდ მისთვის აქტუალურ თემას შეეხოს. პლებისციტმა, წესით, სრულად უნდა ასახოს მოსახლეობის განწყობა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რადგან მოსახლეობის სრულფასოვანი გამოკითხვის გარანტი თავად კანონია, ხოლო უშუალო შემსრულებელი - საარჩევნო ადმინისტრაცია.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც, კობა დავითაშვილთან, ზვიად ძიძიგურთან და კახა კუკავასთან ერთად, "ახალი" "კონსერვატორი" გოჩა ჯოჯუაც უძღვებოდა, პლებისციტის გამართვის სასარგებლოდ მთელი რიგი არგუმენტები დასახელდა.

ასე, მაგალითად: "კონსერვატორები" აცხადებენ, რომ დედაქალაქის მოსახლეობას თავად სურს მერის არჩევა; ამიტომ, საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, მოსახლეობის ნებას დაემორჩილოს და ხელმოწერების წარდგენის შემდეგ პლებისციტის თარიღი დაასახელოს.

**"პრეზიდენტი ყოველთვის აცხადებს, რომ იგი ხალხის პრეზიდენტია. ჩვენ ვაძლევთ მას საშუალებას, ხალხის ნების გამომხატველი იყოს,"** - განაცხადა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

"კონსერვატორები" თბილისელების შეურაცხყოფად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ქალაქის მცხოვრებლებს მერის არჩევის საშუალება არ ექნებათ.

გუშინვე, "კონსერვატორებმა" ბრიფინგზე გამოაქვეყნეს "სამართლიანი არჩევნების" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც, თბილისში გამოკითხულთა 75 პროცენტზე მეტი მერის პირდაპირი წესით არჩევის მომხრეა და მხოლოდ ოთხი პროცენტი - ირიბის.

ასე რომ, "კონსერვატორების" აზრით, პლებისციტის გამართვის შემთხვევაში მათ აქვთ იმის გარანტია, რომ თბილისელთა აბსოლუტური უმრავლესობა მერის პირდაპირი წესით არჩევის მომხრე იქნება. შესაბამისად, ხელისუფლებასთან მორიგი დაპირისპირების თემაც აგორდება, რადგან დღეს უკვე ნათელია, რომ ცენტრალური ხელისუფლება მერის ირიბი არჩევნებისთვის იბრძოლებს. საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული კანონპროექტი "თბილისის შესახებ" მერის არჩევას საკრებულოს მიერ ითვალისწინებს.

თუმცა, შესაძლოა, "კონსერვატორებისთვის" გაცილებით მომგებიანი პლებისციტის გამართვაზე პრეზიდენტის უარი გახდეს. ამ შემთხვევაში, ოპოზიციონერთა ბრალდებები უფრო საფუძვლიანი და მწვავე იქნება.

**"თუ პრეზიდენტი პლებისციტის გამართვაზე უარს იტყვის, ეს ნიშნავს, რომ იგი სწორედ მოქალაქეთა ოთხი პროცენტის აზრის გამომხატველია,"** - განაცხადა გუშინ ზვიად ძიძიგურმა. მანვე დასძინა, რომ პრეზიდენტის უარსაც არ გამორიცხავს, რადგან ხალხის მიერ არჩეულმა მერმა, შესაძლოა, ცენტრალურ ხელისუფლებას საკმაო პრობლემები შეუქმნას. **"ეს კი სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ინტერესებში არ შედის,"** - ასეთია კონსერვატორების პოზიცია.

## არეულობა სადახლოში

მაია მოსიაშვილი

მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში გასულ კვირას დაწყებული დაპირისპირება კიდევ უფრო მწვავდება. "24 საათს" არასამთავრობო ორგანიზაცია "ოზანის" წარმომადგენელი ქამილ მუსაევი დაუკავშირდა და აუწყა, რომ სოფლის გამგებლის, ნიზამი მამედოვის შვილმა ურთიერთშელაპარაკების დროს თანასოფლელ 45 წლის რუსტამ ისაევს ოთხი ტყვია ესროლა.

გასულ კვირას სადახლოელთა ერთმა ნაწილმა ადგილობრივი პოლიციისა და სოფლის გამგებლის წინააღმდეგ მიტინგი მოაწყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სადახლოელი პოლიციელები და გამგებლის შვილები მათდამი ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობას იარაღით ემუქრებოდნენ. პოლიციის უფროსმა გოჩა შუბითიძემ მაშინ ეს ინფორმაცია უარყო, თუმცა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა მისი სიმართლე ეჭვქვეშ დააყენა.

**"ისაევი ახლა მარნეულის საავადმყოფოში წევს და სხეულში ერთი ტყვია აქვს ჩარჩენილი. მას იმიტომ ესროლეს, რომ გამგებლის მომხრე არ არის. დაშქინ მამედოვი პოლიციას დაკავებული ჰყავს, მაგრამ ჩვენ გავიგეთ, რომ მის გამართლებას აპირებენ,"** - აცხადებს მუსაევი.

"24 საათი" ინფორმაციის გადასამოწმებლად სადახლოს პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსს გოჩა შუბითიძეს დაუკავშირდა. მან 3 აპრილს გამგებლის შვილის მიერ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ისაევის ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა დაადასტურა, თუმცა მომხდარის კონკრეტულ მიზეზებზე საუბარს მოერიდა.

სოფლის გამგებლის შვილის ბედი უახლოეს დღეებში გაირკვევა. მამედოვის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ თუ მას პასუხს არ აგებინებენ, სოფელში საპროტესტო გამოსვლებს დაიწყებენ.

## მობილიზებულია 493.8 მილიონი

2005 წლის პირველი კვარტლის ნაერთი ბიუჯეტი 131,2%-ით შესრულდა. ფინანსთა სამინისტროს ცნობით, 2005 წლის პირველ კვარტალში ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 625 მილიონი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 131,2%-ია და 47%-ით აღემატება 2004 წლის შესაბამის პერიოდში მობილიზებულ თანხებს. შემოსავლის გეგმა 131,9%-ით შესრულდა, კაპიტალური შემოსავლის მოცულობა საპროგნოზო მაჩვენებელს 5,7-ჯერ აღემატება, პირველ კვარტალში მობილიზებულია 109.8 მლნ ლარის ოდენობის არასაგადასახადო შემოსავალი (გეგმის 185.3%). რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, პირველი კვარტლის გეგმა 129%-ით შესრულდა. ამ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ 493,8 მილიონი ლარი შეადგინა. ნაერთი ბიუჯეტი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტია.

*ინტერ-პრესი*

# ფეხზე დადგომის იმედით...

თამარ მაისურაძე

*22 წლის თამუნა ცინცაძეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, სკოლაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, 13 წლის ასაკიდან დაუდგინეს. მისი ოჯახი სახელმწიფოსგან კომპენსაციას დღემდე ითხოვს.*



1996 წლის 30 სექტემბერს თბილისის №161 საშუალო სკოლის მე-9[ბ] კლასს ალგებრის გაკვეთილი გაუცდა. სასწავლო ნაწილის გამგემ გადაწყვიტა, გაცდენილი გაკვეთილი ფიზკულტურის გაკვეთილით ჩაენაცვლებინა და მოსწავლეები სკოლის ეზოში ჩაუშვა. ეზოს კუთხეში, სარდაფის ჩასასვლელთან რამდენიმე მოსწავლესთან ერთად მჯდომმა თამუნა ცინცაძემ მისკენ ნასროლი ბურთის მოგერიება სცადა, წონასწორობა დაკარგა და სამმეტრიან სარდაფში ჩავარდა.

მას მერე მისი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. სარდაფში ბეტონის ფილებზე დაცემისას მოსწავლეს ქვედა კიდურების სამართავი, ხერხემლის მე-6, მე-7 და მე-8 მალები ჰქონდა ჩამტვრეული. მთლიანად იყო დაღვრილი ხერხემლის სითხე და დაჟეჟილი - ზურგის ტვინი. ბავშვი წელს ქვემოთ მოწყდა.

მას შემდეგ, 9 წლის განმავლობაში, თამუნა ცინცაძეს 11 სხვადასხვა სახის ოპერაცია ჩაუტარდა. პირველ სამ ოპერაციას შეხორცებითი გაუვალობა დაერთო. წლების განმავლობაში ძირითადად ლოგინად მყოფი პაციენტის ორგანიზმში ვერ ხდებოდა სისხლის ცირკულირება, რამაც ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, რის შედეგადაც ორივე ბარძაყზე დრენაჟის დადგმა გახდა აუცილებელი. ეგრეთ წოდებული ნაწოლების მკურნალობა საქართველოში შეუძლებელი გახდა. თამუნას დედა იძულებული შეიქნა, შვილი სომხეთში, ერევანთან ახლოს მდებარე საავადმყოფოში წაეყვანა.

**"მკურნალობა და ოპერაცია 5 ათასი დოლარი ჯდებოდა. ამ თანხის მოძიება ჩემს შესაძლებლობებს აღემატებოდა. მივმართე მოძღვარს, მამა ელიზბარს, რომელიც ქაშუეთის ეკლესიაში მსახურობს. მისი შუამდგომლობით, დაგვეხმარა წინა პარლამენტის წევრი დავით აბაშიძე,"** – გვითხრა თამუნას დედამ, ეთერ ცინცაძემ. "რატომ მივდივართ სომხეთში? რა აზრი აქვს იქ წასვლას? თავს მაინც არ ვიცოცხლებ," – გამგზავრებამდე უთქვამს თამუნას ნათესავისთვის. **"საავადმყოფოში პაციენტთან ყოფნის საშუალებას არ გვაძლევდნენ. მაგრამ, ჩემი შვილი იქაურ ექიმებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. ისეთი გულისხმიერება გამოიჩინეს, რომ ბავშვი მძიმე დეპრესიული მდგომარეობიდან გამოიყვანეს. სამი ოპერაცია ჩაუტარდა, მოხდა გადანერგვა. ერევანში 7-თვიანმა მკურნალობამ, ერთი შეხედვით, შედეგი მოიტანა, თუმცა რის შესახებაც გამაფრთხილეს ექიმებმა, რისი საშიშროებაც იყო, გარდაუვალი აღმოჩნდა,"** – მოგვიყვა თამუნას დედამ.

2003 წლის 9 დეკემბერს, ისევ სასწრაფო დახმარების მანქანის მეშვეობით, მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტი სასწრაფოდ გადაიყვანეს ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში და ასევე სასწრაფოდ გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, მარჯვენა თირკმელი ამოაჭრეს. ამის შემდეგ, კიდევ გაჩნდა ნაწოლები. ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოს შემდეგ ჯერი ინფექციურ საავადმყოფოზე მიდგა, რადგან იმის საშიშროება არსებობდა, რომ ორგანიზმში დაგროვილ სითხეს შეიძლებოდა, ბარძაყის ძვლის დაშლა გამოეწვია. ერთი სიტყვით, თამუნა ფეხის ამპუტაციას, როგორც იტყვიან, ბეწვზე გადაურჩა. მას შემდეგ, წელიწადი და 6 თვეა, ინვალიდის ეტლშიც ველარ ჯდება, რადგან ჭრილობები ბოლომდე შეხორცებული არ არის და შეიძლება გაიხსნას.

ეს ამბავი 9 წლის წინ მოხდა. დატრიალებული ტრაგედიიდან ერთი წლის თავზე, ეთერ ცინცაძემ სასამართლოს მიმართა. მის მიერ შეტანილი სარჩელის თანახმად, თამუნას დედა მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას დღემდე ითხოვს. **"მარტოხელა დედა ვარ, კეთილი ხალხის იმედად როდემდე ვიყო? ჩემი შვილი პირველი ჯგუფის ინვალიდია, მისი პენსია 28 ლარია. თავად რეაბილიტირებულთა ოჯახის წევრი გახლავართ, მეც ვიღებ პენსიას. წლების განმავლობაში სახელმწიფო ტელევიზიაში ვმუშაობდი. 9 წლის განმავლობაში სამსახურში არ მივლია, ისე მინახავდნენ ჩემი თანამშრომლები. ახლა ის ხალხიც გაათავისუფლეს და საკუთარი განცხადების საფუძველზე მეც დავტოვე სამსახური, თუმცა, პენსიის ფორმით, თვეში 100 ლარს მაძლევენ. ესაა მთელი ჩვენი შემოსავალი,"** - გვითხრა ეთერ ცინცაძემ. როგორც მისი ახლობლებისგან გავიგეთ, მარტოხელა დედას გასაყიდი აღარაფერი დარჩა.

შესაძლოა, პენსიების "ჯამი" ვინმეს არ ეცოტავოს, მაგრამ თამუნას მედიკამენტების რაოდენობას და კვების სპეციალურ რაციონს თუ გავითვალისწინებთ, იმ თანხასთან შედარებით, რაც პაციენტს ყოველთვიურად სჭირდება, ზღვაში წვეთია.

ეთერ ცინცაძემ საავადმყოფოებთან ერთად სასამართლოებიც შემოიარა. სკოლა პასუხისმგებლობას იხსნის, იგივეს ამბობენ განათლების სამინისტროსა და მერიაშიც. სასამართლო პროცესებზე იმის გარკვევას ცდილობდნენ, თუ ვის მიერ იყო დაპროექტებული 1980 წელს აშენებული № 161 საშუალო სკოლა. ამ გზით სურთ დამნაშავის დასჯა. თუმცა, დღემდე ვერც სკოლის არქიტექტორის ვინაობის დადგენა მოხერხდა.

სკოლის დირექტორი ჯუმბერ ცერცვაძე, რომელიც უკვე 14 წელია, 161-ე სკოლას ხელმძღვანელობს, აცხადებს, რომ ეს შემთხვევა როგორც სკოლის, ისე მისი ცხოვრების თანმდევი ტრაგედიაა. **"ქალაქის ბიუჯეტის დაფინანსების ამარა დარჩენილ სკოლას თამუნა ცინცაძის დასახმარებლად არანაირი სახსრები არ გააჩნია. მორალურად განადგურებულმა მასწავლებლებმა როგორც 9 კლასის, ისე საშუალო განათლების მისაღებად აუცილებელი ცოდნა ბავშვს მის სახლში მისცეს. მისმა კლასელებმა წერილი გაუგზავნეს ჰილარი კლინტონს და დახმარება სთხოვეს, მაგრამ პასუხი არ მოსულა. რაც შეეხება სასამართლოს, კანონიერების ფარგლებში, ყველა გზას ეძებს, რათა ამ ბავშვს დაეხმარონ. სასამართლო პროცესზე უნდა გამოვცხადდეთ როგორც სკოლის ხელმძღვანელი, ისე განათლებისა და ფინანსთა სამინისტროებისა და ქალაქის მერიის წარმომადგენლები."**

ბიუჯეტის შემყურე სკოლას რომ ზედმეტი ფული არ ჰქონდეს, გასაკვირი არაა. მით უმეტეს, როდესაც სკოლის დირექტორი აცხადებს, რომ მისი დირექტორობის განმავლობაში №161 სკოლაში არანაირი გადასახადისთვის თანხა არ შეგროვილა. ამ ფაქტს მშობლებიც ადასტურებენ. თუმცა, 161-ე სკოლის ბაზაზე არსებობს ფასიანი კლასებიც, რომლებსაც სკოლისთვის გარკვეული შემოსავალი მოაქვთ.

თამუნა ცინცაძის მომავალი, სავარაუდოდ, 8 აპრილს საოლქო სასამართლოში დაგეგმილ სასამართლო პროცესზე უნდა გადაწყდეს. სავარაუდოდ იმიტომ, რომ სასამართლო პროცესი დღემდე არაერთხელ გადადებულა.

ამ ისტორიის სიმძიმის მიუხედავად, შესაძლებელია, რომ თამუნამ ნორმალურად იცხოვროს. ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან, 28-ლარიანი პენსიის ნაცვლად, უფრო დიდი ყურადღებაა საჭირო. რაც შეეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, შესაძლოა, გერმანიაში ჩატარებული ოპერაციის – ზურგის ტვინის ტრანსპლანტაციის შემდეგ, პაციენტი ფეხზეც დადგეს, რისთვისაც 70 ათასი დოლარის - ოპერაციის საფასურის გადახდაა აუცილებელი. თანხა დიდია, თუმცა, შედარებას თუ გავაკეთებთ, ანალოგიური ოპერაცია აშშ-ში 300 ათასი დოლარი ჯდება.

დაბოლოს, ყველანაირ შედარებას თავი რომ დავანებოთ და ჩვენს რეალობას დავუბრუნდეთ, ფაქტია, რომ ქვეყანას უჭირს, თუმცა არც ისე, რომ კიდევ ერთ ადამიანს ადამიანური ცხოვრების პირობები ვერ შეუქმნას. მით უმეტეს, რომ თავად თამუნასაც აქვს ფეხზე დადგომის იმედი, რომელიც უკრაინაში სამკურნალოდ ყოფნისას იქაურმა ექიმებმა მისცეს.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაცნობებთ, რომ რუსეთის ფედერაციის მთავრობამ 2005-2006 სასწავლო წლისათვის საქართველოს გამოუყო სხვადასხვა ტიპის სასწავლო სტიპენდიები ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის სრული კურსის გასავლელად. ასევე, ადგილები რუსული ენის სპეციალისტთა სტაჟირებისათვის.**

**პირობები:**

**რუსეთის მთავრობა უზრუნველყოფს** სტუდენტების, ბაკალავრების, მაგისტრების, ასპირანტებისა და სტაჟიორების **სწავლის საფასურის დაფარვას. ყველა დანარჩენი მომსახურება, მგზავრობა, ცხოვრება საერთო საცხოვრებელში, კვება, სამედიცინო დაზღვევა და სხვა იფარება კანდიდატის მიერ.**

რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები იტოვებენ უფლებას შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარონ მისაღები გამოცდა-გასაუბრება. არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გახდება სტიპენდიის მფლობელი.

**მოთხოვნები:**
**კანდიდატები სავალდებულოა ფლობდნენ:**

1. სრულყოფილად რუსულ ენას;
2. საშუალო ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს (ატესტატს, ბაკალავრის/მაგისტრის დიპლომს);

სასურველი ფაკულტეტის არჩევის შემთხვევაში Mმსურველებმა უნდა წარმოადგინონ **შემდეგი საბუთები:**

n პირადი განცხადება;
■ ორი ფოტოსურათი;
■ ანკეტა (მიიღებთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში);
■ აბიტურიენტებმა - ატესტატის ასლი და ნიშნების ფურცელი (პირველი სემესტრი);
■ ასპირანტებმა - დიპლომის ასლი, ნიშნების ფურცელი, პუბლიკაციების ჩამონათვალი (თუ მოეპოვებათ) და მომავალი კვლევის მოკლე რეფერატი რუსულ ენაზე.

**შენიშვნა:**

■ კანდიდატები, რომლებიც აირჩევენ **კულტურისა და ხელოვნების სპეციალობებს 2005 წლის 1 ივლისისათვის** უნდა გამოცხადნენ შერჩეულ სასწავლო დაწესებულებაში (რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში), რათა გაიარონ შემოქმედებითი გამოცდა. მათი მიღება განხორციელდება მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის საბოლოოს გადაწყვეტილებით.
■ კანდიდატები, რომლებიც აირჩევენ **ფიზიკურ კულტურას და სპორტს**, ატესტატში უნდა ჰქონდეთ ნიშანი ფიზკულტურაში და უნდა ფლობდნენ თანრიგს არჩეული სპორტის სახეობაში.

*ატესტატში ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში, არჩეულ სპეციალობაში შეფასება - "დამაკმაყოფილებელის" (3) არსებობის შემთხვევაში, კანდიდატის საბუთები არ მიიღება;*

**დეტალური ინფორმაციის, სპეციალობებისა და უმაღლესი სასწავლებლების ჩამონათვალის გასაცნობად მსურველებმა უნდა მომართონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო და საზღვარგარეთის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს.**

მისამართი: **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**დიმიტრი უზნაძის N52, ოთახი 129,** ტელეფონი: **95-70-10**

**დოკუმენტაციის წარდგენის ბოლოო ვადაა 2005 წლის 22 აპრილი**



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს საგანმანათლებლო სფეროში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერტიფიკატების (დიპლომების, ატესტატების, მოწმობების) ნიმუშების დიზაინის შერჩევის მიზნით.

**კონკურსში გამარჯვებული დასაჩუქრდება:**
■ I ადგილზე 300 ლარით
■ II ადგილზე 200 ლარით

სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საგანმანათლებლო სერთიფიკატების სავალდებულო რეკვიზეტები, მოთხოვნები და ინსტრუქციები დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.**
**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ გამოქვეყნებიდან ათი დღის განმნავლობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში**
**ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52,**
**ოთახი N222; ტ.95 65 91)**

## ორი სიტყვით

**კუბა.** კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ რომის პაპის იოანე პავლე მეორის სულის მოსახსენიებელ მესაში მიიღო მონაწილეობა. როგორც იუწყებიან, მან და მისმა ძმამ რაულმა ჰავანაში ვატიკანის წარმომადგენლობა მოინახულეს და სამგლოვიარო წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი დატოვეს. რომის პაპი კუბას 1998 წელს ეწვია. ამის შემდეგ ხელისუფლებამ მორწმუნეებს კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლის ნება დართო. იოანე პავლე მეორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კუბაში სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**უკრაინა.** უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო 11-12 აპრილს ოფიციალური ვიზიტით პოლონეთს ეწვევა. უკრაინის საგარეო უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელის დმიტრი სვისტკოვის თქმით, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია პოლონეთის პრეზიდენტთან ალექსანდრ კვასნევსკისთან, პრემიერ-მინისტრთან მარეკ ბელკასთან და პოლონეთის სეიმისა და სენატის წარმომადგენლებთან შეხვედრა. მოლაპარაკებისას განხილული იქნება ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პრესპექტივები. აშშ-ში ვიზიტის მსგავსად, პოლონეთში სტუმრობისას, ასევე, დაგეგმილია უკრაინის პირველი პირის ადგილობრივ სტუდენტებთან შეხვედრა. გარდა ამისა, ვარშავის უნივერსიტეტში უკრაინის დემოკრატ ლიდერს "ნარინჯისფერი რევოლუციის" მონაწილეებიც დახვდებიან. დაბოლოს, ვიქტორ იუშენკო მონაწილეობას მიიღებს კარპატისპირეთის სავოევოდოში დაკრძალული უკრაინის სახელმწიფო ჰიმნის ავტორის მიხაილ ვერბიცკის სახელობის პანთეონის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალში. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**ინდოეთი.** პაკისტანის კუთვნილ ქაშმირის რაიონისა და ინდოეთის დამაკავშირებელ ახალ ავტომაგისტრალზე, რომლის საზეიმო გახსნაც უახლოეს დღეებში იგეგმებოდა, აფეთქება მოხდა. სააგენტო "ფრანს პრეს"-ის ინფორმაციით, მაგისტრალზე დამონტაჟებული ნაღმის აფეთქებისას 6 ადამიანი დაიჭრა. ცოტა ხნით ადრე კი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ამავე მაგისტრალის ახლოს მდებარე ერთ-ერთ სოფელში 2 ასაფეთქებელი მოწყობილობის გაუვნებელყოფა შეძლეს.

საავტომობილო გზა, რომელიც მრავალწლიან კონფლიქტში ჩართულ ორ დაპირისპირებულ ქვეყანას დააკავშირებს, სავარაუდოდ, ხვალ გაიხსნება. გუშინდელი აფეთქების ფონზე, რთული სათქმელია, რამდენად ეფექტურად განხორციელდება სამშვიდობო მიზნით შემუშავებული საავტომობილო გეგმა. ჯერ კიდევ თებერვალში პაკისტანელი მეამბოხეები დესტაბილიზაციით იმუქრებოდნენ. "ეს შეთქმულებაა პაკისტანის წინააღმდეგ, რომელიც ჯიჰადის შესტუსტებას ისახავს მიზნად", - აცხადებდა არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფების "ჯეიშ-ალ-მოჰამად"-ის მუფტი აბდურ რაუფი. **რიანოვოსტი**

# ნარინჯისფერი ვარდები ოვალურ კაბინეტში

### ვიქტორ იუშენკო აშშ-უკრაინის ურთიერთობებში "ახალი ერის" დაწყებას ცდილობს

ნიკა თარაშვილი

*უკრაინის "ნარინჯისფერი რევოლუცია" სამაგალითო უნდა იყოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ყველა ერისთვის, - ასეთი ამაღლებული განწყობით ხვდებოდნენ უკრაინის პრეზიდენტს აშშ-ში. ვიქტორ იუშენკოს ვიზიტი აშშ-ში 3 აპრილს დაიწყო და 7 აპრილამდე გასტანს. ვაშინგტონი "ნარინჯისფერი" რევოლუციის ბელადს უდიდესი პატივით მასპინძლობდა. 4 აპრილს იუშენკომ შეხვედრები გამართა აშშ-ს პრეზიდენტთან, ვიცე-პრეზიდენტთან და სახელმწიფო მდივანთან. ამას გარდა, ვიქტორ იუშენკო იმავე დღეს ჩიკაგოში უკრაინულ დიასპორასთან შესახვედრად გაემგზავრა (იუშენკოს მეუღლეც ჩიკაგოშია დაბადებული). გუშინ კიდევ ერთი საპატიო შეხვედრა უკრაინის პრეზიდენტმა აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატასა და სენატში გამართა. ვიქტორ იუშენკო კენედის სახელობის ბიბლიოთეკის ჯილდოთიც დაასაჩუქრეს – "მამაცობისთვის". აშკარაა, ახალი ერა იწყება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია - არა მარტო უკრაინა-აშშ-ს ურთიერთობებში.*



საპატიო სტუმრის გასახარად ოვალურ კაბინეტსაც ნარინჯისფერი ვარდები ამშვენებს.

**"მიმდინარე კვირაში ვაშინგტონის საზოგადოების ყურადღების ცენტრში დემოკრატიის გლობალური მარში მოექცევა - როცა ვიქტორ იუშენკო ეწვევა თეთრ სახლსა და აშშ-ს კონგრესს,"** - წერდა ამერიკული "ქრისჩენ საიენს მონიტორი".

ამერიკისა და აშშ-ს პრეზიდენტების პირველი შეხვედრისას ბრიუსელში ჯორჯ ბუშმა ვიქტორ იუშენკო შეერთებული შტატების ლეგენდარულ პრეზიდენტს, ჯორჯ ვაშინგტონს შეადარა – უკრაინის ახალ პრეზიდენტს ხომ თითქმის იგივე ამოცანების გადაწყვეტა უწევს, რაც 200 წლის წინ ახალი ერის დამფუძნებლის წინაშე იდგა. ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში, ამერიკის პრეზიდენტს ვიქტორ იუშენკო მსოფლიოში დემოკრატიის გამარჯვების მაგალითად მოჰყავს. ამიტომაა ალბათ, რომ თეთრი სახლი ერაყიდან უკრაინული სამხედრო კონტინგენტის გაყვანაზეც ადვილად ხუჭავს თვალს. ჯორჯ ბუშმა "სტრატეგიული მოკავშირის" ამ ნაბიჯის გამართლებაც კი სცადა: "მე მესმის, რომ მას წინასაარჩევნო დაპირების შესრულება უხდება," – განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ანტიერაყული კოალიციიდან უკრაინის გასვლის შესახებ უხერხულ კითხვაზე პასუხისას.

თუმცა, ვიზიტის დანარჩენი ეპიზოდები გაცილებით ამაღლებული განწყობით წარიმართა. იუშენკოს ოფიციალური შეხვედრები ჯორჯ ბუშთან ოვალურ კაბინეტში სტუმრობით დაიწყო. პირისპირ საუბრის შემდეგ პრეზიდენტები კმაყოფილებას არ მალავდნენ და ხმამაღალი განცხადებების გაკეთებასაც არ ერიდებოდნენ.

ერთობლივი პრესკონფერენციის მთავარი თემა მშვიდობიანი რევოლუციების მხარდაჭერა იყო. **"ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს - გავავრცელოთ თავისუფლება სხვა ქვეყნებშიც,"** - კიდევ ერთხელ გაიმეორა ბუშმა ჯერ კიდევ ბრატისლავაში რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრამდე გაკეთებული განცხადება.

**"ახალი უკრაინის იდეალები – დასავლური ცივილიზაციის იდეალებია,"** - ამბობს პასუხად იუშენკო.

ჯორჯ ბუში უკრაინის ამბიციურ მისწრაფებებსაც უჭერს მხარს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და ნატო – ეს ის ინსტიტუტებია, რომლებშიც უკრაინის ხილვას აშშ-ს ხელისუფლება, უდავოდ, მიესალმებოდა. "ჯექსონ-ვენიკის შესწორების" (1978 წელს მიღებული სავაჭრო შეზღუდვები საბჭოთა კავშირისთვის, რომელიც დღემდე ძალაშია) გადახედვასაც დაჰპირდა ვაშინგტონი უკრაინელ ხალხს. სხვათა შორის, ეს საკითხი, უკვე დიდი ხანია, დგას თეთრი სახლის დღის წესრიგში. ჯორჯ ბუში სამი წლის განმავლობაში ცდილობდა რუსეთთან მიმართებაში ამ შეზღუდვების მოხსნას, მაგრამ კონგრესი არ დაეთანხმა. აი, უკრაინის შემთხვევაში კი, კაპიტოლიუმის გორაზე, შესაძლოა, სხვანაირად მიიჩნიონ. და თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ბუნებრივია, მოსკოვი ჩათვლის, რომ კიდევ ერთი სილა გააწნეს.

თუმცა, როგორც დასავლური პრესა იხსენებდა, აშშ უკრაინას დახმარებას უფრო ადრეც ჰპირდებოდა, მაგრამ ეს დაპირება არ შესრულებულა. იუშენკოს პრემიერ-მინისტრობის პერიოდში უკრაინელთა უმრავლესობა წუხდა, რომ აშშ არაფერს აკეთებს ქვეყანაში დასავლური ტიპის რეფორმების მხარდასაჭერად. ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ იუშენკომ უფლებამოსილება მოიხსნა რეფორმების მოწინააღმდეგე პარლამენტის წინაშე.

დღეს კი "ნარინჯისფერი რევოლუცია" დიდი სტიმულია სტრატეგიული თანამშრომლობის აღსადგენად. **"საფუძველი ჩაეყარა ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას. ახლა ჩინოვნიკების საქმეა, ხორცი შეასხან ამ კეთილ წამოწყებას,"** - აღნიშნავს "აშშ-უკრაინის" კიევის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი მარკიან ბილინსკი.

დაპირებები კი ამჟამადაც მრავლად გაისმა. პრესკონფერენციაზე ბუშმა აღნიშნა, რომ 60 მილიონით დაეხმარება უკრაინაში დემოკრატიის განმტკიცებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მან აღარ დააკონკრეტა მოთხოვნილი თანხიდან აშშ-ს კონგრესის მიერ უკრაინისთვის მხოლოდ 33,7 მლნ აშშ დოლარის დახმარების დამტკიცების ფაქტი; ასევე, არ უხსენებია მისი ადმინისტრაციის გადაწყვეტილება - ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამების 46 პროცენტით შემცირება მომავალი ოთხი წლის მანძილზე.

და მაინც, უკრაინა ავლანეთსა და ერაყში შემდგარი დემოკრატიზაციის გაგრძელებაა, - ხაზს უსვამს აშშ-ს პრეზიდენტი.

უნდა ითქვას, რომ რიტორიკაში პრეზიდენტები ერთმანეთს არ ჩამორჩებოდნენ. **"თქვენ ჩვენი ქვეყნის მეგობარი ბრძანდებით, და ბევრისთვის წარმოადგენთ მაგალითს,"** - ამბობს ჯორჯ ბუში. არც იუშენკო ჩამორჩება მასპინძელს: **"უკრაინის მოქალაქეთა უმრავლესობას სურს, ამერიკა სტრატეგიულ პარტნიორად იხილოს. მე მოხარული ვარ, რომ ამ სურვილს აშშ-ს პრეზიდენტიც იზიარებს."** მოკლედ, ორშაბათს უკრაინა-აშშ-ს ურთიერთობებში ახალ ერაზე ბევრი ისაუბრეს.

სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების გარდა, საუბარი აღმოსავლეთ ევროპაში თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვას, ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას და იარაღის გაუვრცელებლობის სფეროში თანამშრომლობას ეხებოდა. პირისპირ შეხვედრის სხვა დეტალებზე განცხადებები არ კეთდება.

უკრაინის პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის მთავარი შედეგი კი ხელმოწერილი დოკუმენტია - "ახალი საუკუნის დღის წესრიგი უკრაინულ-ამერიკული სტრატეგიული თანამშრომლობისთვის". მასში პირდაპირ არის საუბარი იმაზე, რომ საქართველოსა და მოლდოვაში კონფლიქტების მოგვარებას, ასევე, თავისუფლების ხელშეწყობას ბელორუსსა და კუბაზე აშშ და უკრაინა ერთობლივი ძალებით შეეცდებიან. **"მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნები ერთმანეთის გვერდით იდგებიან, როგორც გლობალური პარტნიორები, რათა მიღწეულ იქნეს თავისუფლება, უსაფრთხოება და კეთილდღეობა 21-ე საუკუნეში,"** – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

კიდევ ერთი ფრაზა, რომელმაც მყისვე რეაქცია გამოიწვია რუსულ მედიაში, ამჯერად ბუშს ეკუთვნოდა – **"მე უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების იდეის მომხრე ვარ. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია."** რასაკვირველია, ეს განცხადება არ გულისხმობს, რომ უკრაინა უახლოეს მომავალში გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. თუმცა, კრემლს საფიქრალს უდავოდ გაუჩენს.

ჯორჯ ბუშმა სპეციალურად აღნიშნა ისიც, რომ უკრაინასა და აშშ-ს შორის თანამშრომლობა არანაირად არ დააშორებს კიევს ევროკავშირს. **"მინდა, დავარწმუნო უკრაინელი ხალხი, რომ თქვენ არ მოგიხდებათ არჩევანის გაკეთება ევროკავშირსა და აშშ-სთან მეგობრობას შორის. ეს ის არ არის, რასაც ამერიკის მთავრობა თავის მეგობრებს აიძულებს. თქვენ შეგიძლიათ იყოთ ევროკავშირის წევრიც და, ამავდროულად, აშშ-ს მეგობარიც,"** – ირწმუნებოდა აშშ-ს პრეზიდენტი - სავარაუდოდ, უფრო მეტად ევროპელი "მოკავშირეების" გასაგონად, ვიდრე უკრაინელი ხალხის "დასამშვიდებლად". საქმე ისაა, რომ ევროკავშირის ძველ წევრებს შორის უკვე საკმაოდ გამძაფრებულია შეგრძნება, რომ გაერთიანების ახალი წევრები აღმოსავლეთ ევროპიდან მეტისმეტად პროამერიკულები არიან. აქედან გამომდინარე, "პროამერიკული" უკრაინის გაწევრიანებას ევროპაში, შესაძლოა, დიდი წინააღმდეგობა შეხვდეს.

დაბოლოს, აშშ-ში უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტს თითქმის ყველა ექსპერტი გარდამტეხ მომენტად აღიქვამს, და – არა მხოლოდ ორი ქვეყნის ურთიერთობებში, არამედ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის. მით უმეტეს, რომ "რევოლუციური ტალღა" ჯერ კიდევ არ მინელებულა.

# ევროკავშირი და რუსეთი სამიტის წინ - დავა "საერთო სამეზობლოზე"

ნინო გელაშვილი
*რადიო თავისუფლება*

ახლოვდება ევროკავშირი-რუსეთის სამიტი, რომელიც 10 მაისს მოსკოვში ჩატარდება. დაგეგმილია ბლოკსა და რუსეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. დოკუმენტი ოთხ სფეროს მოიცავს, რომელთაგან ორი განსაკუთრებით პრობლემური რჩება.

მოსკოვის სამიტს წინ უძღოდა რამდენიმე მაღალი დონის ვიზიტი, რომელთა კონკრეტული შედეგიც დაუდგენელია, რადგან პრესასთან საუბარში მონაწილეები ძალიან ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლნენ.

4 აპრილს რუსეთში ორდღიანი ვიზიტით ჩავიდა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების საკითხების კოორდინატორი ხავიერ სოლანა. ვლადიმირ პუტინი მას 5 აპრილს სოჭში შეხვდა და ასე მიმართა: "სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა თანმიმდევრულად ვითარდება. სულ უფრო მეტ შეხების წერტილს ვპოულობთ."

რუსეთის პრეზიდენტმა, ასევე, "სიამოვნებით" აღნიშნა, რომ წინსვლა არის იმ სფეროშიც, რომელსაც ხავიერ სოლანა კურირებს, მათ შორის - ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, კონფლიქტების მოგვარების საკითხშიც. დიახ, უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა ერთ-ერთი იმ ოთხ საკითხთაგანია, რომელთაგან ევროკავშირი-რუსეთის მიერ ხელმოსაწერი დოკუმენტი შედგება. სოჭში შეხვედრისას პუტინის თავაზიანობას თავაზიანობითვე უპასუხა სოლანამაც: "ჩვენი ურთიერთობა სულ უფრო უკეთესი ხდება და დარწმუნებული ვარ, სამიტი, რომელიც რამდენიმე კვირაში, 10 მაისს ჩატარდება, წარმატებული იქნება".

სოლანას ვიზიტს მოსკოვში წინ უსწრებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ვიზიტი ლუქსემბურგში, სადაც ევროკავშირი-რუსეთის თანამშრომლობის მუდმივი საბჭოს სხდომა შედგა. იმ შეხვედრაზე ყველაზე რთულ საკითხად მიჩნეული იყო ურთიერთობა საერთო მეზობლებთან. რუსეთს საფუძველშივე არ მოსწონს "საერთო სამეზობლოს" იდეა. აქ საუბარი ეხება ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობას.

მოდით, ისევ ევროკავშირი-რუსეთის შეთანხმებას მივუბრუნდეთ, რომლის ერთადერთი ნაწილი – კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ, ყველაზე ნაკლებად წინააღმდეგობრივია.

საშინაო უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირი რუსეთისგან უკანონო მიგრანტთა უკან მიღებას ითხოვს. ამის სანაცვლოდ, ბრიუსელი რუსეთის მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნების ვიზის გაცემის გაიოლების დაპირებით გამოდის. მოსკოვი ამას არასაკმარისად მიიჩნევს და სრულ სავიზო თავისუფლებას ითხოვს.



ევროკავშირი რუსეთს ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო აკრიტიკებს. რუსეთი კი თავს ტერორიზმთან ბრძოლის საჭიროებით იმართლებს.

რუსეთის ყველაზე დიდ გაღიზიანებას, როგორც უკვე მოგახსენეთ, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ევროკავშირის როლის გააქტიურება იწვევს.

ყველაფრის მიუხედავად, ლუქსემბურგის შეხვედრაზე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან ასელბორნმა განაცხადა, რომ მიღწეულია "დიდი პროგრესი" ბლოკსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებებში: "ამ დილით შესაძლებლობა მოგვეცა, კმაყოფილებით აღგვენიშნა ზოგადი პროგრესი, უფრო სწორად – უდიდესი პროგრესი, რომელიც ოთხ სფეროზე მოლაპარაკებისას იყო მიღწეული".

ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრის ხაზგასმული ოპტიმიზმი არ გაიზიარა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ნათლად განმარტა, რომ სამიტის მოახლოება სრულებით არ განაპირობებს რაიმე საკითხზე შეთანხმების მიღწევის დაჩქარებას ან ვინმეს იძულებას, საკუთარი ინტერესების საზიანოდ მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება: "ახლავე მინდა, დავარწმუნო ისინი, ვინც ეჭვებში არიან, რომ 10 მაისი არ არის თარიღი, რომლის დადგომამდეც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენს შედეგის მიღება. იმედი მაქვს და მჯერა, რომ ეს შედეგი მიიღწევა, მაგრამ ის მიიღწევა არა რუსეთის ინტერესების დარღვევის გზით, და რა თქმა უნდა - არა ევროკავშირის ინტერესების საზიანოდ", – განაცხადა სერგეი ლავროვმა.

სხვათა შორის, ლუქსემბურგის შეხვედრაზე საინტერესო შეუთავსებლობა იყო რუსეთისა და ევროკავშირის მხარეების მიერ საკითხთა პრიორიტეტიზაციაში: რუსეთის მხარე პირველ ადგილას კოსოვოში არსებულ ვითარებასა და კვიპროსის გაერთიანების საკითხს აყენებდა, როცა ევროკავშირის განსახილველ საკითხთა ნუსხაში დნესტრისპირეთსა და საქართველოში არსებული გაყინული კონფლიქტები დომინირებდა.

ასე რომ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ 10 მაისის სამიტამდე, რომელზეც ევროკავშირისა და რუსეთის ლიდერები შეხვდებიან ერთმანეთს, კრიტიკულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა მოხერხდება, რაც თავად სამიტის მიმართ ინტერესს კიდევ უფრო აღვივებს.

# იორდანიის მთავრობა გადადგა

"ალ-ჯაზირა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იორდანიის მთავრობა, პრემიერ-მინისტრის ფეიზალ ალ-ფაიზას მეთაურობით, გადადგა. იორდანიის მეფემ აბდალა II-მ მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირება ადნან ბადრანს დაავალა. აკადემიკოსი ადნან ბადრანი ამანის უნივერსიტეტის რექტორია. მას ადრე განათლების მინისტრის პოსტი ეკავა, მოგვიანებით კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთაურის პორტფელი ჩაიბარა.

იორდანიის მთავრობაში საკადრო ცვლილებებს ჯერ კიდევ გასული თვის ბოლოდან ელოდნენ. ადგილობრივი ბეჭდვითი მედიის პროგნოზით, საკადრო ცვლილებები აპრილის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო.

მთავრობის გადადგომა 3 მიზეზით მოხდა - ალჟირში, საერთოარაბულ სამიტზე იორდანიელი დიპლომატების მუშაობა, ერაყთან კრიზისული ურთიერთობები და იორდანიის პარლამენტთან კაბინეტის არადამაკმაყოფილებელი თანამშრომლობა.

"ალ-არაბიის" თანახმად, 23-24 მარტს ალჟირში საერთოარაბულ სამიტზე იორდანიის საგარეო უწყების მეთაურის მუშაობით მეტისმეტად უკმაყოფილო დარჩა მეფე აბდალა II. მონარქის აზრით, ქვეყნის პირველმა დიპლომატმა ვერ შეძლო ახლო აღმოსავლეთის კრიზისთან დაკავშირებით იორდანიის ინიციატივის მკაფიოდ ჩამოყალიბება. აბდალა II არც ერაყთან ურთიერთობების მოგვარების გზებმა დააკმაყოფილა.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავება ერაყში ქალაქ ჰილაში იორდანიელი თვითმკვლელი-ტერორისტის მიერ განხორციელებულმა ტერაქტმა განაპირობა. აღნიშნულ ტერაქტს 120-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამის შემდეგ ერაყელმა შიიტებმა რამდენიმე დღის მანძილზე ალყაში მოაქციეს ბაღდადში იორდანიის საელჩოს შენობა. კრიზისული ვითარების გამო, ქვეყნიდან გაიწვიეს იორდანიის ელჩიც. **რიანოვოსტი**

# ჩრდილოეთი კორეა მოლაპარაკებებს თანხმდება

გასული წლის ზაფხულში შეწყვეტილი ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლებას, როგორც იქნა, კვლავ დასთანხმდა ჩრდილოეთი კორეა. პეკინის საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ცნობებით, ჩრდილოეთ კორეის საგარეო უწყების ხელმძღვანელის პირველი მოადგილე კან სეკ ჩუ ჩინეთის დედაქალაქში ოთხდღიანი დახურული კონსულტაციების შემდეგ ჩინეთის ხელისუფლებას დაეთანხმა, განეახლებინათ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ექვსმხრივი მოლაპარაკებები. მიღწეული შეთანხმებით კმაყოფილი კან სეკ ჩუ გუშინ სამშობლოში დაბრუნდა.

კულუარული ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეის ემისარმა ამგვარი გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით მიიღო, რამაც, საერთაშორისო საზოგადოების ძლიერი ზეწოლის ფონზე, ოფიციალურ ფხენიანს რენომე შეუნარჩუნა.

ამჯერად დიალოგის გასამართად მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა უკვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, რუსეთზე, აშშ-ზე, იაპონიასა და, რა თქმა უნდა, სამხრეთ კორეაზეა დამოკიდებული. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ "ტირანიის ფორპოსტად" წოდებული ჩრდილოეთი კორეა შექმნილი მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებაზე უარს ამბობს.

*24 საათი*

# ევროპოლმა ესტონელი „ხაკერი" დააკავა

ახლახან სამართალდამცავებმა, როგორც იქნა, მიაგნეს ესტონელი თაღლითის კვალს, რომელმაც ინტერნეტის მეშვეობით უზარმაზარი თანხები მიითვისა ესპანეთის ბანკებიდან. ტალინში მცხოვრებ 24 წლის თაღლითს, რომლის გვარიც ჯერჯერობით არ ხმაურდება, ევროპოლი მთელი წლის მანძილზე დაეძებდა.

სააგენტო "ევროპა-პრეს"-ის თანახმად, ესტონელი თაღლითი "ფიშინგის" გზით ახერხებდა ინტერნეტპაროლების, საკრედიტო ბარათებისა და საბანკო ანგარიშების მოპარვას; თანაც, იგი მოქმედებდა არა მარტო ესპანეთის მასშტაბით, არამედ წარმატებით ახორციელებდა ტექნოლოგიურ მაქინაციებს დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ლატვიასა და ლიტვაში. მან ასობით პირის პირწმინდად გაქურდვა შეძლო, რომლებსაც ანგარიშებზე რამდენიმე მილიონი ევროს ოდენობის თანხა ჰქონდათ.

ერთი შეხედვით, "ხაკერის" სამოქმედო გეგმა საკმაოდ მარტივი იყო - იგი ათასობით მისამართზე, ვითომ სამუშაოს შეთავაზების მიზნით, გზავნიდა ელექტრონულ წერილებს, რომლებიც შეიცავდნენ "ტროიანეს" სახელით ცნობილ ვირუსთა ჯგუფს. სწორედ აღნიშნული ვირუსების მეშვეობით იგებდა ესტონელი ახალგაზრდა იმ პირთა საბანკო ანგარიშების სრულ მონაცემებს, რომლებიც ამგვარ წერილებს იღებდნენ.

დანაშაულის ჩადენის დადასტურების შემთხვევაში, ესტონელ "ხაკერს" 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# გატაცებული ერაყელი გენერალი

ერაყის პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 5 აპრილს უცნობებმა ბაღდადში ერაყის არმიის გენერალი გაიტაცეს. სააგენტო "როიტერ"-ის თანახმად, სპეციალური ჯავშანსატანკო დივიზიის მეთაური მოჰამად ჯალალ სალეჰი ბოევიკებმა ავტომანქანიდან ძალით გადმოსვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ბაღდადის აეროპორტთან მომხდარი აფეთქების შემდეგ, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, გენერალი გაიტაცეს. აფეთქების შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა. სალეჰი ერაყის რეფორმირებული არმიის იმ ნაწილის მეთაურია, რომელიც მეამბოხეებთან და კრიმინალურ ბანდებთან ბრძოლის მიზნით შეიქმნა. სააგენტო "ფრანს-პრეს"-ის ცნობით, ქვედანაყოფში 1600 ჯარისკაცი და ოფიცერი შედის. გენერლის გატაცებაზე პასუხისმგებლობა, ჯერჯერობით, არც ერთ ექსტრემისტულ დაჯგუფებას არ აუღია საკუთარ თავზე. ერაყში ადამიანების გატაცება, გამოსასყიდისა თუ ამა თუ იმ ქვეყნის საჯარისო ნაწილის ერაყიდან გაყვანის მოთხოვნით, ჩვეულებრივი მოვლენაა. ბოევიკებს ადრეც არაერთხელ აუყვანიათ მძევლად ერაყის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები და სამხედროები; ზოგიერთს კლავდნენ და მოგვიანებით სიკვდილით დასჯის სცენების ვიდეო-ჩანაწერების ტერორისტების ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებასაც არ ერიდებოდნენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასმედია უფრო ხშირად საქველმოქმედო ორგანიზაციების უცხოელი თანამშრომლებისა თუ ჟურნალისტების გატაცების ფაქტებს ეხმაურება; თანაც, ადამიანთა გატაცებით არამარტო ბოევიკები, არამედ არარელიგიური იდეებით მოტივირებული რიგითი დამნაშავეებიც არიან დაკავებული.

*24 საათი*

# კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილია ფინანსური დარღვევები

## მასალები გენპროკურატურას უკვე გადაეგზავნა

*კონტროლის პალატის მიერ სახელმწიფო სტრუქტურებში აღმოჩენილი ფინანსური დარღვევების მოცულობა ამ დროისთვის რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს. მხოლოდ სამი ორგანიზაციის - შპს "საქართველოს რკინიგზის", სს "დუშეთგაზის" და თბილისის განათლების საქალაქო სამსახურის მაგალითებზე ეს ციფრი 4 მილიონ ლარამდე აღწევს. ფინანსური დარღვევების ამსახველი მასალები და დოკუმენტები გენერალურ პროკურატუას კონტროლის პალატამ უკვე გადაუგზავნა. გუშინ კი ამ უწყების თავმჯდომარემ პრესკონფერენცია გამართა.*

მარიამ ჭაჭკაძე

### რკინიგზაში რევიზია გრძელდება

უკვე რამდენიმე თვეა, კონტროლის პალატის რევიზია ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სახელმწიფო საწარმოში - "საქართველოს რკინიგზაში" მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ რევიზია კონტროლის პალატას ჯერ არ დაუმთავრებია, ამ საწარმოში აღმოჩენილი დარღვევების შესახებ შუალედური აქტები უკვე შედგენილია და რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას გადაეცა.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ზურაბ სოსელიამ განაცხადა, "საქართველოს რკინიგზაში" მიმდინარე რევიზია ერთ თვეში დასრულდება, თუმცა შემოწმების პროცესში გამოვლინდა ზოგიერთი ისეთი ფაქტი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. მისივე ინფორმაციით, გენპროკურატურაში გადაგზავნილი აქტები 2002 წლის ივნისიდან 2003 წლის მაისამდე პერიოდს მოიცავს. **"საქართველოს რკინიგზის" აჭარის სამმართველომ ს/ს "უნივერსალურ სავაჭრო ცენტრზე" 700 ათასი დოლარის გარანტია გასცა, რათა სავაჭრო ცენტრს "საქართველოს საზღვაო ბანკიდან" კრედიტი გამოეტანა. მნიშვნელოვანია, რომ სავაჭრო ცენტრი თავად "საქართველოს საზღვაო ბანკის" დამფუძნებულია, ამიტომ მას საკუთარ მფლობელთან გარანტია არაფერში სჭირდებოდა. აღნიშნული თანხა, რა თქმა უნდა, სრულად არ იქნა დაფარული და რკინიგზას ჩამოეჭრა,"** - განაცხადა სოსელიამ.

მისი თქმით, დარღვევებია აღმოჩენილი ასევე "საქართველოს რკინიგზასა" და "საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას" შორის 2003 წლის მარტში გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ამ ხელშეკრულების თანახმად, "საქართველოს რკინიგზას" გადაეცა 2003 წელს დაგეგმილი, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჩატარებაზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციის უფლება, რომელთა საერთო ღირებულება 430 ათას ლარს შეადგენდა. **"რეალურად, რეალიზებული იქნა 170 ათასი ლარის ღირებულების ბილეთი, 250 ათას 700 ლარი კი რკინიგზას ზარალად დაედო,"** - განაცხადა სოსელიამ.

### დარღვევები განათლების საქალაქო სამსახურში

"შთამბეჭდავია" იმ დარღვევების ნუსხა და შინაარსი, რომელიც კონტროლის პალატამ თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახურში გამოავლინა.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ზურაბ სოსელიამ განაცხადა, განათლების საქალაქო სამსახურმა სარევიზიო ჯგუფს ვერ წარუდგინა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, კერძოდ; 2003 წელს მშენებლობის ღია ტენდერის ჩატარების შესახებ პრეტენდენტების სარეგისტრაციო ჟურნალი, პრეტენდენტების კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ დაგზავნილი შეტყობინებები, განზრახვათა შესახებ ხელშეკრულებები, იმ ფირმების განცხადებები და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, რომლებიც შემდგომ აღარ მონაწილეობენ ღია ტენდერში, მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, წარმოდგენილი კონვერტები და მასში მოთავსებული სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტები.

**"ასევე ადგილი ჰქონდა ფაქტებს, როდესაც ტენდერი გამოცხადდა და ჩატარდა, როგორც ერთწლიანი, თუმცა შემდგომ, გამარჯვებულ ფირმასთან ხელშეკრულება ორი წლის ვადით გაფორმდა,"** - განაცხადა სოსელიამ.

მისივე თქმით, თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახურის დაფინანსებაზე მყოფ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა ბავშვთა კვების მშობლებისგან თანადაფინანსებას. ამასთან, მშობლების მიერ სპეცსახსრების სახით გადახდილი თანხა, სახაზინო ანგარიშზე შეტანის ნაცვლად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში უკანონოდ რჩებოდა და იხარჯებოდა.

**"2004 წლის 1 იანვრიდან საქალაქო სამსახურის სპეცსახსრების ანგარიშებიდან დაწესებულებების ხარჯები არ უნდა გაწეულიყო, თუმცა, წლის პირველ ნახევარში საქალაქო სამსახურს ცალკე აქვს გათვალისწინებული სპეცსახსრები, როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში,"** - განაცხადა სოსელიამ.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის ინფორმაციით, თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახურის მიერ დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები 2002-2003 წლების ბალანსებში სრულად არ იყო ასახული, მათ შორის ცდომილება კი 3 მილიონ ლარს აღწევს.

ხსენებული მასალები, გენპროკურატურის გარდა, უკვე ფინანსურმა პოლიციამაც მიიღო.

### "დუშეთგაზის" ზარალი ნახევარ მილიონ ლარს აჭარბებს

ზურაბ სოსელიას გუშინდელი პრესკონფერენციის ერთ-ერთი თემა სს "დუშეთგაზის" შემოწმების შედეგებიც იყო, რომლის მასალები კონტროლის პალატამ გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა. სოსელიას თქმით, ს/ს "დუშეთგაზში", სადაც სახელმწიფო წილი ამ დროისთვის 99,03 პროცენტს შეადგენს, ჩაშლილია ბუღალტრული აღრიცხვა-გაანგარიშება. ინკასატორების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებსა და შემოსავალში ნაჩვენებ თანხებს შორის დიდი სხვაობაა; კერძოდ, ს/ს "დუშეთგაზსა" და შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას" შორის გაფორმებული ბუნებრივი აირის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ს/ს "დუშეთგაზმა" 2002 წელსა და 2004 წლის 9 თვის განმავლობაში დუშეთის რაიონის ზემო და ქვემო მლეთას, დიდ ველსა და ხადოს ხეობების სოფლების მოსახლეობას მიეწოდა 4135,3 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, რომლის ღირებულებაც 987,4 ათას ლარს შეადგენს. სხვაობამ 682.4 ათასი ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ამ თანხის გადახდაზე უარს აცხადებს როგორც სახელმწიფო, ისე მოსახლეობა, რაც "დუშეთგაზის" ზარალს წარმოადგენს. სოსელიას თქმით, აღნიშნული სხვაობის მიზეზების შესასწავლად და იმისათვის, რომ გაირკვეს, ვალების ზრდის მეშვეობით ხელოვნურად ხომ არ ხორციელდება სააქციო საზოგადოების გაკოტრება, მასალები გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ დენის პრობლემა ჰქონდა თბილისსაც. სომხეთთან მაკავშირებელი "ალავერდის" ხაზის დაზიანების გამო, დედაქალაქს 150 მეგავატი სიმძლავრე მოაკლდა. "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ინფორმაციით, "ალავერდზე" ერთგან სადენი გაწყვეტილი იყო, ორგან კი – მოშვებული. ამის გამო, თბილისი, ისევე, როგორც დანარჩენი საქართველო, ადგილობრივი გენერაციის ობიექტებიდან იკვებებოდა. "ალავერდის" აღდგენა გუშინ საღამოსვე მოხერხდა. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კონტროლის პალატაში მალე გადამზადების სასწავლო ცენტრი ამოქმედდება. როგორც 5 აპრილს გამართულ ბრიფინგზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ზურაბ სოსელიამ განაცხადა, გადამზადების ცენტრი, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შეიქმნება, აუდიტებს მოამზადებს. სასწავლო ცენტრში ლექციებს წაიკითხავენ გერმანელი და ბრიტანელი სპეციალისტები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 20-24 აპრილს სასტუმრო "მეტეხი პალასში" ინდური პროდუქციის და ტექნოლოგიების პირველი გამოფენა გაიმართება. როგორც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ ჯემალ ინაიშვილმა განაცხადა, გამოფენაში 20-ზე მეტი ინდური კომპანია მიიღებს მონაწილეობას. წარმოდგენილი იქნება ფარმაცევტული პროდუქცია, ველოსიპედები, ჩაი, ყავა, სათამაშოები, სამკაულები და მოდური აქსესუარები, ტყავის ნაწარმი, საავტომობილო ნაწილები, სასოფლო-სამეურნეო და ელექტრომოწყობილობები. როგორც ინდოეთის ელჩმა კავკასიის რეგიონში დეპაკ ვოჰრამმა განაცხადა, გამოფენის მთავარი მიზანი ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარება და ქართულ კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების შექმნაა. მომავალი წლის დასაწყისიდან საქართველოს სავაჭრო პალატის ორგანიზებით ინდოეთში ქართული ნაწარმის გამოფენა გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ავიაციის გადარჩენის საგანგებო კომიტეტი" ქუთაისის საავიაციო-ტექნიკური ქარხნის კუთვნილი ტექნოლოგიური დანადგარების ქვეყნიდან გატანის მცდელობაზე საუბრობს და ხელისუფლებას შესაბამისი ზომების მიღებისკენ მოუწოდებს. დარგის სპეციალისტთა განცხადებით, "ამ მოღალატური მცდელობის" ორგანიზატორი ქარხნის ყოფილი მფლობელი, ამჟამად რუსეთის მოქალაქე ავთანდილ ხაჭაპურიძეა, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრომ ქარხანა ჩამოართვა და ახლა ის უკვე ჩამორთმეული სახელმწიფო ქონების ქვეყნიდან გატანას ცდილობს. მათივე მტკიცებით, ხაჭაპურიძეს მხარს უჭერს "კორუმპირებულ ჩინოვნიკთა მთელი არმია" როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე მთავრობისა და პარლამენტის მაღალ ეშელონებში. **ინტერ-პრესი**

# "თბილგაზიდან" საგარეო პოლიტიკაში

დიანა ჩაჩუა

*"თბილგაზის" გენერალური დირექტორის დავით მორჩილაძის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ გადასვლის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. მორჩილაძის განცხადებით, იგი პოსტს მხოლოდ მას შემდეგ დატოვებს, რაც დარწმუნდება, რომ მისი წასვლით "თბილგაზში" არაფერი დაშავდება და კომპანია ბოლო თვეებში აღებულ გეზს არ გადაუხვევს.*



*"ჩემი მიზანი ქმედითი კომპანიის შექმნა იყო, რაც გავაკეთე კიდეც". - აცხადებს მორჩილაძე.*

უკანასკნელ დღეებში გავრცელებული ხმები, "თბილგაზის" გენერალური დირექტორის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ, ნაწილობრივ დადასტურდა. დავით მორჩილაძე აცხადებს, რომ მან საგარეო საქმეთა მინისტრისგან შემოთავაზება უკვე მიიღო, თუმცა იგი "თბილგაზის" დატოვებას მხოლოდ ენერგეტიკის საბჭოს და პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშით გამოსვლის შემდეგ აპირებს. გუშინ, "თბილგაზში" გამართულ პრესკონფერენციაზე მორჩილაძემ ჟურნალისტებს ღიად განუცხადა, რომ მას საგარეო უწყებაში მუშაობის დიდი სურვილი აქვს.

**"ჩემი ამოცანა არასოდეს ყოფილა "თბილგაზის" დირექტორობა. ჩემი მიზანი ქმედითი კომპანიის შექმნა იყო, რაც გავაკეთე კიდეც. ამიერიდან, კომპანიას შეიძლება მენეჯერმა უხელმძღვანელოს. თუ პრემიერ-მინისტრი ანგარიშს მოიწონებს, სამინისტროში გადავალ, მაგრამ თუ გადაწყდა, რომ კომპანიაში კიდევ არის გასატარებელი გარკვეული ცვლილებები, დავრჩები,"** - განაცხადა "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა.

მორჩილაძემ პრესკონფერენციაზე "თბილგაზის" ბოლო თვეების მიღწევებზეც ისაუბრა. მისი ინფორმაციით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი გაზის მომხმარებლებიდან თანხის ამოღების მაჩვენებელი, რამაც ყოველთვიურად 5 მლნ ლარს გადააჭარბა.

მორჩილაძის შეფასებით, მიმდინარე წლის მარტის თვეში, 2004 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მომხმარებლებიდან გაზის საფასურის ამოღება 50 პროცენტით გაიზარდა. **"შესაბამისად, აღარ ხდება გაზის მიწოდების შეწყვეტა, რაც გადაუხდელობას უკავშირდებოდა,"** - აღნიშნა მორჩილაძემ.

"თბილგაზმა" ასევე უარი თქვა მოსახლეობიდან გადასახადის ამოღების მიზნით კორპუსების მთლიანად გამორთვაზე. **"ამ ზამთარში გამორთვები მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო ან ინდივიდუალურად ხდებოდა. გაუმჯობესდა სერვისი, შეიქმნა საოპერაციო ცენტრი, გაზიფიკაციის სამსახური და სატელეფონო ცხელი ხაზი 20-04-04. გარდა ამისა, კომპანიაში გაუმჯობესდა ტექნიკური მდგომარეობაც. კერძოდ, გაზის წნევა გათანაბრდა მთელ ქალაქში. ამჟამად თბილისი ბუნებრივი აირით სრულად მარაგდება,"** - აცხადებდა "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე. მან ხაზი გაუსვა, რომ ერთ წელიწადში "თბილგაზს" დოტაციების გარეშეც შეეძლება არსებობა. ცნობისათვის, ამჟამად სახელმწიფო დოტაცია "თბილგაზის" მიმართ 15 მილიონ ლარს შეადგენს.

რაც შეეხება "გაზექსპორტის" მიმართ არსებულ დავალიანებას, იგი 7 მილიონ დოლარს შეადგენს. კერძოდ, მიმდინარე, მარტის გადასახადი 3 მილიონ 500 ათასი დოლარია და მისი გასტუმრება აპრილში დოტაციების საშუალებით მოხდება. დავით მორჩილაძის თქმით, დარჩენილი დავალიანების გასასტუმრებლად შემდგომი კონსულტაციები იქნება საჭირო.

**"7 თვის განმავლობაში მივაღწიეთ უწყვეტ გაზმომარაგებას, დღითიდღე უმჯობესდებოდა სერვისი, გაუმჯობესდა ტექნიკური მდგომარეობა, გაიზარდა ამოღების მაჩვენებელი. მე მგონია, რომ ამიერიდან მე პრეზიდენტისთვის და ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო საგარეო საქმეთა სამინისტროში ვიქნები,"** - განაცხადა დავით მორჩილაძემ.

# ბრიტანელებმა საქართველოში ბანკი იყიდეს

*საქართველოს საბანკო სექტორში უცხოური ბანკების შემოსვლის პროცესი გრძელდება. ამჯერად, ერთ-ერთი ქართული ბანკით მსხვილი ბრიტანელი ინვესტორები დაინტერესდნენ.*

მარიამ ჭაჭკაძე

ყაზახური "ტურანალემის" შემდეგ, საქართველოს ბაზარზე ცნობილი ინგლისური "ლონდონ ინთერნეიშენალ ბანკი" (London International Bank) შემოდის. ამ უკანასკნელმა ქართული "ინვესტბანკის" აქციების 31.82 პროცენტი სულ ცოტა ხნის წინათ შეისყიდა და როგორც "24 საათს" საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა მაჩაიძემ განუცხადა, ინგლისურმა ბანკმა "ინვესტბანკის" აქციების ასივე პროცენტის შესყიდვის სურვილი გამოთქვა, რაზედაც მან ეროვნული ბანკისგან თანხმობა მიიღო.

"ინვესტბანკში" აქციების საკუთარი წილი სამ უცხოურ კომპანიასაც გააჩნია. ესენი არიან ამერიკული "კომეტ ინვესტმენტი", ინგლისში დაფუძნებული "სელთონ ენტერპრაიზი" და შვეიცარიული "გალბონი", რომელთაც საკუთარი წილის ინგლისური ბანკისთვის მიყიდვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება, ჯერჯერობით, არ მიუღია.

სააქციო საზოგადოება "ინვესტბანკსა" და **London International Bank** შორის მარტის ბოლოს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ბრიტანულმა საფინანსო ინსტიტუტმა "ინვესტბანკის" აქციათა 25 პროცენტი შეიძინა. ცოტა მოგვიანებით, **London International Bank** "ინვესტბანკის" საწესდებო კაპიტალში დამატებითი ინვესტიციებიც განახორციელა, რის შედეგადაც, იგი ქართული ბანკის აქციათა თითქმის 32 პროცენტის მფლობელი და, შესაბამისად, ყველაზე მსხვილი აქციონერი გახდა.

**"London International Bank დღეიდან "ინვესტბანკის" უმსხვილესი აქციონერი ხდება და ის მიზნად ისახავს "ინვესტბანკის" შემდგომ განვითარებას, საკუთარ საერთაშორისო სტრუქტურაში ჩაბმას და საქართველოს ბაზარზე საინვესტიციო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრის დანერგვას,"** - განაცხადეს "ინვესტბანკში".

საერთაშორისო საფინანსო ინვესტორებთან ერთად, ევრაზიული ინვესტიციების პროგრამის კოორდინაციის ფარგლებში, **London International Bank-ს** უახლოეს თვეებში სს "ინვესტბანკის" კაპიტალში თავისი წილის გაზრდა აქვს დაგეგმილი.

ხსენებული ინგლისური ბანკი ლონდონში დაფუძნებული საშუალო ზომის საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც ლიცენზირებულია და რეგულირდება ბრიტანეთის საფინანსო დაწესებულებათა სააგენტოს (Financial Services Authority (FSA) მიერ. იგი თავის კლიენტურას სთავაზობს საინვესტიციო საბანკო მომსახურების ფართო სპექტრს, როგორიცაა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, საერთაშორისო საკონვერსიო ოპერაციები (ფორექსი), აქტივების მართვა და სხვა.

ცნობისათვის: **London International Bank** ამავე დასახელების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საფინანსო ჯგუფის - **London International Bank Group**-ის საფინანსო-საინვესტიციო ქვედანაყოფია. ხსენებული ჯგუფი აერთიანებს კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას საფინანსო მომსახურების, უძრავი ქონების, ვაჭრობის, ალტერნატიული აქტივების მართვის, ვენჩერ კაპიტალისა და სხვა სფეროებში.

# პრეზიდენტი დიზელის საწვავს "თავად არიგებს"

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გლეხებისთვის დიზელის საწვავის დარიგების პროცესის გაკონტროლება თავად იკისრა და გუშინ ბოლნისის რაიონში მოსახლეობისთვის დიზელის საწვავის დარიგების პროცესს თავად დაესწრო. როგორც ცნობილია, მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს მასშტაბით, გლეხები მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოებისთვის 20-20 ლიტრ დიზელის საწვავს უსასყიდლოდ მიიღებენ. პრეზიდენტის თქმით, 20 ლიტრი დიზელის საწვავი, მართალია, საგაზაფხულო სამუშაოებისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ მოსახლეობას გარკვეულ შვებას მაინც აგრძნობინებს.

სააკაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ იცის, თუ რა გაჭირვებაა სოფლად და როგორც შესაბამისი საშუალებები გამოიძებნება, საწვავის დარიგება კვლავ გაგრძელდება.

საერთო ჯამში, საქართველოს ხელისუფლება ქვემო ქართლის რეგიონში დაახლოებით 1 700 000 ლიტრი დიზელის საწვავის დარიგებას გეგმავს. ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ზურაბ მელიქიშვილის ინფორმაციით, რეგიონში უკვე დარიგებულია დაახლოებით 1 400 000 ლიტრი საწვავი, დარჩა წალკის და ბოლნისის რაიონები, სადაც საწვავი უახლოეს მომავალში დარიგდება. მელიქიშვილის ინფორმაციით, ქვემო ქართლში საწვავს სულ 86 ათასი ოჯახი მიიღებს.

საქართველოს პრეზიდენტი კი დღეს სენაკს ეწვევა და მოსახლეობისთვის დიზელის საწვავის დარიგების პროცესს აქაც დაესწრება. მისივე თქმით, პირველ რიგში, დიზელის საწვავი კახეთისა და ქართლის რეგიონებში მცხოვრებ გლეხებს დაურიგდებათ, შემდეგ - იმერეთში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთში და სვანეთში.

*24 საათი*

# აბდალა რაჰმანის ვიზიტი არაგვისპირში

IFAD-ის ქვეყნის პორტფოლიო მენეჯერი აბდალა რაჰმანი და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნუგზარ სარჯველაძე არაგვისპირში (დუშეთის რაიონი) ფერმერის სახლის მუშაობას გაეცნენ. არაგვისპირის ფერმერის სახლი, IFAD-ის პროგრამის ფარგლებში, გასული წლის ბოლოს მოეწყო და მას უკვე 400-ზე მეტმა ფერმერმა მიმართა პრობლემატური საკითხების მოგვარების, აგროტექნიკის გამოყენებისა და სხვადასხვა დასახელების მცენარეთა დაცვის საშუალებებისა თუ ინვენტარის შეძენის მიზნით. როგორც ფერმერის სახლში მომუშავე ფერმერული ასოციაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებისთანავე, მნიშვნელოვნად გაიზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ფერმერის სახლის, იგივე აგრობიზნესცენტრის დახმარება დასჭირდებათ. არაგვისპირში მდებარე ფერმერის სახლის მომსახურებით, დუშეთის გარდა, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების მცხოვრებლებმაც დაიწყეს სარგებლობა.

განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა ფერმერის სახლში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე. აღნიშნულის გამო, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ თხოვნით მიმართა აბდალა რაჰმანს, რომ IFAD-ის პროგრამის ფარგლებში კიდევ დამატებით შემოვიდეს ტექნიკა, რაზედაც მან IFAD-ის ქვეყნის პორტფოლიო მენეჯერის თანხმობა მიიღო.

სტუმრები გაეცნენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია MADI-ის საქმიანობებს. აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებს IFAD-ის პროგრამის მეცხოველეობის, მემცენარეობის, მეფუტკრეობის, მეხილეობის, სამთო მევენახეობისა და საკვები ბალახების წარმოების კომპონენტებს. აბდალა რაჰმანი განსაკუთრებით დაინტერესდა ცხოველთა სადეზინფექციო ბარიერით, რომლის მოწყობაც წელს დუშეთის რაიონში იგეგმება. რამდენიმე ფერმერმა ისაუბრა მიმდინარე წლის შედეგებზე. კერძოდ, სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში წელს მიღებულ პირველი თაობის ხბოებზე, რომელთაც როგორც დღელამურ წონამატზე, ისე სხვა გარეგნული ნიშნებით უკვე ეტყობათ, რომ მკვეთრად გამოხატულ სანაშენე თვისებებს ატარებენ.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნუგზარ სარჯველაძემ აღნიშნა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქვეყნის მასშტაბით, მსგავსი აგროსერვისცენტრების გახსნას და იმ გამოცდილების გაზიარებას აპირებს, რომელიც IFAD-ის პროგრამამ უკვე გააჩნია პროგრამის ოთხივე საპილოტე რაიონში (დუშეთი, ასპინძა, შუახევი და ამბროლაური) გახსნილი ფერმერის სახლების სახით.

აბდალა რაჰმანმა ფერმერის სახლის მესვეურებს და იქ მყოფ ფერმერებს წარმატებული მუშაობის გაგრძელება უსურვა და აღნიშნა, რომ ის, რაც ფერმერის სახლის მეშვეობით კეთდება, სასიკეთოა და აუცილებლად გაგრძელდება.

*24 საათი*

# დუშეთისა და თიანეთის რაიონის რიგ სოფლებს ელექტროენერგია არ მიეწოდება

ელექტროენერგიის გადამცემ ხაზებზე ავარიული დაზიანებების შესაკეთებლად სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის ტექნიკური სამსახური ექსტრემალურ ვითარებაში მუშაობს. მაღალი და დაბალი ძაბვის გადამცემი ხაზების დაზიანება დუშეთის და თიანეთის რაიონებში დიდთოვლობამ გამოიწვია. ამ დროიდან მცხეთა-მთიანეთის სადისპეტჩეროში დაფიქსირებულმა ავარიული გამორთვების რაოდენობამ მაღალი და დაბალი ძაბვის გადამცემ ხაზებზე რამდენიმე ათეულს მიაღწია. ავარიების უმეტესი რაოდენობა დუშეთის და თიანეთის რაიონებზე მოდის.

ამჟამად ელექტროენერგია არ მიეწოდება დუშეთის რაიონის 10 და თიანეთის რაიონის 2 სოფელს. გზების გაწმენდის პარალელურად, სგსე მცხეთა-მთიანეთის ფილიალის ტექნიკური სამსახური აგრძელებს აღდგენით სამუშაოებს გადამცემ ხაზებზე. პარალელურად, მიმდინარეობს ენერგოკომპანიისადმი დაზიანებებით მიყენებული ზარალის დაზუსტება. სავარაუდოდ, კომპანიისადმი დიდთოვლობით მიყენებული ზარალი 10 000 ლარს გადააჭარბებს.

მაღალი ძაბვის 110-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზები "ანანური" და "მლეთა" 1 აპრილს დილის საათებში დაზიანდა. ეს ხაზები ელ. ენერგიას აწვდის გუდაურის სამთო-სათხილამურო კომპლექსს და მიმდებარე სოფლებს. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების გამორთვას დაემთხვა საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილის და სომხეთის პრეზიდენტ კოჩარიანის არაფორმალური შეხვედრა გუდაურში. ენერგოკომპანიის ტექნიკური სამსახურის სრული მობილიზების მიუხედავად, "ანანური" და "მლეთას" გადამცემ ხაზებზე ავარიების ლიკვიდაცია 1 აპრილის საღამოს 18 საათამდე ვერ მოხერხდა. ხაზებზე ავარიული დაზიანებების სრულად ლიკვიდაციის შემდეგ ელ. ენერგია შეუფერხებლად მიეწოდა გუდაურის სამთო-სათხილამურო კომპლექსს.

10-კილოვოლტიან ხაზებზე ავარიების გამო ელ. ენერგიის მიწოდება შეუწყდა ასევე ფასანაურს, მლეთას და დუშეთის რაიონის მიმდებარე სოფლებს. ფასანაური ელექტროენერგიით 3 და 4 აპრილს დაიტვირთა. ამ ეტაპზე კვლავ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები მლეთაში.

გადამცემ ხაზებზე აღდგენითი სამუშაოების დასრულებისთანავე გამორთულ სოფლებს ენერგომომარაგება აღუდგებათ.

*24 საათი*

# მეტალურგიული კომბინატით ინდური კომპანია დაინტერესდა

"რუსთავის მეტალურგიული კომბინატით" ინდური კომპანია "ლაკში მიტალი" დაინტერესდა. როგორც "ინტერ-პრესს" ინდოეთის ელჩმა კავკასიის რეგიონში დეპაკ ვოჰრამ განუცხადა, მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილი ინდური მეტალურგიული კომპანია რუსთავის კომბინატის შესყიდვით სერიოზულად არის დაინტერესებული.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხუთ ობიექტზე ინტერესთა გამოხატულების შესახებ განცხადება გამოაქვეყნა.

15 მარტიდან 2 მაისამდე ს/ს "აზოტის", სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის", სს "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილის პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის მსურველ ყველა კომპანიას ეძლევა საშუალება, გამოხატოს ინტერესი და წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

*ინტერ-პრესი*

მოკლედ

## მოსამართლეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია დასრულდა

სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" მოსამართლეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია დასრულდა. ღონისძიება საერთაშორისო ორგანიზაციის "გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის" (GTZ) მიერ იყო ორგანიზებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა და GTZ-ის წარმომადგენლებმა გუშინ კონფერენციის შედეგების შემაჯამებელი ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართეს.

კოტე კუბლაშვილის განცხადებით, კონფერენციაზე შემუშავდა რიგი რეკომენდაციები. **"მოსამართლის დამოუკიდებლობასთან ერთად სამართალწარმოების ეფექტურობა მართლმსაჯულების სისტემის სტაბილურობის მნიშვნელოვანი გარანტია. მართმსაჯულების ეფექტურობა, ასევე, დამოკიდებულია სასამართლოების საკადრო და ფინანსურ უზრუნველყოფაზე და ეს საკითხი სახელმწიფოს მხრიდან მუდმივ ყურადღებას საჭიროებს",** - განაცხადა მან.

კუბლაშვილის თქმით, შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, მოსამართლეთა შორის საქმეთა სწორი განაწილება მოსამართლის მიუკერძოებლობის წინაპირობას წარმოადგენს; ასევე, მნიშვნელოვანია პროცესის მონაწილე მხარეთა კვალიფიკაციის ამაღლება - კერძოდ, მაღალპროფესიული ადვოკატურის არსებობა. კონფერენცია, სახელწოდებით "მართლმსაჯულების ეფექტურობა", გუშინ გაიხსნა. მასში 130-მდე დელეგატი იღებდა მონაწილეობას. აღნიშნულ ღონისძიებას გერმანელი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი მოსამართლეები, სახელმწიფო მოხელეები, იურისტები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გერმანელმა მოსამართლეებმა კავკასიელ კოლეგებს ევროპული გამოცდილება გაუზიარეს.

საერთაშორისო ორგანიზაცია "გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობა" (GTZ) სამართლისა და იუსტიციის რეფორმის სფეროში 1993 წლიდან მოღვაწეობს. **24 საათი**

## ქვემო ქართლში უსაბუთო საქონელი დააკავეს

თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის 52-ე კილომეტრზე, მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე გააჩერეს ავტომანქანა „ფორდ-ტრანზიტი", რომლის მძღოლს, მარტვილის რაიონის სოფელ დიდ ჭყონში მცხოვრებ, 53 წლის კარლო ჩაგუნავას წითელი ხიდიდან თბილისის მიმართულებით უსაბუთოდ გადაჰქონდა 900 ლარის ღირებულების 450 ლიტრი ავტომანქანის ზეთი. იმავე საავტომობილო გზის მე-17 კილომეტრზე, გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე გააჩერეს ავტომანქანა „მერსედესი", რომლის მძღოლს, თბილისში მცხოვრებ, 39 წლის ფირი ბიარმოვს წითელი ხიდიდან თბილისის მიმართულებით გადაჰქონდა 2000 ლარის ღირებულების 70 წყვილი სპორტული ფეხსაცმელი. თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზაზე გააჩერეს, აგრეთვე, ავტომანქანა „გაზ"-24, რომლის მძღოლს, გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში მცხოვრებ, 46 წლის ბუირაზხან პირმუდოვს წითელი ხიდიდან სოფელ ფონიჭალაში უსაბუთოდ გადაჰქონდა 3000 ლარის ღირებულების 20 ცალი ელექტროგენერატორი.

ხოლო ამავე მარკის ავტომანქანით გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში მცხოვრებ 34 წლის ამბმედალ ახმედოვს უსაბუთოდ გადაჰქონდა 1000 ლარის ღირებულების 300 ლიტრი „ნიგროლი". ავტომანქანები ტვირთიანად ქვემო ქართლის საფინანსო პოლიციას გადაეცა. **მედიანიუსი**

# იმერეთის სამართალდამცველების "გეგმიური დაჭერები"

*ქუთაისის მერიის მაღალჩინოსნების დაჭერების პარალელურად, ანტიკორუფციული ღონისძიებების სეზონი იმერეთის სამართალდამცველ უწყებებშიც გაიხსნა. მარტში შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონულმა სამმართველომ რამდენიმე სპეცოპერაცია განახორციელა და ქრთამის აღების ფაქტზე რამდენიმე სამართალდამცველი დააკავა.*

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს უფროსი კოტე არჩაია აცხადებს, რომ აღნიშნული სპეცოპერაციები მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე დაიგეგმა და პროცესუალური ნორმების სრული დაცვით განხორციელდა. საპირისპიროს ამტკიცებენ დაკავებულების ადვოკატები და "24 საათთან" საუბარში საქმეებში არსებულ აშკარა პროცესუალურ დარღვევებზე მიუთითებენ. ადვოკატები პროკურატურისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ზემოქმედებით ხსნიან ქუთაისის საქალაქო და საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებებს დაკავებულებისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

პირველი სპეცოპერაცია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონულმა სამმართველომ 11 მარტს განახორციელა და ქრთამის აღების ფაქტზე სამი სამართალდამცველი დააკავა. არასაპატიმრო სასჯელაღსრულების იმერეთის ბიუროს ზედამხედველი ოფიცერი ლერი მაჭარაშვილი ამხილეს პირობით მსჯავრდებული მაია იდაძისაგან ქრთამის - 150 ლარის აღებაში. საგამოძიებო დეპარტამენტის წყალტუბოს გამომძიებლებს გრიგოლ ზერაგიასა და ვარლამ ჟორჟოლიანს ყოფილი პოლიციელის, მოქალაქე ნუკრი მახარაძისთვის 200 დოლარისა და 200 ლარის გამოძალვა ედებათ ბრალად.

**"ორივე შემთხვევაში დაირღვა დაკავებულის დაცვის უფლება. მაჭარაშვილის ადვოკატი რამდენიმე საათის განმავლობაში არ შეუშვეს დაკავებულთან; უფრო მეტიც - არც მე მიშვებდნენ და პრობლემა მას შემდეგ მოგვარდა, რაც საქმეში უშუალოდ ჩაერთო სახალხო დამცველი სოზარ სუბარი,** - აცხადებს "24 საათთან საუბარში" სახალხო დამცველის რწმუნებული იმერეთში გიორგი მშვენიერაძე, - **როგორც განმიმარტეს, არშეშვების მიზეზი ის იყო, რომ შენობაში არ იმყოფებოდა სამსახურის უფროსი, რაც აბსურდია, რადგან ასე თუ მივუდგებით საკითხს, ვერავის ვერ აუყვანია ადვოკატი, თუ შენობაში პოლიციის უფროსი არ მივიდა. წყალტუბოს გამომძიებლების დაკავების შემთხვევაშიც არ უშვებდნენ ადვოკატებს, იმ მოტივით, თითქოს არ იცოდნენ, რომ ესენი ადვოკატები იყვნენ, რაც, ასევე, მოგონილი არგუმენტია".**

დაცვის უფლების შეზღუდვის გარდა, ლერი მაჭარაშვილის ადვოკატი ირმა ბანძელაძე სხვა პროცესუალურ დარღვევებზეც საუბრობს, რომლებიც არც საქალაქო და არც საოლქო სასამართლოებმა არ გაიზიარეს.

**"საქმეში არ მოიპოვება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი, რითაც დადგინდება ლერი მაჭარაშვილის ბრალეულობა. ბრალდებულს ხელზე არ აღმოაჩნდა ქიმიურ ნივთიერებათა კვალი, რაც დაადასტურებდა მის მიერ ქრთამის აღების ფაქტს და დანაშაულის ჩადენას",** - აცხადებს ირმა ბანძელაძე.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონულმა სამმართველომ მორიგი სპეცოპერაცია 22 მარტს განახორციელა და ქუთაისის საპასპორტო სამსახურის უფროსის მრჩეველი როინ მაჭარაძე დააკავა. მაჭარაძეს ბრალი ედება 250 დოლარისა და 36 ლარის აღებისთვის. მაჭარაძის ადვოკატი ლედი ტუკვაძე საეჭვოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ დაზარალებული ფურცხვანიძე არაერთ სხვა საქმეშიც ფიგურირებს მოწმედ და დაზარალებულად. ტუკვაძე ამჟამად ამ საქმესთან დაკავშირებულ ახალ გარემოებებზე მუშაობს და დაკავებულისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საოლქოში გასაჩივრებას გეგმავს.

აღსანიშნავია, რომ კორუმპირებული სამართალდამცველების მხილების სერია იმერეთში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შექმნამდე დაიწყო. 21 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად ქუთაისის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე კობა ნიკოლაძე ქრთამად 700 დოლარის აღების ფაქტისთვის ამხილეს, მაგრამ ნიკოლაძის დაკავება ვერ მოხერხდა. იგი, აღნიშნული დანაშაულის გამო, დღემდე იძებნება. თუმცა ამ სპეცოპერაციას ქუთაისის პოლიციის მაშინდელი შეფის რომან მამრიკიშვილის სავარძელი ემსხვერპლა, უფრო სწორად, მამრიკიშვილმა თერჯოლის პოლიციის უფროსის სავარძელში გადაინაცვლა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აღნიშნული სპეცოპერაცია იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მოხელეების პირადი ინტერესებით იყო გამოწვეული.

კობა ნიკოლაძის ადვოკატი, ასევე, ლედი ტუკვაძეა. მისი თქმით, დაზარალებულმა პროკურატურას რამდენჯერმე მიმართა წერილობით, რომ ნიკოლაძის მხრიდან თანხის გამოძალვას ადგილი არ ჰქონია და რომ იგი (დაზარალებული) გამოიყენეს. ცნობილია, რომ სპეცოპერაცია იმერეთის ვიცე-გუბერნატორის გიგა შუშანიას უშუალო ჩარევის შემდეგ განხორციელდა. თუმცა, ასევე ცნობილია, რომ შუშანიას, აღნიშნულის გამო, თავად დაზარალებულმა მიმართა.

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მაღალჩინოსნების პირად ინტერესებზე საუბრობენ ბაღდათის სატყეო მეურნეობის ყოფილი უფროსის ვლადიმერ რობაქიძის დაკავების საქმეშიც, რომელსაც ბრალი საბიუჯეტო თანხების გაფლანგვისა და სამსახურებრივი გულგრილობის გამო წაუყენეს. საპროცესო შეთანხმების შედეგად რობაქიძე პასუხიმგებლობისგან გათავისუფლდა, თუმცა იმერეთის გუბერნატორმა ბაღდათის გამგებელი ნიკო ჟვანია თანამდებობიდან სწორედ ხე-ტყის საქმეებთან კავშირისთვის გაათავისუფლა.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველო ქუთაისში ახლახან ჩამოყალიბდა. სამმართველოს უფროსი კოტე არჩაია აღებული სტარტის გაგრძელებას გეგმავს - იმერეთის სამართალდამცველ უწყებებში სამოხელეო დანაშაულის გამოვლენის კუთხით. კულუარებში ამბობენ, რომ ე.წ. "გეგმიური დაჭერების" მომავალ მსხვერპლებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველო პროკურატურასა და სასამართლოში ეძებს.




## ჰელსინკში ევროპის იუსტიციის მინისტრების 26-ე კონფერენცია გაიმართება

საქართველოს იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე კემულარია 6 აპრილს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გაემგზავრება, სადაც 7-8 აპრილს მონაწილეობას მიიღებს ევროპის იუსტიციის მინისტრების 26-ე კონფერენციაში.

კონფერენციამდე ერთი დღით ადრე ჰელსინკში გაიმართება ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების იუსტიციის სამინისტროების მაღალი თანამდებობის პირთა შეხვედრა, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკატერინე ტყეშელაშვილი დაესწრება. შეხვედრის მიზანია კონფერენციის საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

კონფერენციას გახსნიან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე მოდ დე ბუკიკიო და ფინეთის პრეზიდენტი ტარია ჰალონენი.

კონფერენციის პირველი სამუშაო დღის დასასრულ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების იუსტიციის მინისტრებთან შეხვედრას გამართავს ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი. ამავე კონფერენციის ფარგლებში შვეიცარიის ფედერალურ საბჭოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროებს შორის გაფორმდება ხელშეკრულება ამ ქვეყნებში არალეგალურად მყოფი პირების გადაცემის შესახებ.

იუსტიციის მინისტრები განიხილავენ შემდეგ საკითხებს: სისხლის სამართლის სისტემის სოციალური მისია და საკრედიტო საზოგადოებაში ვალის პრობლემის სამართლებრივი გადაწყვეტის გზები.

ამასთანავე, მინისტრები იმსჯელებენ ევროპის პენიტენციური ქარტიის პროექტზე.

განხილვის თემა იქნება, ასევე, ევროპის იუსტიციის მინისტრების მიერ სოფიაში გამართულ 25-ე კონფერენციაზე ტერორიზმთან ბრძოლის თაობაზე მიღებული რეზოლუციის განხორციელების საკითხი.

*24 საათი*

## სახალხო დამცველი სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ

საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა გენერალურ პროკურატურას საჩივრის წერილით მიმართა და იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოითხოვა, რომლებმაც საგურამოს ბატალიონში მისი არშეშვების ბრძანება გასცეს და შეასრულეს. სუბარის განცხადებით, საგურამოს ბატალიონში მისი არშეშვებით "სახალხო დამცველის შესახებ კანონის" მე-18 მუხლი დაირღვა და ომბუდსმენს მოვალეობის განხორციელებაში ხელი შეეშალა.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ დილით სახალხო დამცველი სამხედრო ნაწილში არ შეუშვეს. თუმცა, საღამოს ცხრის ნახევარზე იგი ნაწილის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად გაატარეს და ნაწილში მისი შესვლის პირველი მცდელობა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა, გაუგებრობით ახსნეს. პროკურატურაში საჩივრის შეტანის გარდა, სოზარ სუბარი აპირებს, აღნიშნული ფაქტის შესახებ პარლამენტის სხდომაზე განაცხადოს და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოითხოვოს. **ინტერ-პრესი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

ანკეტა

სახელი, გვარი.................................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.............................................

საკონტაქტო ტელეფონი .........................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## გამოკითხვა

### რას ფიქრობთ აფხაზებისათვის ქართული პასპორტების გამარტივებული წესით მიცემის თაობაზე?

**რუსუდან შარაძე**, ბიჭვინთის შემოქმედთა სახლის ყოფილი დირექტორის მოადგილე, 61 წლის: "ეს იდეა ჩემთვის მისაღებია. უნდა მოვძებნოთ აფხაზებთან დაახლოების გზა, ამ მხრივ ყველაფერი კარგია. ჩვენ უნდა დავანახოთ მათ და მათ ახალ თაობას, რომ არა ვართ აგრესორები, როგორც გვხატავენ. აფხაზები სულ სხვა ხალხია, მათ სხვაგვარი მიდგომა სჭირდებათ".

**ნანა მასხურაძე**, 64 წლის, დიასახლისი: "მე, მაგალითად, სწორად მიმაჩნია. ჩვენ, რაც შეიძლება, უნდა დავუახლოვდეთ აფხაზებს - პასპორტები იქნება, რკინიგზით თუ სხვ. ვისაც ენდომება, აიღებს, ვისაც არა - კარგად იყოს".

**ირაკლი ფორჩხიძე**, 21 წლის, სტუდენტი: რა აზრი აქვს? რაში სჭირდებათ ქართული პასპორტები? სანამ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ დაბრუნდება, რა პასპორტებზეა ლაპარაკი?"

**ნანა შენგელია**, 43 წლის, ჟურნალისტი: "ეს ეფექტური, რომ ეს ადრე უნდა გაკეთებულიყო. ადრე ბევრ აფხაზს უნდოდა ქართული პასპორტი აეღო საზღვარგარეთ გასასვლელად და აქ უქმნიდნენ პრობლემებს, თუმცა, არალეგალურად ვიღაცები მაინც იღებდნენ, გარკვეული თანხის სანაცვლოდ. მერე გახმაურდა ეს ამბავი და პასპორტების გაცემაც შეწყდა. თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, ლეგალურად მიგვეცა მათთვის ჩვენი პასპორტები".

**დათო კიკვიძე**, 25 წლის, დისტრიბუტორი: "აფხაზებს ქართველების ხსენებაც არ უნდათ და ჩვენ ჩვენს პასპორტებს ვთავაზობთ? რა საჭიროა ამდენი თავის დამცირება და კომპრომისი. თუ დაბრუნდებიან ჩვენთან, მივცეთ პასპორტები, თუ არა და, თუ რუსეთი ურჩევნიათ, რუსებმა მისცენ. მალე მიხვდებიან, რომ რუსეთთან ყოფნას ჯობია ჩვენთან ყოფნა. აგერ, ჩეჩნებს რას უშვებიან და აფხაზებს დაინდობენ?".

**ლევან მელაძე**, 38 წლის, მხატვარი: "რუსეთმა ლამის მთელ აფხაზეთს თავისი პასპორტები დაურიგა, რაც ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა. შევეჭიდებოდით მაინც, ვიღაცა აიღებდა, ვიღაცა - არა. საერთოდ, სახელმწიფომ ხომ უნდა განსაზღვროს რაღაცა პრიორიტეტები. მაგალითად, არ შეიძლება, რომ მანდარინის მთელი მოსავალი ყოველ წელს ჩვენმა სახელმწიფომ შეისყიდოს, რომ ის ხალხი მთლიანად რუსეთზე დამოკიდებული არ იყოს? განა რა ისეთი თანხა დასჭირდება ამას, რომ ჩვენი ბიუჯეტი ვერ შეწვდება? ვფიქრობ, არც ახლაა ის ნაბიჯი უადგილო. ის მაინც გვეცოდინება, რამდენი ადამიანია დარჩენილი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ორიენტაციის".

**გიორგი კაკუბავა**, 45 წლის, ეკონომისტი: "მიმაჩნია, რომ ეს საკითხი რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს. აფხაზების ფაქტობრივი მთავრობა თუ დაბლოკავს - რაც, სავარაუდოდ, ასეც იქნება, მისი საქმეა. ყოველ შემთხვევაში, აფხაზებს იმის თქმის საბაბი მაინც არ უნდა ჰქონდეთ, რომ ქართულ პასპორტს იმიტომ ვიღებთ, რომ მიმოსვლის საშუალება გვქონდესო".

## გადარჩენილი ფოტოები

### მენატრები!



სოხუმი. 1974 წელი. მუსიკალური სასწავლებელი. მარცხნიდან მარჯვნივ: მედეა თავბერიძე, იაშარ იმანოვი, ოლღა ხოჭოლავა, სვეტლანა ქეცბა, დალი ეშბა, მარინა ეშბა.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# მთავარია შეთანხმება

ზაზა ფარუაშვილი

*აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ დიალოგისას თანდათან იკვეთება, რომ მთავარი მაინც ჩვენსა და აფხაზებს შორის შეთანხმებაა, რომელიც მომავალში ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოწყობასაც განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟენევის ამჟამინდელ შეხვედრას, რომელზეც ქართულ მხარეს წარმოადგენენ სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარგში გოგა ხაინდრავა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია, ხოლო აფხაზურ მხარეს – საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა. ცხადია, ამ თემას ვერც ჩვენი დიალოგის მონაწილეებმა აუარეს გვერდი. ესენი არიან აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე მანუჩარ ახალაია, "სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა ევროკავკასიური ინსტიტუტის" წარმომადგენელი ლაშა მებონია და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების განყოფილების უფროსი, პროფესორი ზაურ კვარაცხელია.*



ზაზა ფარუაშვილის ფოტო

მანუჩარ ახალაია, ლაშა მებონია და ზაურ კვარაცხელია.

**- თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ენიჭება ჟენევის ამჟამინდელ მოლაპარაკებას?**

**მანუჩარ ახალაია:** "ჩემი აზრით, ჟენევის ამჟამინდელ შეხვედრას ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში გარდამტეხი მნიშვნელობა ექნება. მართალია, მრავალი შეხვედრა გვახსოვს, რასაც შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს შეხვედრა თვისობრივად ახალ პირობებში იმართება. მოგეხსენებათ, აქამდე აფხაზეთთან მიმართებაში სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკა არ ჰქონია. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების პოზიციები განსხვავებული იყო. აჭარის ყოფილი ხელმძღვანელი თავისას გაიძახოდა, იმერეთის გუბერნატორი - თავისას, და ა.შ.

დღეს რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა, მოქმედება სრულიად კოორდინირებულია. ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში პრეზიდენტის წარმომადგენლად დანიშნულია სწორედ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მთავრობის თავმჯდომარე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმ წარსულის ფონზე, როცა აფხაზურ მხარეს ლეგიტიმური ხელისუფლების პირველ პირთან შეხვედრა კი არა, უბრალო წევრთან შეხვედრაც კი არ სურდა. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, რომ მოქმედი პირები შეიცვალნენ – ხელისუფლებაში აღარ არიან შევარდნაძე და არძინბა, არც რუსეთშია ელცინი. აღარაფერს ვამბობ ჩვენთვის საიმედო საერთაშორისო ვითარებაზე, რევოლუციურ რკალზე, რომელშიც ერთი-მეორის მიყოლებით ეხვევა პოსტსაბჭოთა სივრცე, აშშ-ს პრეზიდენტის მოსალოდნელ ვიზიტზე და ა.შ. მაგრამ, ბუნებრივია, შეხვედრის შედეგი არ მოჰყვება, თუ ყოველი ნაბიჯი სწორად არ გავთვალეთ. მაგალითად, სწორი არ იქნება, რომ პირველივე შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აფხაზურის წინაშე სახელმწიფოებრივი მოწყობისა და აფხაზეთის სტატუსის საკითხი დააყენოს. ჯერჯერობით, უნდა დავიწყოთ ისეთი საკითხებით, როგორიცაა გალის მოსახლეობის უსაფრთხოება, გაეროს ეგიდით შერეული საპოლიციო დანაყოფის შექმნა, ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის გახსნა და გარკვეული ეკონომიკური პროექტების ამუშავება. ჩვენ თამამი ნაბიჯების გადადგმის არ უნდა შეგვეშინდეს. მაგალითად, სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია ისეთი აჟიოტაჟის ატეხვა, რაც თავის დროზე სამვაგონიანი "ელექტრიჩკის" ამუშავებას მოჰყვა. ისეთი ქმედება არ უნდა ჩავიდინოთ, რაც ბუმერანგივით უკან დაგვიბრუნდება. თუ ჩვენ ვეუბნებით აფხაზებს, რომ ერთად უნდა ვიცხოვროთ, რაშიც ეჭვი არ მეპარება, მაშინ სულ სხვა სახის მოქმედებაა საჭირო.

ჟენევაში წასვლის წინ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი ირაკლი ალასანია ზუგდიდში იმყოფებოდა. მას აინტერესებდა დევნილთა განწყობილება. დევნილთა 90 პროცენტი მშვიდობიანი დაბრუნების მომხრეა, მათ შორისაა ის ხალხიც, ვინც ომში სისხლი და ხორცი დაკარგა. ყოველივე ეს აუცილებლად იქონიებს პირდაპირ თუ ირიბ გავლენას კონფლიქტზე და უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია."

**ზაურ კვარაცხელია:** "ქართული მხარე აფხაზებს ყოველთვის მოლაპარაკებებს სთავაზობდა (შედარებისთვის, სრულიად სხვა მდგომარეობა იყო ჩეჩნეთის კონფლიქტში, როცა რუსეთში ამბობდნენ, რომ ბანდიტებთან და ტერორისტებთან მოლაპარაკებებს არ აპირებდნენ). ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ჩვენ და აფხაზები მართლა ერთი, ნათესავი ხალხი ვართ. მაგალითად, ჩემი გვარის ხალხი ბევრია გუდაუთაში.

რაც შეეხება მოლაპარაკებებს, მცირედიდან უნდა დავიწყოთ. ძალიან კარგი დასაწყისი იქნება გალის მოსახლობის უსაფრთხოებაზე ერთობლივი ზრუნვა და ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება. თუ რკინიგზის გახსნას 2-3 წელიწადი მაინც დასჭირდება, გავხსნათ საავტომობილო გზა, რომ ავტობუსმა მაინც იმოძრაოს.

ჩემს რძალს ასეთი შემთხვევა ჰქონდა. ფსოუდან მოდიოდა გალში პატარა შვილიშვილთან ერთად, რომელსაც ქართულად დაუწყია ლაპარაკი. ბებიას გაუჩუმებია, ხომ იცი, სადაც ვართო. გაუგია ეს აფხაზს, მისულა მასთან და უთქვამს, როგორ გეკადრებათ, თქვენ ჩვენი ხალხი ხართ, ილაპარაკეთ ქართულად, თქვენი ჭირიმეო. ქართველების დაბრუნების წინააღმდეგი ის ხალხია, ვისაც დანაწილებული აქვს უკანონო ბიზნეს-სფეროები და ამის დაკარგვა არ უნდა. რაც შეეხება უბრალო ადამიანებს, მათ იციან, რომ აუცილებლად უნდა დაუბრუნდნენ ქართველებთან თანაცხოვრების ტრადიციულ ფესვებს."

**ლაშა მებონია:** "თუ ვითარებას აფხაზების თვალით შევხედავთ, მძიმე სურათი წარმოგვიდგება. იმიტომ, რომ აფხაზები მტრის ხატის სინდრომით არიან შეპყრობილი და ეს უნდობლობა ერთ-ორ დღეში არ გაქრება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქამდე მოლაპარაკებები არ ვაწარმოოთ. ეს პირიქითაა, თანაც ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოვაგვაროთ. ჩვენთვის აფხაზების სიცოცხლე ძალიან ძვირფასია და ამაში ისინი უნდა დავაჯეროთ. სამაგიეროდ, უნდა მივიღოთ გარანტიები, რომ აფხაზეთის სამხედრო ძალების გაძლიერება საქართველოს წინააღმდეგ არ მოხდება."

***- თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობა იმისათვის, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს?***

**მანუჩარ ახალაია:** "რა თქმა უნდა, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი კონფლიქტის მოგვარებასთან გარკვეულ კავშირშია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ერთი მეორესათვის გადამწყვეტი პირობაა. სპეციალობით კონსტიტუციონალისტი გახლავართ და კარგად მესმის ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ორივე მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამიტომ. მთავარია განვსაზღვროთ, რა გვსურს ჩვენ, რა სურთ აფხაზებს და მივაღწიოთ შეთანხმებას – შევთანხმდეთ აფხაზებთან თანაცხოვრების მოდელზე. რა მოწყობაზე შეიძლება იყოს საუბარი, სანამ არ გვეცოდინება, სურთ აფხაზებს ჩვენთან თანაცხოვრება თუ არა. შეთანხმების შემდეგ უკვე შეიძლება საუბარი უფლებამოსილებების გამიჯვნაზე, პრივილეგიებზე და ა.შ. ამ პროცესების დროს თანდათან ისიც გამოიკვეთება, სახელმწიფოებრივი მოწყობის როგორ მოდელამდე მივდივართ.

რა თქმა უნდა, საქართველოსთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის, კარგი იქნებოდა უნიტარული მოწყობა, მაგრამ დაკარგული ტერიტორიების მწარე რეალობიდან გამომდინარე ფიქრი და მსჯელობა გვიხდება იმის შესახებ, რომ ჩვენ, სავარაუდოდ, ფედერალური სახელმწიფო გვექნება. თუმცა, დასახელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ბევრია ისეთი ქვეყანა, რომელსაც უნიტარული ჰქვია, მაგრამ მასში შემავალი ავტონომიები ისეთი უფლებებით სარგებლობენ, როგორიც ფედერალურ ქვეყნებშიც კი არ არის (მაგალითად, ესპანეთი, იტალია და ა.შ.). ამიტომ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა აბრევიატურაზე, არამედ კონკრეტულ შეთავაზებებზე. აქვე უნდა ითქვას, ჩვენ მაქსიმალურად მზად ვართ იმისათვის, რომ ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების პირობებში აფხაზებს დიდი უფლებამოსილებები და ფართო სუბიექტის სტატუსი შევთავაზოთ."

**ზაურ კვარაცხელია:** "ჩვენთვის უცნობია, აფხაზეთში მოქმედი სეპარატისტული ძალები სტატუსის შესახებ მოლაპარაკებებზე საერთოდ წამოვლენ თუ არა. ჯერჯერობით, ბაგაფშის განცხადებებიდან ჩანს, რომ მათ სტატუსზე ლაპარაკიც კი არ სურთ. მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური სტატუსი – გამოცხადებული დამოუკიდებლობა უკვე აქვთ.

რაც შეეხება ჩემს წარმოდგენას, მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს ქართულ-აფხაზური სახელმწიფო, ფორმით უნიტარული, მაგრამ დეცენტრალიზებული, ცხადია, აფხაზური ავტონომიით. ეს ჩვენთვისაც და აფხაზებისთვისაც სასარგებლო იქნება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ბოლოს მაინც აფხაზებთან ერთად უნდა ვიცხოვროთ, ამიტომ კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. ჩვენ დათმობებისთვისაც მზად ვართ და მიმაჩნია, რომ ის უფლებები, რომელსაც ქართული მხარე აფხაზებს ფედერალიზმის პირობებში სთავაზობს, თავისუფლად შეიძლება უნიტარიზმის პირობებშიც განხორციელდეს (ოღონდ, ოფიციალურად ნუ დავაფიქსირებთ, რომ საქართველო ფედერალური სახელმწიფოა). ამას ყველაფერს აფხაზების გულისთვის ვაკეთებთ, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოვაგვაროთ, თორემ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი დღის წესრიგში არც დადგებოდა."

**ლაშა მებონია:** "აფხაზეთში შინაგან განწყობილებას შევაფასებდი, როგორც გაურკვევლობას აწმყოსა და მომავლის მიმართ, რომელზეც ნეგატიურად მოქმედებს წარსულის სისხლიანი აჩრდილი. ეს ბადებს არაპროგნოზირებად ვითარებას. ამდენად, შეიძლება არსებობდეს მოვლენათა განვითარების არაერთი ვერსია და ჩვენ ყოველი მათგანისთვის მზად უნდა ვიყოთ. ამთავითვე ცხადია, რომ ჩვენ დათმობებისთვის მზად ვართ და ამიტომ არ გვსურს, აფხაზურმა მხარემ პოლიტიკური ჰარაკირი გაიკეთოს. იმედი გვაქვს, რომ აფხაზურ საზოგადოებაში საღი აზრი არსებობს და ღვივდება. მთავარია, გამოვნახოთ მშვიდობიანი დარეგულირების გზა. ვფიქრობ, ამისათვის აფხაზეთთან ფედერაციული ურთიერთობების აგება მისაღები იქნება. თუმცა, ჩემი აზრით, დანარჩენი საქართველოსთვის ფედერალური მოწყობა მიუღებელია".

**ზაურ კვარაცხელია:** "მეც არ ვიქნები ფედერაციული მოწყობის წინააღმდეგი, მაგრამ მხოლოდ ისეთი მექანიზმების არსებობის შემთხვევაში, რომელიც არ დაუშვებს სეპარატისტულ მოძრაობას."

***- როგორი უნდა იყოს ფართო ავტონომია?***

**მანუჩარ ახალაია:** "პოსტსაბჭოთა სივრცეში არც ერთ ავტონომიას არ ჰქონდა მინიჭებული ისეთი ფართო უფლებები, როგორიც აფხაზეთს – ტელევიზია, უნივერსიტეტი, სახელმწიფო ენა და ა.შ. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საუბარი უნდა იყოს არანაკლებ და მეტ უფლებებზეც. იმ მოსაზრების გამო, რომ უფლებამოსილებების გამიჯვნა ცენტრსა და რეგიონს შორის ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს, კონკრეტიკისაგან თავს შევიკავებ. ცხადია, იმ უფლებების დელეგირება, რაც სახელმწიფო სიმბოლოს წარმოადგენს, არანაირი სუბიექტისთვის არ შეიძლება. სხვა ყველაფერზე გაიმართება მსჯელობა და სწორედ ეს იქნება მოლაპარაკებების საგანი."

**ზაურ კვარაცხელია:** "ჩემთვის ძნელია იმის დასახელება, რისი უფლება არ ჰქონდათ აფხაზებს საბჭოთა პერიოდში. ერთადერთი, რაც არ ჰქონდათ, საკუთარი ფული და ჯარი იყო. რაც შეეხება ფართო ავტონომიას, ჩემთვის ყველაფერი მისაღები იქნება, ოღონდ, ისეთ ურთიერთობებზე შევთანხმდეთ, რომ სეპარატისტული მოძრაობა გამოირიცხოს. ჩემთვის, როგორც აფხაზეთიდან დევნილისთვის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამით თვით აფხაზებიც უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, ვინაიდან სეპარატიზმის გვერდით სამოქალაქო საზოგადოებას ვერ შექმნიან. სამოქალაქო საზოგადოების გარეშე კი ვერ განვითარდებიან."

**ლაშა მებონია:** "აფხაზეთში 90-იანი წლების ილუზიებში ცხოვრობენ, როცა ელცინი ეუბნებოდა, აიღეთ დამოუკიდებლობა, რამდენიც გნებავდეთო. მას შემდეგ იყო ჩეჩნეთი და რუსეთისთვის მთელ კავკასიაში სერიოზული პრობლემები შეიქმნა. მისი გავლენა თანდათან ბათილდება. ამ ფონზე, ვფიქრობ, თუ ქართულმა მხარემ სერიოზული შეცდომები არ დაუშვა, ჩვენ და აფხაზებს შორის არსებულ ბარიერს ნელ-ნელა დავანგრევთ."

# აქცენტი ევროკავშირზე

*მეთექვსმეტე წელია, რაც სამხრეთ კავკასიაში არსებობს სამი რეგიონული კონფლიქტი. მთიან ყარაბახში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებული "გაყინული კონფლიქტები" ხელს უშლის მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებას, რაც თავისთავად აფერხებს სამივე ქვეყნის მშვიდობიან განვითარებასა და ეკონომიკურ აღმავლობას.*

ლელა მარგიანი

კონფლიქტების აღმოსაფხვრელად ახლებური გზების ძიების საჭიროებას დიდი ხანია, აღნიშნავენ ექსპერტი-კონფლიქტოლოგები. სწორედ აღნიშნულ საკითხს მიეძღვნა "სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის" და მისი პარტნიორების მიერ მოწყობილი "მრგვალი მაგიდა", რომელსაც ესწრებოდნენ სამხრეთ კავკასიაში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების, საელჩოების, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები და კონფლიქტებზე მომუშავე ექსპერტები სამივე სამხრეთკავკასიური ქვეყნიდან.

შეხვედრაზე განიხილეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა და მათი როლი სამხრეთ კავკასიაში მოლაპარაკებების პროცესებში, საერთაშორისო და ადგილობრივი დახმარება ახალი "ევროპული მეზობლობის" პოლიტიკის კონტექსტში, კონფლიქტების მოგვარების პროცესში ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება.

ორი დღის განმავლობაში მრგვალ მაგიდასთან ერთმანეთის გვერდით მჯდომმა ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ექსპერტებმა უარყოფითად შეაფასეს სამივე ქვეყანაში არსებული ვითარება და აღიარეს, რომ მოლაპარაკებების პროცესის არსებული ფორმატი აბსოლუტურად მიუღებელია. აღინიშნა: რადგან ამდენი წლის განმავლობაში ვერც გაერომ მოაგვარა აფხაზეთის კონფლიქტი და ვერც ეუთომ – სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბახის, საჭიროა ახალი გზების ძიება. შეხვედრის მონაწილეების აზრით, ეს არის ევროკავშირის როლის გაზრდა მოლაპარაკებების პროცესში, რადგან სწორედ ევროკავშირია ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, სადაც რუსეთის ფედერაციას არა აქვს ვეტოს უფლება.

**"შეიძლება, პოლიტოლოგიის თვალსაზრისით, მიმდინარეობს გარკვეული ცვლილებები, მაგრამ კონფლიქტოლოგიის თვალსაზრისით, რაც ხდება, აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის. ისტორია რამდენიმე წელიწადში შეაფასებს ყველაფერს და გასული წლების განმავლობაში მოლაპარაკებების პროცესებში ჩართული პოლიტიკოსები პასუხს აგებენ მომავალი თაობების წინაშე. კავკასია ძალიან პატარაა, ამიტომ, ფაქტობრივად, ჩვენ - ექსპერტები ვთავაზობთ ჩვენს მთავრობებს ეფექტურ თანამშრომლობას, რათა გაერთიანდეს საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო სტრუქტურებისა და დამოუკიდებელი ანალიტიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ძალისხმევა საერთო პრობლემების – რეგიონული კონფლიქტების მოგვარების საქმეში,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, "სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის" ხელმძღვანელმა ალექსანდრე რუსეცკიმ.

სომეხი ექსპერტის, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის დავიდ ოვანესიანის აზრით, კონფლიქტთან დაკავშირებით ორი გზა არსებობს – მოგვარება და ტრანსფორმაცია. **"ჩემი აზრით, კონფლიქტი მხოლოდ დემოკრატიული გზით გადაიჭრება, რომელიც გაითვალისწინებს ადამიანების რეალურ უფლებებს და თვითგამორკვევას. ამავე დროს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ საკუთარი გაერთიანების შექმნაზე, რომელშიც იქნება სამი სამხრეთკავკასიური სახელმწიფო,"** – მიაჩნია ოვანესიანს.

გაერო-ს წარმომადგენელი, პოლიტიკურ საკითხებში უფროსი მრჩეველი ათანას ბაუტოვი იზიარებს აზრს, რომ კავკასიის სინამდვილიდან გამომდინარე, კონფლიქტების მონაწილე ყველა მხარე ერთ ნავში ზის, ამიტომ საჭიროა "არა ნავის გადაყირავება, არამედ ნაპირამდე რაც შეიძლება მალე მიღწევა"; რომ კონფლიქტების მოგვარებაში სამოქალაქო საზოგადოება უფრო უქტიურად უნდა ჩაერთოს; რომ მას ნამდვილად უნდა ჰქონდეს ამ საკითხში საკუთარი ხმა. ბატონმა ბაუტოვმა ისიც აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების არსებული ფორმატები **"იქმნებოდა კონფლიქტების შემდგომ პერიოდში, რათა შეჩერებულიყო ომი. მაშინ მოხდა ორმხრივი შეთანხმებების მიღწევა: ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში - გაერო-ს საშუალებით, ხოლო ქართულ-ოსურში - ეუთო-ს ძალისხმევით. ეს ფორმატები ამჟამად იცვლება. აქცენტი გადადის ევროკავშირზე. ძირითადი საკითხი, რომლის მოგვარებაშიც ექსპერტები უნდა ჩაერთონ, მხარეებს შორის ნდობის აღდგენაა."**

საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენლის, ჟაკ ვანტომის აზრით, **"სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ მიზანმიმართული პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც იქნება მხოლოდ და მხოლოდ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზა. რაც შეეხება საქართველო-რუსეთის საზღვრის უსაფრთხოებას, რომლის მონიტორინგიც შეწყდა რუსეთის მხარის მოთხოვნით, ევროკავშირმა 17 მარტს მიიღო დადგენილება, რომ ამ საკითხის შესასწავლად სამ თანამშრომელს საქართველოში გამოგზავნის. მინდა გითხრათ, რომ ევროპა არ დაგტოვებთ თქვენ, რადგან თუ ამჯერად არ მოხდება საქართველო-რუსეთის საზღვრის მონიტორინგის აღდგენა, იდეა მაინც არ უნდა მოკვდეს."**

შეხვედრის ბოლოს "მრგვალი მაგიდის" მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ უნდა შეიცვალოს მოლაპარაკებების ფორმატი და იგი უნდა გახდეს მრავალფორმატიანი, რომ მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა ჯგუფმა: შერეულმა ოჯახებმა, დევნილებმა, რომ რუსეთი არ უნდა ასრულებდეს მედიატორის როლს, რადგან იგი კონფლიქტის მონაწილე მხარეა, რომ უნდა გაიზარდოს ევროკავშირის როლი კავკასიის კონფლიქტების მოგვარების პროცესში, რომ ასევე გასათვალისწინებელია თურქეთის აქტიურად ჩართვა და რომ "ოთხი მგზავრისგან დაკომპლექტებული კუპე, სახელწოდებით "ადარ" (Армения, Грузия, Азербайджан, Турция) სავსებით რეალური იქნებოდა."

# ტატიანა მასწავლებელი

*ძალიან ცოტამ თუ იცის ის ფაქტი, რომ დღეს გალის რაიონის დაბალი სოფლის სკოლებში სწავლება ქართულენოვანია. ჩვენი რესპოდენტი, სწორედ, ქვემო ბარღების საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია. 80 წელს მიღწეულმა ქალბატონმა ტატიანა გვაძაბიამ განაცხადა, ფილოლოგი რომ არ ვიყო, ამდენ ხანს ვერ ვიცოცხლებდიო.*

სოფიკო ლაგვილავა

### ოჯახი

ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული ფილოლოგობაზე ოცნებობდა. 1946 წელს 16 წლისა სოხუმის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მღვდლის ოჯახში აღზრდილს ქართული ლიტერატურის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული ამოძრავებდა. პოლიტიკური წინაღობების მიუხედავად დიდ შემოქმედთა ნაწარმოებებს მოსწავლეებს ისე გადასცემდა, როგორც ამას გონება კარნახობდა. დღეს ამაყობს იმით, რომ აღზრდილთაგან 52 ფილოლოგია, მათ შორის საკუთარი ქალიშვილიც. ღვთის მადლით, ასაკის მიუხედავად, სმენა, მხედველობა და აზროვნება მტკიცე აქვს, რაც საშუალებას აძლევს, ამაყად ემსახუროს საყვარელ საქმეს.

### პატრიოტიზმი პედაგოგიკაში

სამშობლოს უანგარო სიყვარული რომ ყველა მოქალაქის ვალია, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ღირსეული მასწავლებელი კი საქმისადმი ერთგულებითა და მოსწავლეებისადმი დამოკიდებულებით ავლენს სიყვარულს სამშობლოსადმი, მისი მომავლისადმი. "ბავშვები არ უნდა გამოარჩიო. ყველას ერთი სითბოთი უნდა მოეპყრო. თუ ბავშვს უკანონოდ მოექცევი, ისიც უკანონოდ მოიქცევა. მასწავლებლის ერთი არასწორი ნაბიჯი, მომავალში ერს ბუმერანგივით უბრუნდება. სწორედ მოსწავლეებისადმი დამოკიდებულებით ვლინდება პედაგოგის პატრიოტიზმი,"- პედაგოგის ამ პრინციპით ხელმძღვანელობს გამოცდილი მასწავლებელი.

### სიძულვილით დაბრმავებული

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მშობლიურ სოფელში დაიწყო მუშაობა. პირველი ხელფასით ქართველ მწერალთა სურათები შეიძინა და ოთახი გემოვნებით მორთო. ომის დროს სკოლის განადგურება აფხაზებმა, სწორედ, ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტით დაიწყეს. ქალბატონი ტატიანა მთელი ცხოვრება წიგნებს აგროვებდა. პედაგოგის მწირი ხელფასით მან უზარმაზარი ბიბლიოთეკა შექმნა, მაგრამ ყოველივე წარსულს ჩაბარდა და ახლა მწარე მოგონებად შემორჩა მის მეხსიერებას. "როცა ჩემს სახლს გაბოროტებულმა აფხაზებმა ცეცხლი წაუკიდეს, მე ღობეს უკან ჩასაფრებული შორიდან ვუცქერდი. ყველაზე მეტად წიგნები მენანებოდა, ჩემი შვილივით ნაფერები წიგნები. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემი გულიც მათთან ერთად ცეცხლის ალში იყო გახვეული," - ძლივს ამოთქვა ეს სიტყვები მასწავლებელმა.

### "ზრდილი, ვითარცა აფხაზი"

გააფთრებული პარტიზანული მოძრაობისა და აფხაზი "ბოევიკების" უთავბოლო პარპაშის დროს, აცახცახებული მოხუცი კბილებამდე შეიარაღებულმა ჩაის ბუჩქებში ნახა მიმალული. აფხაზმა დაუცველ ქალბატონზე ხელი არ აღმართა და თავადაც უკუღმართი დროებით დაღლილი, გვერდით მიუჯდა სიკვდილის მომლოდინე შეშინებულ ქალს. იარაღასხმულმა ქურთუკის ღილები შეიხსნა და მკერდზე მიბნეული სამი გარდაცვლილის სურათი აჩვენა. მამა, დედა და ძმა ქართველებმა თვალწინ მომიკლეს, დამ კი თავს გაქცევით უშველა, მაგრამ დაჭრილი სამუდამოდ ინვალიდი დარჩაო, - უთქვამს გუდაუთელ "ბოევიკს".

"თავიდან მეგონა აღსასრულის ჟამი დამიდგა და სიკვდილს თვალებში ვუყურებდი, მაგრამ ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ და ერთმანეთს თვალცრემლიანი დავცილდით", - გაიხსენა ქალბატონმა ტატიანამ.

იყო მეორე შემთხვევა, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით დაამახსოვრდა მრავალ ჭირნახულ პედაგოგს. ომის დამთავრებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, გალში დარჩენილი ქართველები უწინდებურად არ უფრთხოდნენ იარაღასხმულ "სტუმრებს" და მათთან ხშირად მუსაიფსაც გააბამდნენ, ხოლმე. ერთხელ ასეთი მუსაიფის დროს ორი ახალგაზრდიდან ერთ-ერთს, ამაყი ფილოლოგის სიტყვები არ მოეწონა.

- "Ты что мамаша не знаеш на чей земле ты стоиш!"

- "На своей земле я стою!" - არ დაიხია უკან ქალბატონმა ტატიანამ.

ამასობაში მეორე აფხაზი გამოექომაგა და თავხედ მეგობარს შეუტია:

- "Она говорит правду. На своей земле она стоит, здесь всегда грузини жили".

### "ქურუმების ნაძერწი ხასიათი"

ქალბატონ ტატიანას ურთიერთობა აფხზურ ენასთან ჯერ კიდევ სკოლაში დაიწყო. მას დღესაც კარგად ახსოვს აფხაზური ენის მასწავლებელი ნაზი მკეცბა. სასიამოვნოდ იხსენებს აფხაზ სტუდენტებთან გატარებულ დროს. "მართალია, ისინი რუსულ სექტორზე სწავლობდნენ, მაგრამ დერეფანი საერთო გვქონდა და ჩვენს მეგობრობას წინ არაფერი ედგა." უნივერსიტეტის კედლებში გაიცნო და დაუახლოვდა აფხაზ მწერლებს - ა. ლასურიას, ბ. შინქუბას, ი. კოლონიას და სხვ.

აი როგორ ახასიათებს ღვაწლმოსილი პედაგოგი აფხაზ ადამიანს: "აფხაზი ცოტა შეშინებულია. შიშის გამო შეუძლია მტერს ადვილად ემსახუროს. აფხაზს თავმოყვარეობა უფრო მეტი აქვს, ვიდრე შრომისმოყვარეობა. ის ნაკლებად ნიჭიერია. საკუთარ თავზე კი გადამეტებული წარმოდგენა აქვს. მიზეზი კი მათ გენშია. მცირენი იყვნენ და მუდამ ეშინოდათ, არავინ დაგვჩაგროსო. აფხაზები არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარე, გამგები და დამნდობი ერია. თუ მეგობრად გიგულეს, არ გიღალატებენ. მრავალი ტკივილის მიუხედავად, აფხაზები არ მეჯავრება. ისინი გაბოროტებული არიან რუსების მიერ. უტყუარი ისტორია არასოდეს იცოდნენ. ჩვენ, ქართველებს არ გვიჯერებდნენ, რუსები კი სიმართლეს არასოდეს ეუბნებოდნენ."

### ... დაბოლოს

1992 წელს გალის განათლების განყოფილებამ ქალბატონი ტატიანა გვაძაბია წარადგინა "განათლების წარჩინებული მუშაკის" წოდების მისაღებად საქართველოს განათლების სამინისტროში. სამინისტრომ მოთხოვნა დაამტკიცა და სანამ ღირსეული პედაგოგი სათანადო საბუთს მიიღებდა, ქვეყანას მძიმე დროება დაუდგა. გამოცდილი პედაგოგი მას მერე არავის გახსენებია.

აფხაზეთში ქართული სკოლის პედაგოგებმა არაერთგზის მიაწვდინეს ხმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, იქნებ პატივი დაგვდოთ და დაგვაფინანსოთო. პასუხად კი უარი მიიღეს. მიზეზად უამრავი იურიდიული საბუთი დაუსახელეს, რაც მძიმე პირობებში მყოფთათვის ვერავითარი ნუგეშია.

ეძღვნება გაზაფხულს



B2

დიდი ბრძოლა



B4

რუდოლფ ნურიევი ბრუნდება... მოდიდან



B8

# ხელისუფლება უპირობო ნდობას ითხოვს

## საზოგადოებას კი კითხვები აწუხებს

პირველი გვერდიდან

შევარდნაძის ხელისუფლების დროს ასე არასდროს ხდებოდა - 2000 წელს, ინფორმაციის თავისუფლების აქტის მიღების შემდეგ, ყველა კომიტეტის კარზე გამოკრული იყო, სად ტარდებოდა სხდომა და რა თემაზე. დღეს ზოგი კომიტეტი (მაგალითად, იურიდიული) ამას აკეთებს, ზოგი - არა.

**- ამ პარლამენტში სამოქალაქო სექტორიდან მისული თქვენი მეგობრები არიან, პრივატულ საუბრებშიც არ გეუბნებიან ამ ჩაკეტილობის მიზეზს?**

- ბუნებრივია, მეგობარს თუ დაურეკავ, გეტყვის, რა ხდება, მაგრამ მე რომ ხელი მიმიწვდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებასაც მიუწვდება ხელი. ეს არ შეუძლიათ სხვა არასამთავრობოებს და დაინტერესებულ პირებს, ვისაც პირადი კონტაქტები არა აქვს. ეს ჩამოყალიბებული ტენდენციაა, რადგან ანალოგიური სიტუაციაა მთავრობაში და პრეზიდენტის კანცელარიაში.

მაგალითს გეტყვით: არსებობს საკანონმდებლო სიახლეების კომპიუტერული პროგრამა "კოდექსი", სადაც ყველა კანონი, განკარგულება თუ ბრძანებულება შედის და ვინც ფულს იხდის, მისთვის ეს ხელმისაწვდომია. მე ეს პროგრამა მაქვს. პირველად ხდება, რომ იქ პრეზიდენტის მიერ გამოცემული მთელი რიგი აქტები აკლია. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი გასაიდუმლოება არ არის, რადგან სხვა არხებითაც შეიძლება მოპოვება. აქ საუბარია იმაზე, რომ შემთხვევით, ვინმეს თვალში არ მოხვდეს.

**- რა ხასიათის ბრძანებულებები აკლია?**

- ძირითადად ეს ბიუჯეტის განაწილებასთან დაკავშირებული აქტებია. პრეზიდენტის ფონდისა და მთავრობის სარეზერვო ფონდის შესახებ გამოცემული აქტები რეგულარულად ქრება მონაცემთა ბაზიდან.

**- თქვენი ინფორმაციით, რამდენია პრეზიდენტის ფონდის ბიუჯეტი?**

- ფორმალურად ეს ქვეყნის ბიუჯეტშიც არის შეტანილი და დამტკიცებული. ცვლილებების შესვლამდე პრეზიდენტის ფონდი 10 მილიონი ლარი იყო, ხოლო მთავრობის სარეზერვო ფონდი - 15 მილიონი. დაახლოებით, 10 მილიონი იყო 2004 წელსაც; ზუსტად არავინ იცის, ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ რაც ვიცით და შეკრებილია, პრეზიდენტმა შარშან დაახლოებით, 35-40 მილიონამდე ლარი დახარჯა. ალბათ ამის შიშით, რომ წელსაც იგივე მოხდება (რადგან პრეზიდენტმა მარტო ერთი, 16 მარტის განკარგულებით 13 მილიონი ლარი გაანაწილა დიზელის საწვავზე) პარლამენტმა კიდევ 10 მილიონის დამატება გადაწყვიტა. პარლამენტარებს ვურჩევ, გაცილებით მეტი გაითვალისწინონ, რადგან ეს არ ეყოფა.

**- რამ გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის იგნორირებისა და ინფორმაციის დახურვის ტენდენციები ხელისუფლებაში?**

- აქამდე სულ ვამბობდი, რომ ეს იყო დაუდევრობა. რევოლუციის შემდეგ შეიმჩნევა ზოგადი ტენდენცია - "ჩვენ კარგი ხალხი ვართ და მაინც სულ კარგ საქმეებს ვაკეთებთ..." თავდაცვის მინისტრმა ერთ-ერთ ტელეკომპანიაში ისიც კი განაცხადა, არ ვაპირებ ვისაუბრო, როგორ იხარჯება ფინანსები თავდაცვის სისტემაში, მაგრამ ყველას გარწმუნებთ, რომ იქ ცუდი არაფერი ხდებაო. ხელისუფლება ბრაზდებოდა, როდესაც მას რამეს ეკითხებოდნენ, რადგან მიაჩნევდნენ, რომ საზოგადოება მათ ყოველგვარი კითხვების გარეშე ენდობოდა და გადამოწმება საჭირო არ იყო. მაგრამ, ამ ბოლო დროს ხალხმა მაინც გადაწყვიტა კითხვების დასმა, რადგან როდესაც ადამიანს მილიონებზე უკონტროლოდ მიუწვდება ხელი, თან ამ სახელმწიფოში ანგელოზი არავინ არის და ცდუნებაც დიდია - მსუბუქად რომ ვთქვათ, უფლებამოსილების გადამეტების ალბათობა ძალიან მაღალია. სწორედ ამის ხარისხითა და დოზით დავინტერესდით, როდესაც ვცდილობდით, გაგვერკვია პრეზიდენტის ფონდთან დაკავშირებული ინფორმაცია. ალმოჩნდა, რომ ამ კომპიუტერულ პროგრამაში მიყოლებით არის გამოტოვებული 183-ე, 184-ე, 185-ე განკარგულებები.

**- კონკრეტულად რა ბრძანებულებებია?**

- პირველი არის 13 მილიონ 560 ათას ლარზე, რომელიც დიზელის საწვავის შესაძენად გამოიყო; მეორე - თანხაზე, რომელიც უკრაინაში გალა კონცერტის ჩატარებისთვის კულტურის სამინისტროსთვის გამოიყო და მესამე - არის თანხა, რომელიც შსს-თვის ჩამოსული ტექნიკური საშუალებების განსაბაჟებლად გამოიყო.

ბოლოდან დავიწყებ - შსს-ში ჩამოვიდა მოწყობილობები ან ლაბორატორიები, რაც ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი რამ არის. განბაჟების თანხები კი პრეზიდენტის ფონდიდან გაიცა. კითხვა მებადება - შსს-ს თავდაცვის სამინისტროს შემდეგ ყველაზე უფრო დიდი ბიუჯეტი აქვს. ამ სამინისტროს მიერ ლაბორატორიის შეძენა არ შეიძლება დაუგეგმავი, უცაბედი მოვლენა იყოს. თუკი ამ სამინისტროს ბიუჯეტით მოწყობილობების შეძენა იყო გათვალისწინებული, რატომ არ გაითვალსიწინეს ისიც, რომ საქართველოში არის კანონები, საბაჟო გადასახადები, რომელსაც გადახდა უნდა? აქ დაუდევრობის კლასიკური შემთხვევა გვაქვს.

მეორე შემთხვევა კულტურის სამინისტროსთვის 350 000 ლარის გამოყოფაა. ჩვენ გვითხრეს, რომ უკრაინაში 2005 წელი საქართველოს წლად გამოცხადდა. საქართველოს პრეზიდენტი იქ წლის გახსნისა და ჯილდოების მისაღებად ამალით ჩავიდა. გაიმართა გალაკონცერტი ქართველთა მონაწილეობით. როდესაც ტელევიზორს ვუყურებდი, მქონდა მადლიერების განცდა უკრაინის ხელმძღვანელობისადმი, რომელმაც დააფასა დემოკრატიულ რევოლუციაში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი და მადლიერების განცდა ჩვენი კულტურის პროპაგანდისთვის. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ არავინ ამ პროპაგანდას არ ეწევა, უბრალოდ, საქართველოს წლად გამოაცხადეს და დანარჩენი ჩვენი პრობლემა იყო. თავისთავად, შეიძლება ქვეყანამ განსაზღვროს პრიორიტეტი და თქვას, რომ იმის გამო, რომ 70 წელი ერთ სახელმწიფოში ვცხოვრობდით, რომ ქართული კულტურა იქ ცნობილია და ქართულ ღვინოსაც სვამენ, რომ ეს დიდი ბაზარი უნდა ავითვისოთ - ამის გამო ქართული სახელმწიფო კულტურისა და პროდუქციის რეკლამირებას ეწევა... ნუ გვატყუებენ და ეს ყველაფერი გვითხრან. გვითხრან, რომ ის გალაკონცერტი, სადაც პირველმა ლედიმ იმღერა და სხვა, ჩვენ დავაფინანსეთ, ჩვენ ჩავიყვანეთ მომღერლები და გადავიხადეთ დეკორაციის ხარჯები. გვითხრან, რომ ეს იყო ქართული PR და გავიგებთ. ვილაცამ ჩვენ მაგივრად მიიღო გადაწყვეტილება, აღმოგვაჩინა ფორსმაჟორში და ჩვენ ფული უნდა დავხარჯოთ.

ამ ყველაფერთან კი ის, რაც ცნობილი 183-ე განკარგულებით მოხდა, რა მოსატანია - საქართველოს პრეზიდენტმა, ისე როგორც მთელი ამ წელიწადნახევრის განმავლობაში, კიდევ ერთხელ გადაწყვიტა კანონისთვის ფეხის დაბიჯება და მხოლოდ იმის გამო, რომ უთხრეს, ეს კარგი PR იქნებოდა, 13 მილიონ 600 000 ლარის დახარჯვაზე ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება. ახლა ის ივლის რაიონიდან - რაიონში, გლეხებს შეხვდება და დაარიგებს 20-20 ლიტრ დიზელს. რა თქმა უნდა, არავითარი პრეტენზია არ შეიძლება მქონდეს გლეხის მიერ ამ სახელმწიფოსგან მიღებულ სარგებელზე, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამ 13 მილიონი ლარით გაცილებით დიდი სარგებლის მიღება შეიძლებოდა, ვიდრე ეს 20 ლიტრი საწვავია. კონკრეტული რეცეპტი ბევრია და ერთ-ერთი, თუნდაც 100-ლარიანი საკრედიტო ხაზის გახსნაა. გლეხებს საშუალება მიეცემოდათ, თავად გადაეწყვიტათ - დიზელი ერჩივნათ, ხორბლის თესლის ყიდვა, ტრაქტორის ქირაობა თუ სხვა რამ, რაც მის საოჯახო მეურნეობას წასწევდა წინ.

ამ აზრით, რა თქმა უნდა, არავინ დაინტერესდა, რადგან პრეზიდენტი ველარ ივლიდა რეგიონ-რეგიონ, გლეხებს ხელს ვერ ჩამოართმევდა და ისინი მასზე ვერ ილოცებდნენ. საკრედიტო ხაზი იქნებოდა გრძელი პროცესი, რადგან უნდა ჩატარებულიყო კონკურსი, სადაც გლეხები მიიღებდნენ მონაწილეობას. ეფექტურობა კი გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ამ შემთხვევაში მივიღეთ.

**- სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის საყვედურები იმის გამო, რომ ხელისუფლება საჭიროდ არ თვლის ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მოსახლეობისთვის ახსნას. მაგალითად, რატომ არ გვაქვს წელს ელექტროენერგია და შარშან რატომ გვქონდა უკეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება მართლაც ობიექტური მიზეზებით იყოს გამოწვეული. თქვენ როგორ აუხსნით ამას საზოგადოებას?**

- ამ ბოლო დროს, დიზელის საწვავთან დაკავშირებით თითქმის ყველა მინისტრისთვის და პრემიერ-მისნისტრისთვისაც ტრადიციულად იქცა ფრაზა "ამ თემაზე შენიშვნებს არ მივიღებ..." რას ნიშნავს ეს? ჩვენ არ ვითხოვთ ნებართვას, მიიღებენ თუ არა შენიშვნებს. ჩვენ შენიშვნასაც მივცემთ და კითხვებსაც დავუსვამთ.



რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ვინმეს ჰქონოდა ილუზია, რომ ერთ წელიწადში 24-საათიანი დენი გვექნებოდა. თუმცა, შარშანდელი წელი გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე წლევანდელი. იქნებ ამას რაიმე გამართლება ჰქონდეს კიდეც. გაცილებით მნიშვნელოვანი ხელისუფლების მიდგომაა - იმის ნაცვლად, რომ ვილაცამ ღირსად ჩაგვთვალოს და აგვიხსნას, რა ხდება თავდაცვაში, ენერგეტიკაში, პრივატიზაციაში - პარლამენტის უმრავლესობის ლიდერისგან ან სხვა ფრაქციის თავმჯდომარე ბესო ჯუღელისგან გვესმის: "შეეგუეთ, 2008 წლამდე შუქი არ იქნება" და ძალიან პათეტიკური გამოსვლა იმის თაობაზე, "აბა, რა გეგონათ, როდესაც რუსეთის ბაზების გასვლას ხმას აძლევდითო..." მე, როგორც უბრალო მოქალაქეს და არა ენერგეტიკის ექსპერტს, მაქვს განცდა, რომ მოსკოვში ვილაც ბოროტი ბიძია ზის, ე.წ. ფიდერზე უჭირავს ხელი და იმის მიხედვით, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პარლამენტი, ხან ჩამოსწევს ამ ფიდერს და ხან - ასწევს. საქართველო საბავშვო ბაღი აღარ არის. 10 წლის წინ შეიძლება შევარდნაძეს მოვეტყუებინეთ, მაგრამ ჩვენ ველარ მოგვატყუებენ და ველარ დაგვაჯერებენ, რომ რადგან საქართველოს პარლამენტმა ბაზების გაყვანას უყარა კენჭი, იმ ბოროტმა ბიძიამ ფიდერი ჩამოგვიწია. ასე არ ხდება. რა თქმა უნდა, წელიწადნახევარში სამოთხე არ გვექნებოდა, მაგრამ მდგომარეობა არც უნდა გაუარესებულიყო. თუ ვცდები, განგვიმარტონ და გონორით არ გველაპარაკონ. უნდა გვითხრან, რატომ არ გვაქვს, როდის გვექნება და გარდა იმისა, რომ მთაწმინდაკრწანისის გამგებელი მოხსნეს, რას აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რომ ელექტროენერგია გვქონდეს.

**- დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში დავით მირცხულავა ყველაზე ხანგრძლივი მინისტრი იყო. მისი მინისტრობა დიდწილად დაემთხვა ენერგეტიკაში კლანური მართვის პერიოდს. როგორც ჩანს, მას რეალურად ვერაფერს უმტკიცებენ, ვინ ტყუის? გარდა ამისა, ევროსასამართლომ, სადაც მირცხულავას ადვოკატები ჩივიან, შეიძლება ჩვენს ქვეყანას უზარმაზარი ფინანსური სანქციები დაუწესოს. ვისი მიზეზით შეიძლება დაუჯდეს ჩვენს ქვეყანას მირცხულავა ასე ძვირი?**

- როგორც იურისტი ვამბობ, რომ, ჩემი აზრით, ამ გადაწყვეტილების ფასი იქნება ის, რომ სომხეთი იმ ვალის მეორედ გადახდას მოგვთხოვს, რომელიც ერთხელ უკვე გადახდილი გვაქვს. ხმასაც ვერ ამოვიღებთ, ისე გადავიხდით, რადგან სასამართლოში ვთქვით, რომ ეს კაცი მაგიტომ ზის. და მეორე - ჩვენი პროკურატურის "პრინციპული" დამოკიდებულების გამო ევროსასამართლო მირცხულავასთვის ერთი ამდენი ფულის გადახდას მოგვთხოვს. აი, ამ ფასად დაგვიჯდება და თან მირცხულავასაც გაუშვებენ.

მოლაშვილის შემთხვევაში კი - სომხეთისთვის მაინც არ გვექნება ფული გადასახდელი. სხვათა შორის, მოლაშვილის საქმესთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო რამ ხდება და მედიაში ეს ჯერ არ თქმულა - ამჟამად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ბრალი აქვთ წაყენებული ექიმებს, რომელთაც მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნახეს და თქვეს, რომ ეს ყველაფერი სახეზე იყო. საქმე სასამართლოშია გადაგზავნილი და როგორც ჩანს, პრეზიდენტის განცხადება: "მოვითხოვ, ეს საქმე ბოლომდე იყოს გამოძიებული და დამნაშავე დაისაჯოს", ასე იკითხებოდა: "მოვითხოვ, გამოიძიოს საქმე და დაისაჯოს ყველა, ვისგანაც ინფორმაციამ გაჟონა".

**- იურისტები უფრო ხელისუფლებას უსვამთ დიაგნოზს. ხელისუფლებით ტკბობისა და მისით გარყვნის (როგორც ჰაველი ამბობდა) ნიშნებს ხედავთ?**

- გარყვნის ნიშნები ცალსახად სახეზეა. ეს აქამდე გამოიხატებოდა ცინიზმში, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასა და საზოგადოების აბუჩად აგდებაში. დღეს იმის სერიოზული კონტურები იკვეთება, რომ გარყვნის ნიშნები არა მარტო ვერბალურ გამოთქმებში, არამედ კონკრეტულ ჯიბეებშიც არის.

სკანდალები, რომელიც დღეს სახეზეა - სატელეფონო ჩანაწერები, დიზელი და კიდევ ბევრი რამ - ცალსახად ითხოვს პასუხებს. არც პროკურორი ვარ და არც მოსამართლე, რომ ვინმეს ბრალი წავუყენო. ვარ საზოგადოების წევრი, რომელიც 10 წელია სხვამს შეკითხვებს და იმის გამო, რომ ხელისუფლებაში ჩემი მეგობრები არიან, კონფორმიზმს, თვალის დახუჭვას და იმის ძახილს არ ვაპირებ, რომ ყველაფერი კარგად არის და ხვალ უკეთ იქნება. ხელისუფლება კი სწორედ ამისკენ უბიძგებს საზოგადოებას და 4 წლით უპირობო ნდობას ითხოვს. თუ ხელისუფლება დღეს და ხვალ იმ შეკითხვებს არ გასცემს პასუხს, რომელიც საზოგადოებას აწუხებს, სხვანაირ შენიშვნებს გაუკეთებენ და ეს იქნება ამ ქვეყნის ყველაზე დიდი მარცხი, თორემ ჩვენ მხედრიონის დრო გამოვიარეთ და ამაზე უარესს სააკაშვილი ვერ დაგვმართებს.

**- სამოქალაქო საზოგადოებაც იმისთვის არსებობს, რომ ხელისუფლებას ხელი შეუშალოს გარყვნაში. რა როლს შეასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დღეს შესუსტდნენ და გარდა ამისა, ამ ხნის განმავლობაში რაიმე ახალი, გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია არ დაბადებულა?**

- ახალი ორგანიზაციების დაბადება თვითმიზანი არ არის, ეს თავისთავად უნდა მოხდეს. როგორც ჩანს, ამის მოთხოვნილება ჯერ არ არის. არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდათ რევოლუციის შემდეგ 2-3-თვიანი სტაგნაცია. მათი ნაწილი რევოლუციის დროს მეორე მხარეს იყო და გასაგებია, რომ დაიბნენ. მეორე ნაწილს, ვინც ნეიტრალურნი არ ვიყავით, გვქონდა პოზიცია, ვიდექით ქუჩაში და შევარდნაძეს ვებრძოდით, რევოლუციის გამო დიდი იმედი და პასუხისმგებლობაც გვქონდა. ამიტომ იყო 2-3-თვიანი სტაგნაცია. იმის გარკვევაში ვიყავით, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. უკვე ერთი წელია, რაც ეს პრობლემა აღარ არსებობს. ის ადამიანები, ვინც ყოველთვის სიმართლეს ამბობდნენ, ისევ ამბობენ. პრობლემა სხვა რამეა - მათი ხმა ისე არ ისმის, როგორც ორი წლის წინ ისმოდა და ეს არასამთავრობოთა ბრალი არ არის, ეს იმ მედიის დამსახურებაა, რომელიც მზად არ არის, ეთერში გაისმას ეს სიმართლე.

> საქართველო საბავშვო ბაღი აღარ არის. 10 წლის წინ შეიძლება შევარდნაძეს მოვეტყუებინეთ, მაგრამ ჩვენ ველარ მოგვატყუებენ და ველარ დაგვაჯერებენ, რომ, რადგან საქართველოს პარლამენტმა ბაზების გაყვანას უყარა კენჭი, ბოროტმა ბიძიამ მოსკოვში ფიდერი ჩამოგვიწია.

> თუ ხელისუფლება დღეს და ხვალ იმ შეკითხვებს არ გასცემს პასუხს, რომელიც საზოგადოებას აწუხებს, სხვანაირ შენიშვნებს გაუკეთებენ და ეს იქნება ამ ქვეყნის ყველაზე დიდი მარცხი, თორემ ჩვენ მხედრიონის დრო გამოვიარეთ და ამაზე უარესს სააკაშვილი ვერ დაგვმართებს.

გიორგი თარგამაძემ ღია ეთერში თქვა, რომ დამფუძნებელმა მთხოვა და იმიტომ არ გავიდა სიუჟეტიო და ისევ იმ ტელევიზიაში რჩება - ჩემი ცნობიერება ამის გაგებას არ ყოფნის. თუმცა, ეს იყო პატიოსანი ადამიანის ნათქვამი, ჟურნალისტმა პირველად გვითხრა ეთერში, რომ გვაქვს ცენზურა და ამას ვერ ვერევიო. ყველაზე სამარცხვინო ის არ არის, რომ მედიაში არასამთავრობოთა ხმა არ ისმის - ეს მედიის პრობლემაა და თვითონვე მიხვდებიან, რომ არაპოპულარულები არიან, მათ ხალხი არ უყურებს, რეკლამა აღარ ექნებათ და დაუბრუნდებიან იმ ხალხს, რომელთა მოსმენაც, სავარაუდოდ, ხალხს შეიძლება უნდოდეს. აქ პრობლემა ის არის, რომ ამ ფერხულში ჟურნალისტები თავს კომფორტულად გრძნობენ და სწორედ რევოლუციის დროს ჰქონდათ დისკომფორტი. მგონია, რომ ამ ჟურნალისტებს მაშინ ვაიძულებდით, ისეთი რამ ეკეთებინათ, რაც არ უნდოდათ. პირდაპირ ვიტყვი - იცით, რა როლსაც თამაშობდა რევოლუციის დროს დათო კიკალიშვილი. ვერ ვხვდები, ეთერიდან დღეს როგორ საუბრობს იმას, რასაც საუბრობს. ჩემთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარია.

**- მაგრამ, აღარც სამოქალაქო სექტორში გამოჩენილა ვინმე ახალი, ვინც გაბედულად და კომპეტენტურ სიმართლეს იტყვის.**

- ასე არ მგონია. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში არიან ადამიანები, ვინც ზოგიერთ საკითხში ჩემზე მეტი ექსპერტია. თან მგონია, რომ ჩემგან ნათქვამს ხელისუფლებისგან გაცილებით მეტი აგრესია მოჰყვება, ვიდრე მათ ნათქვამს. სამოქალაქო სექტორის ერთი და დიდი ჯგუფი დღეს ხელისუფლებაშია. როგორც ჩანს, ეს ადგილი არასდროს რჩება ცარიელი და იმ ახალგაზრდებით შეივსო, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებში მოვიდნენ. ესენი მხოლოდ იმიტომ არ ჩანან, რომ ამ ადამიანებზე მედიიდან არ არის მოთხოვნილება.

**- გუშინ საღამოს თავდაცვის მინისტრმა თქვენ და თქვენს მეგობრებს სატელევიზიო ეთერიდან კონტრბრალდებები წაგიყენათ...**

- ოქრუაშვილმა თქვა, რომ თურმე გამყრელიძესთან შევკრებილვართ და იქ გადაგვიწყვეტია, რომ მას უნდა დავარტყათ. ეტყობა, აქვს რაღაცა მტკიცებულებები და იქნებ ჩვენც გაგვაცნოს, რომ გავიგოთ, როდის და სად ვიკრიბებით... ეს აბსოლუტური სიცრუეა. ვინც ერთ გაზეთს მაინც კითხულობს და ტელევიზორს უყურებს, ყველამ კარგად იცის "ახლებისადმი" ჩემი დამოკიდებულება. სირცხვილია, როდესაც თავად ლაპარაკობენ "ახლებზე", რადგან პარლამენტში მათივე დანიშნული ოპოზიციაა და ქვას აქეთ ნუ ისვრიან.

მეორე, რაც თავდაცვის მინისტრმა თქვა, თითქოს, ჩვენ "ფსბ"-ს მსგავს განცხადებებს ვაკეთებთ და მათთან ვართ შეკრული. რა უნდა ვთქვა გარდა იმისა, რომ შევარდნაძის დროს ზუსტად ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ ჩვენზე. ეს ის შემთხვევაა, როცა არგუმენტი არა აქვთ და რაღაცა ხომ უნდა დაგვაბრალონ?! იდენტური ლოგიკაა და ძალიან სასაცილოა.

აგრეთვე ითქვა, რომ ჩვენ სამივე - მეც, დათოც და პაატაც (დარჩიაშვილი და ზაქარეიშვილი - რედ.) მას პირადი ინტერესების გამო ვებრძვით. მინისტრმა თქვა, რომ თურმე გრანტის მიღება გვინდოდა და ვერ მივიღეთ იმიტომ, რომ თავდაცვის სამინისტრო ამაზე არ წამოვიდა. სოროსის ფონდი გრანტებს კი არ იღებს, არამედ - გასცემს და შესაბამისად, ჩვენ გრანტის ინტერესი ვერ გვექნებოდა.

**- რა პროექტზეა საუბარი?**

- მისივე სამინისტროში, კანონით გათვალისწინებულ მრჩეველთა საბჭოს დაფინანსებაზეა საუბარი. თავდაცვის მინისტრობისას ბარამიძემ შექმნა მრჩეველთა საბჭო და დახმარებისთვის მოგვმართა. ჩვენც დავაფინანსეთ, მაგრამ ვერაფერს აკეთებდნენ და გვთხოვეს, გადაგვიდეთო, ასეც მოვიქეცით.

თურმე იმიტომაც ვართ განაწყენებულები, რომ მან საპარლამენტო არჩევნებში "რესპუბლიკური პარტიის" სიაში პირადად დაბლოკა ადამიანები, რომელთა გვარებიც არ დაუსახელებია. მე არ ვიცი, ვინ წარადგინეს, მაგრამ თუ დაბლოკეს, ძალიან მადლობლები ვართ, რადგან ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ სხვა ტიპის ადამიანები ვართ და გამორიცხული იყო მათთან ჩვენი თანამშრომლობა. მისი საუბრის მომსმენი მოსახლეობა ადვილად მიხვდება, უჭირთ თუ არა მათ ელემენტარულად მოძრავი ადამიანები.

მესამე ბრალდება იყო, ძმა გავათავისუფლე სამსახურიდანო და ეს პირადად მე მეხებოდა. ჩემი ძმა შსსსი მუშაობდა. მან თქვა, რომ სამსახურიდან გავაგდეო. სინამდვილეში, ის სტრუქტურა გაუქმდა, სადაც ჩემი ძმა მუშაობდა და შესაბამისად, ყველა გათავისუფლდა. როდესაც ქალაქის ადვოკატის პროექტი გააუქმა, ჩემი ძმა სამსახურიდან პირველად სოსო ალავიძემ გაათავისუფლა. მაშინ მან უთხრა, შენმა დამ გიშოვოს სამსახურიო. მეორედ ჩემი ძმა მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც პირველად გავაკრიტიკე ის შსს, რომელსაც ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობდა. ამიტომ, პირიქით არის საქმე - მან ჩემი ძმა მას შემდეგ გაათავისუფლა, რაც მე ის გავაკრიტიკე. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ძმა იქ აღარ მუშაობს, ეს მე ბევრი პრობლემისგან მათავისუფლებს.

საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ეს ყველა ხელისუფლების დროს ასეა, როდესაც არგუმენტები არა აქვთ და კონკრეტულ საკითხებზე ვერ გპასუხობენ. ავადმყოფი ჯარისკაცი სახალხო დამცველმა მოინახულა და ესაუბრა, თავდაცვის მინისტრი კი ამის შემდეგ აცხადებს, რომ ხვალ, ზეგ და მაზეგაც ასე მოვიქცევიო. ეს არის უბრალოდ თავხედი ადამიანი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ყველაფერი გაუვიდა. მათ შორის, ისიც, რაც შარშან ზაფხულში ცხინვალში მოხდა და საზოგადოებას კიდევ ეუბნება, რომ წლის ბოლოს ქვეყანას ეყოლება ჯარი, რომელიც მზად იქნება ომისთვის.

**- გვაქვს თუ არა სახეზე ორ ძალოვან მინისტრს შორის გავლენის გადანაწილებისთვის ბრძოლა? რა იკითხება გამოცდილი იურისტის თვალით?**

- არ ვიცი და არც მაინტერესებს. ერთი რამ ცხადია - რამდენიმე დღეა ჯარისკაცები ამბობენ, რომ მათ შეურაცხყოფას აყენებენ, რომ ირღვევა მათი უფლებები, რომ ავადმყოფ ჯარისკაცებსაც ცუდად ექცევიან. ადამიანები, რომელთაც ამ ქვეყანაში გამჭვირვალობა და დემოკრატია აინტერესებთ (რაც ხელისუფლებისთვის ცუდი სიტყვებია), მუდმივად სვამენ კითხვებს მილიონებზე, რომელიც თავდაცვის სფეროში იხარჯება. კითხვები იმის შესახებ კი არ არის, 100 ტანკი იყიდეს თუ 200 თოფი, არამედ იმაზე, თუ ვისგან იყიდეს, როგორ შეირჩა ის, ვისგანაც იყიდეს, რა ფასად იყიდეს, არის ეს კანონით გათვალისწინებული პროცედურა, თუ - არა. გვაინტერესებს, რა ტიპის ჯარს ვაშენებთ. ეს არავინ იცის. საქართველოში არ არსებობს უსაფრთხოების კონცეფცია, არ არსებობს სამხედრო დოქტრინა. ამის შესახებ არც მინისტრები საუბრობენ, არც გივი თარგამაძე, არც უშიშროების საბჭოს მდივანი. არადა, ეს არის დოკუმენტი, რომელიც ან არის ან - არა. პროცესი არ არის გამჭვირვალე, თავდაცვის მინისტრი დუმს და არც პრეზიდენტი ინტერესდება ამით. ბედნიერი დადის, 03-ში მანქანებს იღებს და ტელეფონზე საუბრობს. ამ დროს კი, მისი ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსანი დიდ სკანდალებში ეხვევა, მეორე მაღალჩინოსანზე ამბობენ, რომ ჯარში წამებას აკანონებსო, თანამდებობის სხვა პირებზე ამბობენ, რომ 13-მილიონიანი გარიგება შედგა და 5 მილიონამდე ლარი ვილაცამ ჯიბეში ჩაიდოო. პრეზიდენტი საჭიროდ არ თვლის, რომ კომენტარი გააკეთოს. ამ ფონზე არ მაინტერესებს, მერაბიშვილი და ოქრუაშვილი ერთმანეთს ეჩხუბებიან თუ არა. პრეზიდენტს არ აინტერესებს, რა ხდება სინამდვილეში. შევარდნაძის დროსაც ასე იყო - მას ხელს აძლევდა, როდესაც მისი ჩინოვნიკები ერთმანეთს კომპრომატებით ელაპარაკებოდნენ და ამით ყველა ხელში ჰყავდა. როგორც ჩანს, არაფერი შეიცვალა. ძალიან არ მინდა, ვინმემ ჩათვალოს, რომ რომელიმეს ბანაკში ვარ და მეორეს იმიტომ ვებრძვი, რომ ამ თამაშის ნაწილი ვარ. მართლა არ ვიცი და არც მაინტერესებს ეს თამაშები. მე მაინტერესებს ჩემი ქვეყნის მთავარსარდალი, რომელსაც ურჩევნია, მარნეულში ჩავიდეს, გლეხებს კორუმპირებული 20 ლიტრი დიზელი დაურიგოს და ამით ქულები დააგროვოს. ეს არის ჩემი მთავარი საწუხარი დღევანდელ საქართველოში.

**- სამაგიეროდ, ჩამოდის ბუში. უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა საინტერესოდ ილაპარაკა და თქვა, რომ ხალხის მტრები და მოღალატეები ბუშის ჩამოსვლას არეულობას დაამთხვევენო. რას იტყვით "ხალხის მტრებზე"?**

- არ ვიცი, ვინ არიან ისინი. თუ ხალხის მტრად ის ითვლება, ვინც 10 მაისს თბილისში მიტინგის ჩატარება გადაწყვიტა, ეს ხელისუფლების დემოკრატიისადმი დამოკიდებულებაზე მეტყველებს და კომენტარი ზედმეტია.

**- ისე, თითქმის ყველა ქვეყანაში ბუშის ვიზიტს თითო ანტიგლობალისტური მიტინგი ხვდება, არა?**

- ბრატისლავაშიც, სადაც ბუშთან შესახვედრად მე და გიგა ბოკერია მიგვიწვიეს, ეს მიტინგი იყო და იმ ხალხს შეერწყა, ვინც ბუშის მოსასმენად იყო მოსული. იმ მიტინგზე ბუშის ბევრი კარიკატურა იყო და მის საწინააღმდეგოდ პროკლამაციებიც გაავრცელეს. იყო ერთი გოგონაც, რომელიც ჩვენთან ახლოს, ბუშის უკან სპეციალურად გამართულ ტრიბუნაზე იდგა და განუწყვეტლივ კიოდა, ძირს ბუშიო... მასთან უშიშროების ორი თანამშრომელი მივიდა. მათ ეს გოგონა არც გააძევეს და არც გააჩუმეს. უბრალოდ, აქეთ-იქით ამოუდგნენ და ალბათ იმიტომ, რომ ბუშისთვის რამე არ ესროლა.

ბუში ისე არსად დადის და განსაკუთრებით, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. უსაფრთხოების მთელი რიგი ღონისძიებები გატარდება და ალბათ არც შეიძლება, რამე მოხდეს.

ბუშის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ორი მოლოდინი თუ იმედი მაქვს. პირველი, ეს საქართველოს საგარეო პოლიტიკას უკავშირდება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ასეთ ფონზე უმნიშვნელოვანესია. ამაზე მეტს ამერიკა ვერაფერს გააკეთებს. ჩვენ გამო მოსკოვს არავინ დაბომბავს, მაგრამ თბილისში ბუშის ჩამოსვლა კრემლისთვის ნასროლი ბომბის ტოლფასია.

ჩემს მეორე მოლოდინს უფრო შიდა პოლიტიკის და ქართული დემოკრატიისთვის აქვს მნიშვნელობა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ბუშის გამოსვლა, რომელიც, თუ არ ვცდები, თავისუფლების მოედანზე იგეგმება, ალბათ იმის მსგავსი იქნება, რაც ბრატისლავაში იყო. იქ ბუშმა ნათლად ისაუბრა ორ რამეზე - მას არ უთქვამს, რომ ის მხარს უჭერს რევოლუციებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის მიესალმება დემოკრატიულ რევოლუციებს, რომელიც დემოკრატიულ რეფორმებში გადაიზრდება (იმიტომ, რომ ჩვენ გვახსოვს რევოლუცია, რომელიც კომუნიზმში გადაიზარდა) და მეორე - ის მხარს უჭერს თავისუფლებისთვის მებრძოლებს. ამ შეხვედრას "თავისუფლებისთვის მებრძოლებთან შეხვედრა" ერქვა და ეს იყო კონკრეტული გზავნილი ყველასთვის, რომ აშშ ბელორუსშიც, რუსეთშიც და ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიის გზაზე არ დგას, მხარს დაუჭერს ამ ტიპის ადამიანებს და არა აუცილებლად მათ, ვინც ხელისუფლებაში მოვიდა. შეხვედრას 13 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა და ორი თუ სამი ადამიანი იყო ისეთი, ვინც თავისი ქვეყნის ხელისუფლებას წარმოადგენდა.

**- და ყველასთან ერთ ენაზე საუბრობდა?**

- რა თქმა უნდა, და ეს იყო თავისუფლებისთვის ბრძოლის მხარდაჭერის ენა. ჩვენმა ხელისუფლებამ სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია შეიძლება მისცეს ფაქტებს, მაგრამ გარწმუნებთ, მსოფლიოში არ არსებობს დემოკრატიული მომავალის არმქონე ქვეყანა, რომელსაც აშშ-მ ასე საჯაროდ, დემონსტრაციულად და პრეზიდენტის ვიზიტით დაუჭიროს მხარი. ასე რომ, საქართველოს გადარჩენის სხვა შანსი არ აქვს და ეს ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს. საუკეთესო მაგალითი პრეზიდენტი შევარდნაძეა, რომელიც ბეიკერმა ჩამოიყვანა და ბეიკერმავე გააცილა, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.



# აფიშა

## კონცერტი

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
იუმორინა-2005
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"აქ, ამ სავანეში..."
(ოთხი ერთმოქმედებიანი პიესა)
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 13:00; 17:30; 19:30; 21:30 სთ.

"რობოტები"
დას: 12:00 სთ

**ამირანი**
"გარეკილები"
დას: 20:00; 22:00 სთ.

"რობოტები"
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

## გამოფენები

**კოპალა**
დათო ტყემალაძისა (ფოტო) და ეკა ჭკუასელის (ფერწერა) ნამუშევრების გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
რუსუდან ბოლქვაძის ფოტონამუშევრების გამოფენა
(13 საათიდან - 17 საათამდე)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
თაკო შანშიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
ნუკრი შავგულიძის ნამუშევართა გამოფენა

**ჰობი**
ზაალ სულაკაურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**კოპალა**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

**დისკუსია**
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი
(რადიანის ქ. 5) საჯარო დისკუსია თემაზე:
"ახალგაზრდობის მამოძრავებელი ძალა: იდეალიზმი თუ კონფორმიზმი?"
მომხსენებლები: ლაშა ბუღაძე (მწერალი), გიგა ზედანია (ფილოსოფოსი, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), ლაშა ჩხარტიშვილი (ეკოლოგი, გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველი კავშირი "ლობო")
მოდერაცია: დავით პაიჭაძე (რადიო თავისუფლება)
ნაჩვენები იქნება ალექსანდრე ქორიძის მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი "ჩე.. .."
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# გალესილი ალავერდის კვალდაკვალ

## ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი ძეგლთა დაცვას შეუდგა

ია ვეკუა



როდესაც ალავერდის ტაძრის კედლები რესტავრატორობის სურვილით შეპყრობილმა თანამედროვე ვანდალებმა გადალესეს, ამ ფაქტის მიმართ მასმედიამ და ხელისუფლებამ მხოლოდ სტანდარტული, უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს. რეაქცია ერთჯერადი აღმოჩნდა და ისევე მალე მიეცა დავიწყებას, როგორც ალავერდის ცემენტის საფარქვეშ აღმოჩენილი ფრესკები. შესაძლოა, სწორედ ეს შემთხვევა იქცა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახალი ინიციატივის საბაბად. ძეგლთა დაცვაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი დახმარებისთვის საზოგადოებასაც მოუწოდებს, სიძველეთა დასაცავად კი ბიუჯეტიდან მილიონ ლარს ელოდება.

შუა საუკუნეების ძეგლების საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოების წინასწარი მონახაზი უკვე არსებობს. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა მოამზადა განაცხადის ფორმა, რომლის მიხედვითაც დაინტერესებულ კერძო პირებსა თუ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ უშუალოდ ჩაერთონ რესტავრაციის მოლოდინში მყოფი სიძველეების "მკურნალობაში". მთავარია, დაასახელოთ სარესტავრაციო ძეგლი, ადგილმდებარეობა, კონკრეტულად რა მდგომარეობაშია და რა სახის აღდგენით სამუშაოებს საჭიროებს. აგრეთვე სწორად უნდა აღწეროთ პროექტის აუცილებლობა, შესრულების ვადები და სავარაუდო ბიუჯეტი. განაცხადს აუცილებლად უნდა ერთვოდეს ხელოვნებათმცოდნეთა, არქეოლოგთა და გეოლოგთა დასკვნაც.

როგორც ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნიკა ვაჩეიშვილმა განაცხადა, 2005 წელს 40 ისტორიული ძეგლი უნდა შეკეთდეს. ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი სარესტავრაციო ძეგლია, მხოლოდ პროფესიონალთაგან დაკომპლექტებული კომისია დაადგენს, პირველ რიგში, რომელ პროექტს დააფინანსებენ. კომისიის შემადგენლობაში სამინისტროს გარდა, საპატრიარქოს წარმომადგენლებიც გაწევრიანდებიან. პრიორიტეტი იმ პროექტებს მიენიჭება, რომელშიც საუკეთესოდ იქნება გადმოცემული ძეგლის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა და სარემონტო სამუშაოების ჩატარების ოპტიმალური პირობები. უახლოეს მომავალში განაცხადის ფორმა გამოქვეყნდება პრესაში და გადაიგზავნება რეგიონებში.

**ნიკა ვაჩეიშვილი:** "საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისტორიულ სიძველეთა რესტავრაციის საკითხში საქართველოს ხელისუფლებას ყოველთვის უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა. რეგიონებში რესტავრაცია ადგილობრივი თემისა თუ კერძო ინიციატივების შედეგად ტარდებოდა. ჩატარებული სამუშაოების შესახებ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისთვის არაფერი იყო ცნობილი ან რესტავრირების დასრულების შემდეგ იგებდა".

დეპარტამენტის ამჟამინდელი ხელმძღვანელი წინამორბედთა შეცდომებზე საუბარს იმით ამთავრებს, რომ სახელმწიფომ უკვე იცის, როგორ მართოს ეს პროცესი და საზოგადოებას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს. რაც შეეხება პროექტისთვის გამოყოფილ მილიონ ლარს, ვაჩეიშვილის თქმით, ეს თანხა პირობითია და საჭიროების შემთხვევაში კერძო ფონდებთან თანამშრომლობის შედეგად მოსალოდნელია ბიუჯეტის გაზრდაც.

ამ ეტაპზე პროექტი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძეგლების რეაბილიტაციას ითვალისწინებს. გარდა ამისა, დახმარება არ იქნება ერთჯერადი და რესტავრირებული ძეგლები მომავალშიც სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. სამინისტროს ასევე სურს, რომ აქცენტი გაკეთდეს საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ, თუმცა უნიკალურობით გამორჩეულ ძეგლებზე. მიუხედავად ამისა, 40-ერთეულიან ნუსხაში უკვე შეტანილია სამთავისის, ტიმოთესუბნის, უბისის, ატენის სიონის, სვეტიცხოვლისა და ალავერდის რესტავრაციის პროექტები.

რაც შეეხება ალავერდის ტაძრის ისტორიული სახის განადგურებას, ნიკა ვაჩეიშვილის თქმით, ვინაიდან არ არსებობს შესაბამისი მუხლი, ძნელია ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. ახალი პროექტი სწორედ სარესტავრაციო სამუშაოების კვალიფიციურად და კანონიერად ჩატარებას უზრუნველყოფს. თუ რესტავრაციის დროს ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე არ იქნება განთავსებული აზრა საპატრიარქოსა და სამინისტროს ემბლემებით, სამუშაოები უკანონოდ ჩაითვლება.

# ფერადი ფოტო და ფერწერული სიბრტყე

## ფირით და ზეთით დანახული ბავშვობა

სოფო კილასონია

*გალერეა "კოპალამ" გუშინ საღამოს ახალი გამოფენა გახსნა და ერთდროულად ორი ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედებას უმასპინძლა. ერთ მხარეს დავით ტყემალაძის ფოტოები და მეორე მხარეს ეკა ჭკუასელის ფერწერა გალერეის ორივე საგამოფენო დარბაზს იკავებს, თუმცა საერთო თემატიკითა და განწყობით ერთიანდება.*

თავდაპირველად მათ სამხატვრო აკადემია და მონუმენტური მხატვრობის სპეციალობა აკავშირებდათ. დღეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი - პატარა ვაჟი. თუმცა, ამ ოჯახურ წყვილს ურთიერთობაში ხელოვნებაც ეხმარება. 1996 წლიდან დავითი და ეკა სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებში იღებენ მონაწილეობას. პერსონალური გამოფენა დღევანდლამდე არ ჰქონიათ.

დავით ტყემალაძეს მცირე ასაკში მუშაობა დაუწყია იმ აპარატებით, რომლებიც მემკვიდრეობით ერგო, მერე ნელ-ნელა დაოსტატებულა. იმის მიუხედავად, რომ მონუმენტური ფერწერის ფაკულტეტი დაამთავრა, მოწოდებით მხატვარი ნამდვილად არ არის. მხატვრად თავი არასდროს უგრძვნია. თუმცა, ხელოვნებასთან მაინც ახლობლური ურთიერთობა აქვს. ფოტოგრაფიაც კი მისი ჰობია. აკადემიის შემდეგ რამდენიმე კონკურსში მიუღია მონაწილეობა, წარმატებებიც ჰქონია, რათა გათამამებულიყო და მასზე სერიოზულად ეფიქრა. უკეთესი აპარატი და ფოტოგრაფია სულ მალე მის დღიურად იქცა. იღებს ყოველ წუთს, ციფრულზე და იშვიათად ფირზე, თუმცა უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოები (ერთის გარდა) ფერადია. ავტორის აზრით, ფერადი ფოტო ხელოვანს მრავალ შეცდომას პატიობს, შავთეთრი კი ბევრად უფრო მკაცრია. ამიტომაც ამ ეტაპზე მისი ყურადღება ფერადოვნებაზე ჩერდება. საექსპოზიციო ნამუშევრების თემატიკა საკმაოდ ზოგადია. მხატვრულ ფოტოებს შორის ყველაზე დიდ ყურადღებას ბავშვების ფოტოები იმსახურებენ, თუმცა, სულ სხვაგვარი კონტექსტით წარმოდგენილი ბოთლებიც იპყრობს დამთვალიერებლის ყურადღებას და თხების პორტრეტითაც ვიხიბლებით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იქ, სადაც ყველაფერი ფერადია, ერთ-ერთ ნატურმორტზე ფერი დაუკარგავს იასამნებს, სწორედ მათ, რომელთა ფერადოვნებისადმი მხატვრები გულგრილი ვერ რჩებიან. ამიტომაც, შუქისა და ჩრდილის გასაყარზე აღმოჩენილ შავ-თეთრ იასამნებს ჩვენც სხვაგვარად ვუმზერთ.

ეკა ჭკუასელი, მეუღლისგან განსხვავებით, ნამდვილად და ნამდვილი მხატვარია, რასაც არა მხოლოდ მასთან საუბრისას მივხვდი, არამედ მანამდე მისმა ნამუშევრებმა მაუწყეს. პირველი, რასაც "კოპალაში" შესული ნებისმიერი დამთვალიერებელი მიხვდება, ისაა, რომ ახალგაზრდა მხატვარს თბილი ფერები ხიბლავს, მისი ლურჯიცა და ცისფერიც ისეთივე ცხელი და მსუყეა, როგორც ყველა დანარჩენი. ნატურმორტები, რომლებიც პირველები გვეგებებიან, თავიდანვე გვიშლიან სამყაროს, რომელშიც ოდნავ ზღაპრული, ცოტა ბავშვური, ცოტა საოცნებო და ძალიან მომხიბვლელი კომპოზიციები და უბრალოდ, ფორმები თამაშდებიან.



ვახო ბესელიას ფოტო

მხატვარი, რომლის ნამუშევრებშიც ემოციისა და განწყობის ფაქტორები უპირველესია, თვლის, რომ ხელოვანი მუდმივად ძიებაში უნდა იყოს და მუდამ ახალს ქმნიდეს. ალბათ ამიტომაც ოდნავ და ზოგჯერ პატარა გავლენებსაც წააწყდებით, თუმცა ეს უკანასკნელი არსად ზედმეტად არ შეგაწუხებთ. ფაქტია, რომ ეკა ჭკუასელი ძიებაშია, თუმცა ამ პროცესს საკმაოდ დახვეწილად, ოსტატურად წარმოგვიდგენს და, ამავდროულად, საკუთარ მხატვრულ სამყაროსაც აცოცხლებს. სწორედ იმ სამყაროს, სადაც ავტორი დღითი დღე შორდება ხაზს და სადაც მთავარი ფერი და ფერადოვნებაა, შემოქმედებითი მოღვაწეობის ინიციატორი - განცდა, ემოცია და განწყობა. აქედან გამომდინარე, ალბათ გასაგები და ლოგიკურია, რომ ბატონი ჯიბსონ ხუნდაძის მოწაფის ყველაზე საყვარელი და ახლობელი მხატვარი სეზანია.

სეზანისეული ფორმისა და ფერის მოტრფიალე ეკა ჭკუასელი ზოგიერთ ნამუშევარში ფორმას ელევა და ფერით საზრდოობს, თუმცა აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იგი იმპრესიონიზმს ანიჭებს უპირატესობას და ჩვენს კითხვასაც პასუხი გაეცემა. ექსპოზიციაში ზეთით შესრულებული ნაწარმოებები სჭარბობს. ამის შესახებ მხატვარმა თავადაც აღნიშნა: **"ვმუშაობ პასტელშიც, გუაშშიც, თუმცა ყვალაზე მეტად ზეთი მიყვარს. ის უფრო ახლოსაა ჩემთან. შინაგანი განცდების გადმოსაცემად უფრო მეტ საშუალებას მაძლევს... ყოველთვის ვცდილობ, არ იყოს ხაზი და იყოს სიბრტყე. ფერწერაში მინდა იყოს ფერწერა და ნაკლებად ხაზი."**

იმის გარდა, რომ ამ ოჯახური წყვილის გამოფენა გალერეა "კოპალაში" შაბათამდე გაგრძელდება, დასასრულს ექსპოზიციის შესახებ კიდევ ერთი უნდა აღვნიშნო. დავით ტყემალაძის ფოტოებსა და ეკა ჭკუასელის ფერწერას, ზოგადად ფერადოვნების გარდა, საბავშვო თემატიკა, თვალშისაცემი სითბო და სილამაზისადმი მკვეთრი სწრაფვა აერთიანებთ.

# ეძღვნება გაზაფხულს

## მთვარიან ღამეს მოსმენილი რომანსები

ვერა ნეფარიძე

*გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში ლირიკული სიმღერების საღამო გაიმართა. კომპოზიტორმა ნანა კალანდაძემ საკუთარი საავტორო კონცერტი - "მთვარიან ღამეს", რომელშიც ქართული მუსიკალური სცენის საკმაოდ ბევრი ცნობილი წარმომადგენელი მონაწილეობდა, გაზაფხულს დაუკავშირა.*

მართალია, გაზაფხულის მოსვლა მაინცდამაინც არ გვიგრძვნია და მის დადგომას ჯერ მხოლოდ კალენდარი გვატყობინებს, მაგრამ გუშინდელი საღამო ნამდვილად არ იყო ნაადრევი. ლირიკული სიმღერების მოსასმენად რომ განწყობაც შესაბამისი ჰქონიათ თბილისელებს, ამას სტუმრებით თითქმის სავსე (როგორიც ბოლო დროს არც ისე ხშირად მინახავს) კონსერვატორიის დიდი დარბაზი ადასტურებდა.

კონცერტში ქართული მუსიკალური სცენის სხვადასხვა თაობის მომღერლები მონაწილეობდნენ; საღამო კი რუსუდან ბოლქვაძესა და გია ჯოხაძეს მიჰყავდათ. "როდის გადაწყვეტს ავტორი საკუთარ თავს კომპოზიტორი უწოდოს?" - ეს რიტორიკული შეკითხვა, რომელიც გია ჯოხაძემ დასვა კონცერტის დაწყებამდე, ალბათ შემთხვევით არ გაჩენილა კონსერვატორიის დარბაზის სცენაზე. მახსოვს, რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში პოლემიკა გაიმართა; ერთ-ერთი (გვარის დასახელებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს) ამბობდა, რაკი კონსერვატორია არ ჰქონდა დამთავრებული, იგი საკუთარ თავს მხოლოდ მუსიკის ავტორს უწოდებდა და სხვებსაც მოსთხოვა, მსგავსი შეცდომა არ დაეშვათ. და მართლაც, ვინ და რითი უნდა განსაზღვროს ამა თუ იმ ავტორის სტატუსი - არის თუ არა იგი, მუსიკალური ნაწარმოებების ავტორი, კომპოზიტორი? ისე, არა მგონია, გუშინდელი მუსიკალური საღამოს მთავარ გმირს ვინმესთან სადავოდ ჰქონდეს საქმე - არის თუ არა კომპოზიტორი. თუმცა, როგორც ვთქვი, კონცერტი სწორედ ამ შეკითხვით დაიწყო და მსმენელს, რომელიც სიამოვნებით უსმენდა სცენაზე გამომსვლელებს, ამ შეკითხვაზე თავად ეს საღამო გააცემინებდა პასუხს. პირადად მე კი ჩემთვის ნაცნობი რამდენიმე სიმღერა კიდევ ერთხელ მოვისმინე, უბრალოდ, მანამდე არც ვიცოდი, ვინ იყო მათი ავტორი.

ამჟამად მთარგმნელი და რედაქტორი ნანა კალანდაძე, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, ერთ დროს თურმე კონსერვატორიაშიც სწავლობდა. "ალბათ ამიტომაც არის ნანა კალანდაძის ტექსტებიც ისეთივე დახვეწილი, როგორც მისი მუსიკა", - აღნიშნეს გუშინ კონცერტზე. მუსიკისა და ტექსტის ასეთი შეხამება კი, როგორიც კონცერტზე მოვისმინეთ, მით უმეტეს, როდესაც მათ ერთი ავტორი ჰყავთ, რამდენად იშვიათი მოვლენაა თანამედროვე ქართულ მუსიკალურ რეალობაში, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ნანა კალანდაძის მუსიკალური შემოქმედება წარმოადგინეს როგორც ფართო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა უფროსი თაობის შემსრულებლებმა, ისე ახალგაზრდა ნიჭიერმა და ცნობილმა მომღერლებმა (ლიზი ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, ნუკრი კაპანაძე, ეკა მამალაძე, თამარ ჭოხონელიძე და ა.შ.) და მათთან ერთად არაპროფესიონალებმაც (მაგალითად, ექიმმა ლაშა ღლონტმა დუეტი იმღერა ნატო მეტონიძესთან). "პატარებიდან" კონცერტში მონაწილეობდნენ მარიამ როინიშვილი და პირველი "ჯეოსტარის" გამარჯვებული აჩიკო ნიჟარაძე, რომელსაც მსმენელი უკვე კარგად იცნობს. კონცერტის კონცერტმაისტერები იყვნენ: ნუცა კასრაძე, მარიკა ოსიტაშვილი, ნუცა ჯანელიძე, ნიკა მემანიშვილი, თემურ მაისაშვილი. დაბოლოს, ნანა კალანდაძის ლირიკული სიმღერების საავტორო საღამოს გასამართად სპონსორებმაც (კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო; ბ-ნი ვიქტორ გელოვანი; "კანარგო") იზრუნეს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

# 30 ათასი თანამედროვე აზროვნებისთვის

### ფოტოზე, ხელოვნებაზე, ცხოვრებაზე














თამარ ბაბუაძე

დაე, იყოს ფოტო თბილისში მოდური! ეს მოდურობა თუ აღარ გაღიზიანებთ უკვე კარგია, რადგან ნახეთ: თუ ფოტო პოპულარულია, ასე უფრო გაღრმავდება ილუზია (თუნდაც ილუზია) იმისა, რომ ჩვენი ქალაქი სხვა დანარჩენ "მიღმებთან" ერთად თანამედროვე ხელოვნების მიღმაც არ ცხოვრობს.

თანამედროვე ხელოვნება კი ფოტოს გარეშე არ არსებობს; ფოტო, თავის მხრივ - კონკურსების და ჯილდოების გარეშე. ამ მხრივ, ქართველებს სანუგეშო ბევრი არაფერი გვაქვს: ძალიან პრესტიჟულმა World Press Photo-მ წელსაც ჩვენს გარეშე ჩაიარა, სამაგიეროდ, Fifty Crows-ის არანაკლებ პრესტიჟული პრიზი გადაეცა ფოტოგრაფ გია ჩხატარაშვილს, ხოლო გაეროს ეკოლოგიის დარგის ფოტოგრაფიის კონკურსში (UNEP) ლევან ხერხეულიძე დაჯილდოვდა საპატიო პრიზით.

ამასობაში ევროპაში სხვა პრესტიჟული ჯილდოები რიგდება. თანამედროვე ხელოვნება ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ჟანრის ახალ ვარსკვლავებს ლამის წამიერად შობს, მათ შეფასებას და დაჯილდოებას კი დიდი ფინანსური კომპანიები იღებენ საკუთარ თავზე და ახალ-ახალი კონკურსებიც ცხვება და ცხვება.

**მაგალითი:** ასეთი "საკუთარ დროში მცხოვრები" და თან ქველმოქმედი კომპანიაა Deutsche Borse-ს ჯგუფიც. ამ ჯგუფის ხელმძღვანელებს ყველაფერი თანამედროვე თითქმის ისევე უყვართ, როგორც - ამ სიყვარულში თითქოს უებრო ბრიტანელ კოლექციონერს, ჩარლზ საატჩის. რაც მთავარია, Deutsche Borse საკუთარ სიყვარულს თანამედროვე ხელოვნებას იმით უხსნის, რაც ყველაზე ბევრი აქვს - ფულით. თავისი სახელობის კონკურსში წლის ყველაზე კარგ ფოტოგრაფს ის 30 ათასი გირვანქა სტერლინგს გადასცემს.

ეს ჯგუფი დღეს ტყუილად არ გაგვხსენებია. ლონდონში 8 აპრილიდან 15 ივნისის ჩათვლით ე.წ. ფოტოგრაფების გალერეაში გაიმართება Deutsche Borse-ს წლევანდელი კონკურსის ოთხი ნახევარფინალისტი ფოტოგრაფის გამოფენა. მათგან 30 ათასი გირვანქა სტერლინგის მფლობელის ვინაობას კი პუბლიკა 11 მაისს შეიტყობს.

ნახევარფინალისტები არიან: ფრანგი ლუკ დელაეი, შვედი JH ენგსტრომი, გერმანელი იორგ სასე და ამერიკელი სტივენ შორი.

სწორედ ამ ოთხიდან აირჩევენ ერთს, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს Deutsche Borse-ს კრიტერიუმებს: **"ის უნდა იყოს წამყვანი თანამედროვე ფოტოგრაფი, რომელიც ყველაზე თვალსაჩინოდ ახერხებს თანამედროვე საზოგადოებაში ფოტოგრაფიის როლის გამოკვლევას".**

ეს განსაზღვრება, როგორც განსაზღვრებებს ახასიათებთ ხოლმე, ბუნდოვანია და სიტყვების რახა-რუხით გამოირჩევა. გავიგოთ უფრო კარგად რაში იძლევა Deutsche Borse 30 ათასს? გავიგოთ!

დავიწყოთ იმით, რომ ლუკ დელაეი, JH ენგსტრომი, იორგ სასე და სტივენ შორი არ გახლავთ არც ანსელ ადამსი, ჰელმუტ ნიუტონი, სალგადო და კარტიე-ბრესონი. ანუ, ისინი არ არიან საყოველთაოდ აღიარებული ფოტოგრაფები. მიზეზი მარტივია, რომლის შესახებაც ზევით უკვე მოგახსენეთ - თანამედროვე ხელოვნებაში მოქმედება ყოველდღიურად იცვლება. ხელოვნების თაობები წლობით კი არა, საათობით იზრდებიან, ვითარდებიან და მერე გზას ახალს უთმობენ.

მუდმივი დუღილის ამ პროცესში კი Deutsche Borse-ს მსგავს ფოტოკონკურსებს განსაკუთრებული მისია ეკისრებათ - ათასობით პერსონაჟიდან გამოჰყონ მთავარი და ქაოტური შემოქმედებითი მოქმედება მეტ-ნაკლებად კალაპოტშიც მოაქციონ.

გამოდის, დელაეიც, ენგსტრომიც და შორიც თანამედროვე ფოტოგრაფიის მთავარი პერსონაჟები არიან. პერსონაჟები, რომლებიც მსხვილმა საფინანსო კომპანიამ სწორედ თანამედროვეობის პრინციპით აირჩია.

**სტივენ შორი:** მათგან ყველაზე ვეტერანი ამერიკელი შორია. 60-იანი წლები მან ენდი უორჰოლის ქარხანაში გაატარა, სადაც ათასობით ფოტოს უღებდა უორჰოლს და მის მეგობრებს. 1982 წლიდან შორი ბარდის კოლეჯში, ნიუ იორკში, ფოტოგრაფიის პროფესორი გახდა. მანამდე კი, 70-იანებში სტივენ შორი იმის გამო დააფასეს, რომ ერთ-ერთი პირველი ფოტოგრაფი იყო, რომელიც ექსკლუზიურად იყენებდა ფერს მაშინ, როცა ფერადი ფოტო ვულგარულად და არაპროფესიონალურად ითვლებოდა.

ამჯერად სტივენ შორი Deutsche Borse-ს ნახევარფინალში მოხვდა თავისი წიგნით "უჩვეულო ადგილები: სრული კრებული". ეს გახლავთ ალბომი ამერიკული ქუჩებით, ბენზოგასამართი სადგურებით, ავტოსადგომებით, კინოთეატრებით სავსე - ანუ ეს არის ამერიკული არქიტექტურით და ყოველდღიური ცხოვრებით გადმოცემული ამერიკული კულტურა. შორი ხომ "გზების ხელოვანია"; იმ ამერიკელი მწერლებისა და ფოტოგრაფების (რობერტ ფრენკის, ჯეკ კერუაკის, უოლკერ ევანსის) ტრადიციის გამგრძელებელი, რომელთაც ამერიკა გზებზე აღმოაჩინეს. მოკლედ, შორი Deutsche Borse-ს კრიტერიუმში ჯდება - ის თანამედროვე ცხოვრებას ფოტო-ობიექტივით იკვლევს.

**იორგ სასე:** უბრალოდ, შეიძლება, ჟიურიმ შორზე უფრო ახალგაზრდებს და უფრო ახალ ფასეულობებს მიანიჭოს უპირატესობა. თუნდაც იორგ სასეს, ესენის უნივერსიტეტის ფოტოგრაფიის პროფესორს და მის "გაყალბებულ ფოტოგრაფიას". ახლავე მოგახსენებთ, რაშია საქმე:

სასე Deutsche Borse-ს ნახევარფინალში ფრანკფურტში გამართული გამოფენის საშუალებით გავიდა. 1994-იდან დღემდე - დროის ამ ინტერვალშია შექმნილი ფოტოები, რომლებიც ჟიურიმ მოიწონა. უფრო სწორად, სასე წარმოადგენს როგორც საკუთარ, ისე სხვის ფოტოებს, რომლებიც თვითონ ძირფესვიანად შეცვალა და რადიკალურად განსხვავებული განწყობა, შინაარსი და ფორმატი შესძინა. ყოველწილურად ის თითქმის ათასამდე ასეთ სკეჩს ქმნის. ფოტოებს მუზის მიხედვით აშორებს ადამიანებს, ცხოველებს, უცვლის კონტრასტს, ჩრდილებს, სიმკვეთრეს და ქმნის ახალ, მესამედ რეალობას. ის ამბობს: "იმედი მაქვს, რომ თითოეული ჩემი იმიჯი ჯადოსნურია - მას თითოეული მაყურებელი სხვადასხვაგვარად აღიქვამს".

**JH ენგსტრომი:** შვედი ენგსტრომი ფოტოგრაფიაში 1990-იან წლებში მოვიდა. ჯერ მოდის ფოტოგრაფ მარიო ტესტინოს ასისტენტი იყო, შემდეგ შვედი დოკუმენტალისტის ანდერს პეტერსონის შეგირდი. Deutsche Borse-ს კონკურსზე გავიდა წიგნით "ვცდილობთ, ვიცეკვოთ" (2004 წ.). კრებულში 1998-2002 წლებში შექმნილი ავტოპორტრეტები, პორტრეტები, პეიზაჟები და ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ფოტოებია შესული. ამიტომაც ამბობენ, რომ ეს ფოტოგრაფიით დაწერილი ავტობიოგრაფიაა. თვითონ ენგრსტრომით ცენტრში, გარშემო კი - მეგობრები, ოჯახის წევრები, მათი განწყობა, მარტოობა, პირადი ნივთები, გარემო, ინტიმი, სიშიშვლე... მნახველები ამბობენ, რომ ენსტრომის ფოტოებს აქვთ ერთი საოცარი თვისება: მხოლოდ ინტერიერის სურათებზეც კი იგრძნობა, რომ ამ ოთახში ადამიანია ნამყოფი, მოკლედ იგრძნობა სიცოცხლე. და მართლაც, ფოტოგრაფი თვითონვე ამბობს: "მე ყოველთვის ვეძებ ადამიანს; მისი ყოფნა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია".

**ლუკ დელაეი:** თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ დელაეი "მაგნუმელია". ის რობერტ კაპას ოქროს მედალს ორჯერ ფლობს (2002, 1993). 2002 წელსვე გადასცეს ნიპსის ჯილდოც. ვინც ათვალიერებს ომის ფოტოებს, დელაეის აუცილებლად იცნობს. რუანდას საძმო სასაფლაოები, მილოშევიჩის სასამართლო პროცესი, პალესტინის ლტოლვილთა ბანაკები, ბაღდადი, ჩეჩნეთი, ბოსნია - მის ფოტოებზე თანამედროვე მსოფლიოს ყველა ცხელი წერტილია მოქცეული. თუმცა, სტანდარტული ამ ფოტოებში მაინც არაფერია. ავტორს ყველასგან გამორჩეული ხელწერა აქვს, რომელსაც თვითონ ასე გადმოსცემს: "მაქსიმალურად არ ვერევი ფოტოში. მაყურებელს ვაძლევ სიტუაციის გაკონტროლების საშუალებას. მე არ ვიღებ იოლ ფოტოებს სულელური სენტიმენტებით".

**... :** 30 ათასსაც ამ ოთხი ფოტოგრაფიდან ერთ-ერთი მოიპოვებს. მისი ვინაობა 11 მაისს გაირკვევა. Deutsche Borse-ს უზარმაზარ, შუშებიან, ნათელ, ლურჯი ნეონებით განათებულ სუპერთანამედროვე მთავარ ოფისს ფრანკფურტში კი კიდევ ახალი ნამუშევრები შეემატება. და იმ ფინანსურ და ცივ გარემოში გაიმართება თანამედროვე ხელოვნების ნამდვილი ზეიმი - მოწყენილი, მარტოსული ანდა ღიმილიანი ადამიანებით, ამერიკის ამტვერებული გზატკეცილებით, სიშიშვლით, ომით და გენოციდით მენიუში. Deutsche Borse - ნამდვილად თანამედროვეობის სამსახურში დგას, თანაც რამხელა საპრიზო ფონდით?!













---

სამსონ ლეჟავას სვეტი

## სახლი ნაკაშიძეების ქუჩაზე



ძველი თბილისის "ლაბირინთულ" შუკებში მსვლელობისას მრავალი მოულოდნელი აღმოჩენა ელით ქალაქის განუმეორებელი "არომატისა" და კოლორიტის მოყვარულთ. რაღა თქმა უნდა, ცხოვრების სწრაფმავლობის შედეგად, სახე რადიკალურად იცვალა ძველი თბილისისათვის დამახასიათებელმა სამყაროს სურათმა: ისტორიულ უბნებში კულტურული მეხსიერება უპირატესად არქიტექტურამ შეინარჩუნა - თითქმის გაქრა მასთან შეზრდილი ყოფა, ასევე ხელოსნობის ტრადიცია და თავისებურად არტისტული, შემოქმედებითი გარემო. თუმცა, ზოგი რამ ძველებური "აურიდან" სულ მთლიანად მაინც არ განქარვებულა. არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც ბევრი რამ ახსოვთ და კარგადაც ესმით ტრადიციის ფასი.

ქალბატონი ელენე ჟვანია ნინო და ილია ნაკაშიძეების (ყოფილი ავლევის) N 19 სახლის მკვიდრია და თავისი უბნის ცოცხალი მემატიანეც გახლავთ. იგი დიდი გულისტკივილით გვესაუბრება ძველი ქალაქის უმძიმესი ვითარების გამო, რაც საკუთარ თავზეც უშუალოდ გამოსცადა. რომ არა მისივე დაუოკებელი ენთუზიაზმი და დაუზარებლობა, ისეთი თვალსაჩინო ძეგლი, როგორიც ნაკაშიძეების ქუჩის სახლია, დღევანდლამდე ვერც კი მოაღწევდა. ადრე მან საკუთარი შესაძლებლობებით გაამაგრებინა შენობის უნიკალური, XVIII საუკუნის მიწურულის სარდაფი, თუმცა, სამწუხაროდ, აქ პერიოდულად დგება წყალი, რაც დიდ საშიშროებას უქადის ისედაც ავარიულ ნაგებობას და მით უმეტეს, იქ მაცხოვრებელთ.

საერთოდ, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი და ძალზე ინფორმაციული შენობა. გარდა ძველი სარდაფისა, დიდი ფასეულობა აქვს სახლის პირველ სართულს - კარ-ფანჯრების კლასიცისტური, "ლონიერი" მოჩარჩოებით და რიკულებიანი აივნის სამყურა თაღებით, რომელნიც მონახაზის მოძრავი, და თანაც მტკიცედ სტრუქტურული ხასიათით გამოირჩევა. ინტერიერში აღსანიშნავია ძველებური განჯინები, რომელთაც სულ უფრო იშვიათად შეხვდებით. ეს ნაწილი სახლისა XIX საუკუნის შუა ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს. არანაკლებ შთამბეჭდავია მეორე, უფრო მსუბუქი, ასევე აივნებიანი სართული (XIX საუკუნის 90-იანი წლები), რომელიც გამშვენებულია ჰაეროვანი აჟურული მორთულობითა და მომრგვალებული ორიგინალური კიბით, რომელიც ტრადიციულ ხვეულ კიბეებს ენათესავება. ამავე სახლს ახლავს ლითონის ჩუქურთმიანი აივანი, ასევე ლითონის ცხაური და ორნამენტირებული ჭიშკარი, ანუ აქ თითქმის მთელი ძველთბილისური ხუროთმოძღვრული "ლექსიკაა" თავმოყრილი.

ნაგებობა მთელი უბნის მშვენებას წარმოადგენს. მას გამოარჩევს განუმეორებელი, კამერულად საზეიმო ხასიათი, ეს კი ქმნის უაღრესად დადებით ემოციურ ტონუსს.

შენობა მემორიალურიც არის. ერთხანს აქ ცხოვრობდა ცნობილი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, ლადო აღნიაშვილის განთქმული გუნდის წევრი, ბატონი ვასილ ბაგრატიონი. გამოჩენილმა მხატვარმა ელენე ახვლედიანმა ჩვენთვის საინტერესო სახლი დააფიქსირა 1968 წელს. ეს ნამუშევარი მის ალბომშიც გამოქვეყნდა. სურათი ცხადყოფს, თუ რაოდენი ემოციურობით უმუშავია ფერმწერს - ნამუშევარი მართლაც დიდი სასიცოცხლო ენერგიითაა აღვსილი. ინტერესს მოკლებული არც ისაა, რომ იმავე უბანში მცხოვრებ პიროვნებას, ბატონ ნორიკ ხაჩატურიანს ამ სახლის დეტალური მაკეტიც კი შეუსრულებია. არც ეს არის გასაკვირი, ვინაიდან ამდაგვარი ხუროთმოძღვრება, ადამიანებში აღვიძებს ძლიერ შემოქმედებით მუხტს და საგანგებო ინტერესსაც...

საგულისხმოა და ხაზგასასმელიც, რომ აღმშენებლობის ერთ-ერთ ეტაპზე, აქ იტალიელ ხელოსნებს უმუშავიათ, რომელნიც თბილისში ძალიან აქტიურად მოღვაწეობდნენ.

მთლიანობაში ნაკაშიძეების ქ. N19 სახლში თბილისური საცხოვრებლის თითქმის მთელი სპეციფიკა იკვრება, რაც მას განსაკუთრებულ ფასეულობას სძენს.

ზემოაღნიშნული ნაგებობის ბედით არაერთგზის დაინტერესდა ქართული პრესაც, და ასევე ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოც და სხვა ორგანიზაციები. არქიტექტორმა კაცია გიორგობიანმა მხოლოდ უანგარო ენთუზიაზმის საფუძველზე მისი რესტავრაციის პროექტი შექმნა სათანადო ანაზომებითურთ. კონსტრუქტორმა ოთარ ჩაკვეტაძემ და ინჟინერმა ივანე მაჭავარიანმა ასევე დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს და მოამზადეს გარკვეული რეკომენდაციები.

აქ წარმოდგენილი ჩანახატი სპეციალურად ჩვენი გაზეთისათვის მოამზადა გრაფიკოსმა ზურაბ ლეჟავამ.

გადამწყვეტი კი მაინც ის არის, რომ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო სერიოზულადაა დაინტერესებული აღნიშნული ძეგლის გადარჩენით და იმედია, ამ განზრახვას განახორციელებს კიდეც. ეს საქმე ცხადია გადაუდებელია, რადგან საცხოვრებელი ძალზე სახიფათოდაა დაზიანებული, რაც განსაკუთრებით დამძიმდა მიწისძვრის შემდგომ.

დაუშვებელია, რომ ნაკაშიძეების ქ. N19 სახლი დაინგრეს, განადგურდეს. ის ხომ შემორჩენილ ძეგლთა შორის, დანამდვილებით დგას პირველხარისხოვანთა რიგში.

ფეხბურთი

# დიდი ბრძოლა

**ლივერპული - იუვენტუსი 2:1**
**ლიონი - პსვ ეინდჰოვენი 1:1**

ფაბიო კაპელომ ლივერპულში საუკეთესო შემადგენლობა ჩაიყვანა. პრაგმატიკოსი მწვრთნელი ფრეზეც ყაბულს იყო და ამბობდა, რომ დასაწყისისთვის მთავარია, გუნდმა არ წააგოს. "ტურინში კი სულ სხვა ფეხბურთს ვითამაშებთ" - ამბობდა კაპელო. მას ტურინული მატჩისთვის სპეციალურად "ლივერპულისთვის" განსაკუთრებული რეცეპტი ჰქონდა მომზადებული, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ "იუვე" არ წააგებდა.

ახლა კი იტალიელებს სხვა ოინის მოფიქრება ჰმართებთ. რაფაელ ბენიტესის "ლივერპულმა" ტურინელთათვის მოულოდნელად უაღრესად სწრაფი და აგრესიული ფეხბურთი შესთავაზა მეტოქეს. აშკარად ჩანდა, რომ ტურინული დაცვა ამ აგრესიისთვის მზად არ აღმოჩნდა. ინგლისელები განსაკუთრებით საშიში სტანდარტული მდგომარეობების გათამაშებისას იყვნენ და ერთ-ერთი ასეთი შეტევა მატჩის მე-10 წუთზე გოლით დამთავრდა. კუთხურიდან გათამაშებულ ბურთს უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაში "ლივერპულის" ფინელი ლეგიონერი სემი ჰიიპია დახვდა და ძლიერი, ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. ბუფონი ამ შემთხვევაში უბრალო სტატისტის როლში დარჩა. საგოლე გადაცემა კი ლუის გარსიამ მიითვალა.

გარსია ტყუილად არ გვიხსენებია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ შეხვედრის 25-ე წუთზე მერსისაიდელები ორბურთიანი ჰანდიკაპით დაწინაურდნენ. გარსიამ დაახლოებით 20-25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმა შეასრულა და მეორედ აიღო ჯანლუიჯი ბუფონის კარი. ამის შემდეგ "ლივერპულმა" პოზიციები დათმო. რთული სათქმელია მწვრთნელის დავალებით თუ "იუვენტუსის" ზეწოლის შედეგად, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ პირველი ტაიმის დარჩენილ მონაკვეთში მხოლოდ იტალიელები უტევდნენ მეტოქის კარს და ორჯერ აშკარა გოლსაც იმსახურებდნენ, მაგრამ პირველ შემთხვევაში იბრაგიმოვიჩის დარტყმული ძელმა მოიგერია, მეორედ კი ნედვედს აულო მეკარე კარსონმა ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი. ბოლოს ალესანდრო დელ პიერომ თავით გაიტანა კიდეც გოლი, მაგრამ მატჩის არბიტრმა საეჭვო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და კარის აღება არ ჩათვალა.



მეორე ტაიმში ტურინელები გოლის გატანამდე მძლავრ ზეწოლას ახორციელებდნენ და ფაბიო კანავარომ შეძლო უმნიშვნელოვანესი გოლის გატანა. საბოლოო ჯამში, "ლივერპულმა" - 2:1 მოიგო, რაც ნიშნავს, რომ ყველაფერი განმეორებით შეხვედრაში "დელე ალპიზე" გადაწყდება.

განმეორებითი შეხვედრისთვის გადადო საქმე "ლიონმაც", რომელმაც საკუთარ მინდორზე ჰოლანდიის "პსვ ეინდჰოვენს" უმასპინძლა და ამბიციურ ჰოლანდიელთა დამარცხება ვერ შეძლო. უნდა აღინიშნოს, რომ პსვ მეტისმეტად კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და თუ მის ბრძოლისუნარიანობას გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ, ფრანგებს უაღრესად გაუჭირდებათ გუუს ჰიდინკის გუნდის დამარცხება. შეხვედრაში ანგარიში მალუდამ უკვე მე-12 წუთზე გახსნა. უნდა აღინიშნოს, რომ გუნდები უაღრესად ფრთხილად თამაშობდნენ, რაზეც კარში დარტყმების სტატისტიკაც მეტყველებს. "ლიონმა" კარში 5-ჯერ დაარტყა. პსვ-მ კი ორჯერ. ამ ორიდან კი ერთი გრეგორი კუპეს კარში შეგორდა. ფილიპ კოკუმ თამაშის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე წონასწორობა აღადგინა. "1:1 ის ანგარიშია, რომელიც განმეორებითი მატჩის ნახევარფინალში გასვლის კარგ შანსს გვინარჩუნებს" - მატჩის შემდეგ განაცხადა გუუს ჰიდინკმა.

# შევჩენკო მზად არის

*უკრაინელი ანდრეი შევჩენკო ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩში თანაქალაქელი "ინტერის" წინააღმდეგ. ლონდონის "ჩელსი" კი მიუნხენის "ბაიერნს" თავისი მომნუსხველი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს გარეშე დაუპირისპირდება. დღეს "მილანი" "სან სიროს" სტადიონზე "ინტერს" შეეჯიბრება. მოგეხსენებათ, "სან სირო" ორივე გუნდის საშინაო არენაა, მაგრამ ნომინალური მასპინძელი კახა კალაძის "მილანი" იქნება. "ჩელსი" კი "სტემფორდ ბრიჯზე" მიიღებს "იუვენტუსს". ეს მატჩები, რა თქმა უნდა, ცოტათი უფრო ძლიერია, ვიდრე მათი წინამორბედი - გუშინდელი შეხვედრები.*

**მილანი - ინტერი**

"მილანი" და "ინტერი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ფარგლებში ერთმანეთს უკვე შეხვდნენ. მაშინაც პირველ შეხვედრაში ნომინალური მასპინძელი "მილანი" იყო. საერთოდ მიღებულია, რომ უპირატესობა იმ გუნდს აქვს, რომელიც პირველ მატჩს სტუმრად თამაშობს, მაგრამ იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთი და იგივე სტადიონი ორივე გუნდისთვის მშობლიურია, მაშინ უპირატესობა პირველი შეხვედრის მასპინძელს ენიჭება.

ამ შემთხვევაში ხომ პირველი მატჩები უფრო ფრთხილად მიმდინარეობს, ვიდრე განმეორებითი, სადაც ტრადიციულად უფრო მეტი გოლი გადის. სტუმრად გატანილი გოლი კი ევროპულ ტურნირებზე, მოგეხსენებათ, ორის ტოლფასია.

ჰოდა, ორი წლის წინანდელ მატჩში ყველაფერი ანდრეი შევჩენკოს გოლმა გადაწყვიტა, რომელიც მან განმეორებით შეხვედრაში გაიტანა და რომელშიც სტუმრის სტატუსით "მილანი" სარგებლობდა. სწორედ ამ გოლმა გაიყვანა ფინალში "როსონიერი". ინტერმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო, მაგრამ სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გამარჯვება "მილანს" დარჩა. ორი წლის წინანდელი სცენარის გამეორება ახლაც შესაძლებელია.

ანდრეი შევჩენკო, რომელმაც ტრავმის გამო თვეზე მეტი გამოტოვა, მზად არის დღეს მინდორზე გამოვიდეს და თავის გუნდს ყველაზე პრინციპულ მეტოქესთან შეხვედრაში დაეხმაროს. 2004 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს ჯერ კიდევ შაბათს, იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში შეეძლო თამაში, მაგრამ რომის პაპის იოანე-პავლე II გარდაცვალების გამო აპენინებზე ტური გადაიდო.

იტალიის წლევანდელ ჩემპიონატში, ისევე როგორც ორი წლის წინათ ჩემპიონთა ლიგაში, მილანური დერბი არ გამოდგა უხვგოლიანი. პირველ მატჩში უგოლო ფრე - 0:0 აღინიშნა, ხოლო განმეორებით შეხვედრაში "მილანმა" - 1:0 მოიგო.



კლუბების ისტორიაში მეორე საჩემპიონთალიგო დერბისთვის გუნდები სხვადასხვა მდგომარეობაში არიან. "მილანი" "სკუდეტოსთვის" იბრძვის, ხოლო "ინტერი" კვლავ ჩემპიონატის ფავორიტთა მიღმა დარჩა. "მილანის" სასარგებლოდ მეტყველებს გუნდების ფეხბურთელთა მდგომარეობაც. "ინტერს" ლაზარეთში ემრე, რეკობა და, რაც მთავარია, ადრიანო ჰყავს, "მილანის რიგებში კი შეუძლოდაა მხოლოდ ინძაგი და მატჩში მისი მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

**ჩელსი - ბაიერნი**

მიუნხენის "ბაიერნთან" მატჩის წინ საკადრო პრობლემები აქვს ლონდონის "ჩელსისაც". ტრავმა აწუხებთ რობენს, პაულუ ფერეირას და უეინ ბრიჯს. დისკვალიფიკაციის ვადას კი იხდის მატა კეჟმანი, რომელმაც ბოლო მატჩებში გოლების გატანა დაიწყო. ასეთ სიტუაციაში ჟოზე მოურინიოს სხვა აღარაფერი დარჩენია, თუ არა ახალგაზრდა ფინელი ფორვარდის მიხაელ ფორსელის გამოყენება.

სააგენტო როიტერსის ცნობით, ამის შესახებ ორშაბათს განაცხადა "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ: "მიხაელი "ბაიერნთან" შეხვედრის განაცხადში იქნება, რადგან საკადრო პრობლემების გამო ჩვენს გუნდს ამ მატჩისთვის ფორვარდი სჭირდება. ფორსელმა ვარჯიშებზე თავი გამოიჩინა და ჩვენ მისი იმედი გვაქვს", - განაცხადა მოურინიომ.

ტრავმები გერმანულ ფეხბურთში უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ინგლისურში. "ჩელსის" წინააღმდეგ არ ითამაშებს ფორვარდი კლაუდიო პისარო და, შესაძლოა, როი მაკაიც. ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო "სტემფორდ ბრიჯზე" ვერც დემიჩელისი გამოვა.

სტატისტიკა რომან აბრამოვიჩის გუნდის სასარგებლოდ მეტყველებს. "ჩელსიმ" თავისი არსებობის ისტორიაში სამჯერ უმასპინძლა გერმანულ გუნდებს და ლონდონში მათგან ერთი ბურთიც არ მიუღია. "ბაიერნმა" კი ჩემპიონთა ლიგაში გამართული ბოლო 14 მატჩიდან მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა - ტელ-ავივში "მაკაბი" დაამარცხა.

მეორე მხრივ, "ბაიერნმა" წინა რაუნდში ერთი ლონდონური კლუბი - "არსენალი" უკვე ჩამოიცილა გზიდან. შინ გერმანელებმა - 3:1 მოიგეს. სტუმრად კი მინიმალური ანგარიშით - 0:1 დამარცხდნენ და მეოთხედფინალში გავიდნენ.

მორიგ ლონდონურ კლუბთან მატჩამდე გერმანელებმა ენა გაავარჯიშეს. მაგალითად, "ბაიერნის" ყოფილმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა მოურინიოს მისამართით შემდეგი სიტყვები წარმოთქვა. "ჟოზე მოურინიო ამპარტავანი მწვრთნელია. ის ადეკვატურია, მაგრამ სპორტსმენი არ არის. ალექს ფერგიუსონთან ან არსენ ვენგერთან შედარებით ის, როგორც ადამიანი, ძალიან აგებს".

მოურინიო ამ თავდასხმებზე არ რეაგირებს. როგორც ჩანს, ის ანდერს ფრისკის მიმართ გამოთქმული კრიტიკის შემდეგ შეშინებულია.

ცნობილია, რომ გასულ კვირას "ჩელსი" 75 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმეს, ხოლო ჟოზე მოურინიო - 20 ათასით და ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით. მან ანდერს ფრისკს "ბარსელონას" მწვრთნელთან ფრანკ რაიკაარდთან შეთქმულება დააბრალა.

ჯერჯერობით ლონდონის "ჩელსი" უეფას ამ ვერდიქტს არ გააპროტესტებს. ამის შესახებ ნათქვამია "ჩელსის" ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ორშაბათს გავრცელდა. "ჩელსი" მზად არის დაადასტუროს, რომ უეფას ვერდიქტს კლუბისა და მისი მწვრთნელის მიმართ დისციპლინარული სასჯელის დადების თაობაზე არ გააპროტესტებს. რასაკვირველია, ჩვენ არ გაგვხარებია უეფას ვერდიქტი, მაგრამ მას მთლიანად ვიღებთ".

ამდენად ჟოზე მოურინიო "ბაიერნთან" ორმატჩიან დაპირისპირებას ტრიბუნებიდან მიადევნებს თვალს. შეგვიძლია დავამატოთ, რომ "ჩელსი" - "ბაიერნის" პირველ მატჩს ჰოლანდიელი არბიტრი რენე ტემინკი მოემსახურება, "მილანი" - "ინტერის" შეხვედრას კი ფრანგი ალენ სარსი განსჯის.

ფორმულა 1

# სამეფო რბოლებს მონსტრი ჰყავს

*მას შემდეგ, რაც "ბაჰრეინის დიდი პრიზი" "რენოს" ესპანელმა მრბოლმა ფერნანდო ალონსომ მოიგო, ესპანური პრესა თანამემამულის გამარჯვებას დითირამბებს უძღვნის. მისგან განსხვავებით, "ფერარის" წარუმატებლობით საგონებელშია ჩავარდნილი იტალიური პრესა, თუმცა, განცხადებებში აქა-იქ იმედისმომცემი ტონიც იგრძნობა.*

1344 დღის მანძილზე იტალიური საჯინიბოს პირმშოს - "ფერარის" ტექნიკური პრობლემები არ შეჰქმნია. 58 "დიდი პრიზის" გათამაშების შემდეგ "ფერარი" და მიხაელ შუმახერი სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ "ბაჰრეინის დიდ პრიზზე". "საჰირის" ტრასის მე-12 წრეზე შეწყვეტილი რბოლის მიუხედავად, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიიჩნევს, რომ სკუდერიამ მალაიზიის შემდეგ საგრძნობლად მოუმატა. მომავალ რბოლებს კი იმედის თვალით უყურებს და დაკარგულის ასანაზღაურებლად ემზადება: "რა თქმა უნდა, ჩამორჩენა დიდია, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეიძლება. წინ დიდი სეზონი გველის - კიდევ თექვსმეტი რბოლა, რაც ვითარების შეცვლის საშუალებას იძლევა. დარწმუნებული ვარ, ახალი ბოლიდით რამდენიმე რბოლას მოვიგებთ. კიდევ დიდხანს არ დავიხევ უკან".

ამასობაში ირკვევა, რომ სამი ეტაპის ჯამში საგრძნობლად დაწინაურებული "რენოს" ჩამოქვეითება "ფერარისთან" ერთად "ტოიოტასაც" განუზრახავს.

"ჩვენ შეგვიძლია "რენოზე" უკეთესები ვიყოთ, - დაბეჯითებით აცხადებს ტოიოტელი რალფ შუმახერი, რომელიც თავის პირველ გამარჯვებას ახლო მომავალში წინასწარმეტყველებს. - ბევრს ვიმუშავებთ იმისთვის, რომ მათ დავეწიოთ. მგონია, რომ მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია მიხაელსაც".

ახლა პრესასაც გავეცნოთ.

**ესპანეთი:**

"Tele 5": "ბრავო, ალონსო, ის ფორმულა 1-ის მონსტრია. მიდი, ბიჭო, ასევე გააგრძელე!"

"As": "გენიალურია. ალონსოს ახალი გამარჯვება და შუმახერისა და "ფერარის" კრახი. ბრწინვალე ალონსოს არ ჰყავს მეტოქეები".

"Marca": "ალონსო, როგორც ჩემპიონი, ყველას წნეხის ქვეშ აყენებს".

"Cardena Fer": "ალონსო ყველას უსწრებს. ის საერთაშორისო სპორტის ახალი მეგავარსკვლავია. ძმაო, ჩვენ შენით ვამაყობთ".

**იტალია:**

"Gazzetta dello Sport": "მარანელომ ("ფერარის" მშობლიური მხარე) მორიგი წარუმატებლობა განიცადა, ბარიკელოს კი არ უმართლებს. ახალ ბოლიდს - F2005-ს კი ისა აქვს დადებითი, რომ ძალზე სწრაფია. და მაინც, მისი საიმედოობა უკეთესის ნატვრის სურვილს გვიჩენს. ყველაფრის მიუხედავად, შუმახერი კვლავაც დიდებულია. ასეთ პირობებში მისგან მეტის მოთხოვნა არ შეიძლება. მარცხი მისი ბრალი არაა".

"Tuttosport": "F2005 სერიოზულ პრობლემებს წააწყდა. "ფერარის" არ შეუძლია სწრაფად გაუმკლავდეს კრიზისს. ამისთვის დროა საჭირო. იმოლაში ყველა გულშემატკივარი "ფერარის" დაუჭერს მხარს. თუ ყველაფერი რიგზე იქნება, "ფერარი" კვლავაც კონკურენტუნარიანი იქნება ბარსელონაში (მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი. "ესპანეთის დიდი პრიზი")".

"La Repubblica": "ფერარი" შოკშია. ახალი მანქანითაც კი ვერ აღწევს წარმატებას. შუმახერი ტრასიდან გადადის, ბარიკელო კი მხოლოდ მეცხრე ადგილს სჯერდება. აქამდე განუმეორებელი წარმატებათა სერიებით ვტკბებოდით, ამიტომ ახლა ძნელია იმ კატასტროფის ახსნა, რომელიც ავსტრალიაში დაიწყო და მალაიზიასა და ბაჰრეინში გაგრძელდა".

"Corriere della Sera": "სწრაფია, მაგრამ არა საიმედო. ახალმა "ფერარიმ" უმტყუნა შუმახერს. ვნებათა ღელვა მატულობს, რადგან სკუდერიელთა მეტოქეები უფრო ძლიერდებიან. მიუხედავად ამისა, ბაჰრეინში F2005-ით გამოსვლა მაინც არ შეიძლება იყოს შეცდომა".



*რენოს მიღმა ფერარი ლანდივით მოჩანს.*

ინფოთეკა

### "ჩელსის" ექიმი თავის მეთოდებზე ღიად ისაუბრებს

ლონდონის "ჩელსის" ექიმი ბრაიან ინგლიში ბრიტანეთის სპორტული ორგანიზაციის UK Sport-ის წარმომადგენლებთან აპირებს შეხვედრას. ექიმი ისაუბრებს ტრავმების მკურნალობის საკუთარ მეთოდებზე, რომელიც მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს მხრიდან კრიტიკის საგნად გადაიქცა. ბრიტანული პრესის ცნობით, ფეხბურთელის რეაბილიტაციის დაჩქარების მიზნით, იგი სტიმულატორების საშუალებით სისხლის მოძრაობას აღადგენს დაზიანებულ ქსოვილში.

როგორც ამბობენ, ასეთი მკურნალობა გაიარა "ჩელსის" ნახევარმცველმა არიენ რობენმა.

"ეს საკმაოდ ახალი ტექნოლოგიაა. აუცილებლად უნდა გავესაუბროთ იმ ადამიანებს, რომლებიც მას იყენებენ. რაც უფრო მეტ ინფორმაციას მივიღებთ მასზე, მით უფრო ზუსტად გადავწყვეტთ მისი გამოყენება-გამოუყენებლობის საკითხს", - განაცხადა UK Sport-ის პრესატაშემ.

### ოუენი "რეალის" დატოვებას არ აპირებს

მადრიდის "რეალის" თავდამსხმელმა მაიკლ ოუენმა განაცხადა, რომ ესპანური კლუბის დატოვება მის გეგმებში არ შედის. ინგლისელმა ფეხბურთელმა ამ განცხადებით ასე თუ ისე გააბათილა ბოლო დროს ინგლისში მისი გადასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

"ეს, უბრალოდ, ჭორებია. ესპანეთში ძალიან ბედნიერი ვარ. ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრებამდე კიდევ რვა მატჩია დარჩენილი. ჩემი გონება და ენერგია მთლიანად იქითკენაა მიმართული, რომ "რეალს" დაეხმაროს. თუ ვითამაშებ, კარგი იქნება. თუ არა და ჩემს შანსს სათადარიგო სკამზეც დაველოდები. გუნდიდან წასვლას არც ახლა ვაპირებ და არც ზაფხულში", - განაცხადა ოუენმა.

### ნედვედი სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებს

ტურინის "იუვენტუსის" ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა Gazzetta dello Sport-თან საუბარში განაცხადა, რომ დიდი ფეხბურთიდან წასვლაზე უკვე სერიოზულად ფიქრობს და ამ ნაბიჯის გადადგმას სეზონის დასასრულისთვის გეგმავს.

Sky Sports-ის ცნობით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი ფეხბურთელის ხშირი ტრავმებია. უკანასკნელად მიღებული თავის ტრავმის გამო იგი ერთ თვეს ვერ გამოვიდა მოედანზე.

"ევროპის ჩემპიონატიდან მოყოლებული, ტრავმები არ მშორდება: ხან თავი მტკიოდა, ხან - მუხლი, ხან - კოჭი. ბოლო ორი თვის განმავლობაში სულ რამდენიმე მატჩის ჩატარება შევძელი. ასე თუ გაგრძელდა, ფეხბურთიდან ამ სეზონზევე წავალ," - განაცხადა ფეხბურთელმა.

### შერინგემმა ახალი კონტრაქტი გააფორმა

ცნობილმა ინგლისელმა თავდამსხმელმა ტედი შერინგემმა ახალი კონტრაქტი გააფორმა "ვესტ ჰემთან". შეთანხმება ერთ წელს ითვალისწინებს.

"კარიერის გაგრძელება გადავწყვიტე. იმედი მაქვს, ორმოცი წლის იუბილეს პრემიერ-ლიგაში შევხვდები", - განაცხადა ფორვარდმა, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 39 წელი.

### კრესპო "მილანში" თამაშის გამო დათმობაზე მიდის

ლონდონის "ჩელსის" თავდამსხმელმა ერნან კრესპომ განაცხადა, რომ მზადაა ხელფასის შემცირებაზე თანხმობა განაცხადოს იმ პირობით, თუ "მილანი", რომლის შემადგენლობაშიც კრესპო იჯარის წესით თამაშობს, მასთან სრულფასოვან კონტრაქტს გააფორმებს.

"ჩემი აგენტი უკვე მუშაობს ამ საკითხზე. დარწმუნებული ვარ, ის და "მილანი" შეთანხმებას მიაღწევენ. ძალიან მიხარია, რომ ჩემი გადასვლის შესახებ მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. მზად ვარ, შეთანხმების მისაღწევად ზოგიერთ დათმობაზე წავიდე," - განაცხადა კრესპომ.

### შესაძლოა, დელ პიერო ინგლისში გადავიდეს

შესაძლოა, "იუვენტუსის" წამყვანი ფეხბურთელი ალესანდრო დელ პიერო სეზონის ბოლოს ლონდონში გადავიდეს. ბრიტანული პრესის განცხადებით, ფეხბურთელს მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არა აქვს მთავარ მწვრთნელთან ფაბიო კაპელოსთან. ფორვარდისთვის პრიორიტეტულია ინგლისის პრემიერ-ლიგის ლონდონის ერთ-ერთ გუნდში თამაში, მაგალითად, "არსენალში" ან "ჩელსიში".

საფეხბურთო გალერეა

# ჟოზე მოურინიო: „ჩვენ „ბაიერნსაც" დავამარცხებთ!"

*ჟოზე მოურინიო*
*დაიბადა 1963 წლის 26 იანვარს პორტუგალიის ქალაქ სეტუბალში. ფეხბურთელის ხანმოკლე კარიერის შემდეგ, 1985-1989 წლებში სწავლობდა უეფას სამწვრთნელო კურსებზე ბრიტანეთში. 1990-1992 წლებში მუშაობდა "სეტუბალში" ფიზმომზადების მწვრთნელად, მოგვიანებით კი თანაშემწედ "ეშტრელა ამადორაში".*
*1992 წელს ლისაბონის "სპორტინგში" ინგლისელი მწვრთნელის სერ ბობი რობსონის თარჯიმნად დაინიშნა, მოგვიანებით მის ასისტენტობასაც დათანხმდა.*
*1994-1996 წლებში მუშაობდა "პორტუში". თავდაპირველად სერ ბობი რობსონის მეორე, ხოლო მოგვიანებით პირველ თანაშემწედ. ამ რანგში მოიგო პორტუგალიის ჩემპიონატი (1995, 1996) და პორტუგალიის სუპერთასი (1994).*
*1996 წელს, რობსონის თანაშემწის რანგში, გადავიდა "ბარსელონაში" და პირველივე სეზონში მოიგო ესპანეთის თასი (1997), ესპანეთის სუპერთასი (1997) და თასების მფლობელთა თასი (1997).*
*1997-2000 წლებში მუშაობდა "ბარსელონაში" ლუის ვან გაალის პირველ თანაშემწედ, მოგვიანებით კი - მთავარ სელექციონერად. მწვრთნელის თანაშემწის რანგში მოიგო ევროპის სუპერთასი (1997), ესპანეთის ჩემპიონატი (1998, 1999) და ესპანეთის თასი (1998).*
*2000 წელს დაინიშნა ლისაბონის "ბენფიკას" მთავარ მწვრთნელად, თუმცა, კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოების გამო, მალევე დატოვა კლუბი.*
*2001 წელს გახდა "უნიაო ლეირიას" თავკაცი.*
*2002 წლის იანვარში, როცა მისი კლუბი ჩემპიონატში მესამე ადგილზე იყო, გადავიდა "პორტუში". იმ წელს "პორტუ" ჩემპიონატში მესამე ადგილზე გაიყვანა.*
*2003 წელს "პორტუსთან" ერთად მოიგო პორტუგალიის ჩემპიონატი, თასი და სუპერთასი, ასევე უეფას თასი. პორტუგალიურმა ჟურნალმა "რეკორდმა" წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა, ხოლო უეფამ კარლო ანჩელოტისთან ერთად მიანიჭა წლის საუკეთესო ევროპელი მწვრთნელის წოდება.*
*2004 წელს, კვლავ "პორტუსთან" ერთად, იმარჯვა პორტუგალიის ჩემპიონატში და აღმართა ჩემპიონთა თასი. ინგლისურმა ჟურნალმა "უორლდ სოკერმა" 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა, "რეკორდმა" და უეფამ კი ზედიზედ მეორედ მიანიჭეს წლის საუკეთესო პორტუგალიელი და ევროპელი მწვრთნელის (რაფაელ ბენიტესთან ერთად) წოდება.*
*2005 წელს "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის რანგში აღმართა ინგლისის ლიგის თასი.*



ლაშა გოდუაძე

"ჩელსის" პორტუგალიელი მწვრთნელისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდება - ჟოზე მოურინიო ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩის წინ კვლავ სასურველ რესპონდენტად იქცა.

დღეს ლონდონელები გერმანიის ჩემპიონატის ლიდერს მიუნხენის "ბაიერნს" დაუპირისპირდებიან. მოურინიო კლუბს ვერ დაეხმარება - უეფას სადისციპლინო კომიტეტმა პორტუგალიელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა - მას ტრიბუნიდან მოუწევს "ჩელსისთვის" თვალის დევნება. შეგახსენებთ, რომ "ბარსელონასთან" პირველი დაპირისპირების შემდეგ მოურინიომ კატალონიელთა მწვრთნელს ფრანკ რაიკაარდს და მატჩის არბიტრს ანდერს ფრისკს მოლაპარაკება დააბრალა...

გუშინდელ "კიკერში" მოურინიოსთან ინტერვიუ გამოქვეყნდა. უცნაურია, მაგრამ პორტუგალიელს ჩემპიონთა თასის აღმართვას ინგლისის ჩემპიონატის მოგება უჯობს...

**- რამდენიმე სახელგანთქმული მწვრთნელის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ "ჩელსი" ხშირად რჩება გამარჯვებული, სანახაობრივ ფეხბურთს ვერ თამაშობს. ამის შესახებ რას იტყოდით?**

- ჩემთვის გაუგებარია, რას გულისხმობს ეს ხალხი. მაშინ დამისახელონ გუნდი, რომელიც "ჩელსიზე" უკეთ თამაშობს. სხვათა შორის, სეზონის დაწყებიდან დღემდე ჩვენ მხოლოდ სამ ოფიციალურ მატჩში ვერ მოვახერხეთ გოლის გატანა! მგონი, ეს ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს. უაზრობაა "ჩელსის" ბრალად დასდო უსახური თამაში. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რომ ჩვენ მუდმივად სამი თავდამსხმელით, ორი შემტევი ნახევარმცველით და შემოქმედი შუახაზელებით ვთამაშობთ. ასეთ დროს უსახურ ფეხბურთში დადანაშაულება [illegible] და სხვა არაფერი.

**- თქვენს ლეგიონერებს ბევრი ვარსკვლავი ირიცხება. გიჭირთ მათთან საერთო ენის გამონახვა?**

... იმისა, რომ ისინი ვარსკვლავები არიან, ვარჯიშებზე ყველაზე მეტს შრომობენ და როცა საჭიროა, გუნდის ინტერესებსაც ემორჩილებიან. მსიამოვნებს, რომ ჩემი "ჩელსი" ბევრი სოლისტისგან შემდგარი ორკესტრია. ასეთ დროს კლუბის შესაძლებლობები თითქმის შეუზღუდავია.

**- თქვენი კლუბისგან განსხვავებით, დღევანდელ "რეალზე" იგივეს ვერ ვიტყვით...**

- ვფიქრობ, არასწორია "ჩელსის" და "რეალის" შედარება. მადრიდელებმა ყველაფერი მოიგეს, რისი მოგებაც შეიძლებოდა, ჩვენ კი დიდ წარმატებებს მოწყურებულნი ვართ. როცა ყოველ მეორე წელს ლიგას იგებ, ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, აღმოაჩინო, რომ მოგბეზრდა თამაში. ესაა და ეს.

**- "მილანში", რომელსაც, სხვათა შორის, "ჩელსის" მოწინააღმდეგედ ასახელებენ ფინალში, ასევე არაერთი ვარსკვლავი თამაშობს. "რეალისგან" განსხვავებით, მილანელებს მწვრთნელის მკაცრი ხელი ეტყობათ. თქვენი აზრით, რა როლს ასრულებს კარლო ანჩელოტი კლუბში?**

- კარლო ანჩელოტი ძალიან ძლიერი მწვრთნელია! ამავდროულად, მას შესანიშნავი მოთამაშეების დიდი არჩევანი აქვს და შეუძლია ყველა ვარსკვლავთან გამონახოს საერთო ენა. ზაფხულში, როცა "ჩელსი" ამერიკაში ემზადებოდა ახალი სეზონისთვის, "მილანიც" იქ იყო. ამ კლუბის ვარჯიშს ერთხელ დავესწარი და მინდა გითხრათ, რომ ფეხბურთელების პროფესიონალიზმით და ენთუზიაზმით მოვიხიბლე. მალდინი და კოსტაკურტა, მრავლისმნახველი ვეტერანები, ვარჯიშებზე თავს იკლავდნენ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მწვრთნელის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ. როცა ამ დონის ფეხბურთელები ასე იქცევიან, არ უნდა გაგიკვირდეს მათი თანაგუნდელების მორჩილება. ისე არ გამიგოთ, თითქოს "მილანში" სიმკაცრეა. არავითარ შემთხვევაში, ზომიერი ურთიერთობა და ურთიერთპატივის[illegible]

სხვათა შორის, კარლო ანჩელოტი არაერთხელ დამორჩილებია მის მითითებას. შესაძლოა, მწვრთნელი სხვა შეხედულებისა იყო, მაგრამ კლუბის მეპატრონის აზრის გაზიარება მწვრთნელის სამუშაოს შემადგენელი ნაწილია. ჩემსა და აბრამოვიჩის ურთიერთობას რაც შეეხება, ყველაფერზე თავიდანვე შევთანხმდით. როცა მისი წარმომადგენლები დამიკავშირდნენ და "ჩელსიში" მუშაობა შემომთავაზეს, მეპატრონეს გავაცანი ჩემი გეგმები, თუ როგორი "ჩელსის" შექმნა და რომელი ფეხბურთელები მსურდა, როგორი ფეხბურთის თამაშს ვაპირებდი... აბრამოვიჩმა მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა, მერე კი დამიკავშირდა და მთხოვა, კონტრაქტის გასაფორმებლად ლონდონში ჩავსულიყავი. ბერლუსკონის მსგავსად, აბრამოვიჩიც თავისი კლუბის უდიდესი გულშემატკივარია, თუმცა, გუნდის შესახებ საჯაროდ აზრის გამოთქმას ერიდება. ჩვენ შევთანხმდით, რომ სეზონის ბოლოს შევხვდებით და შედეგებს შევაჯამებთ. ვიმედოვნებ, რომ პრეზიდენტი ჩემი მუშაობით კმაყოფილი დარჩება.

**- 2003 წლის ივლისში განაცხადეთ, რომ იტალიელი მწვრთნელებიდან ყველაზე მეტად ფაბიო კაპელო მოგწონთ, ხოლო კლუბებიდან - მისი "რომა"...**

- როცა კაპელო მადრიდის "რეალს" წვრთნიდა, "ბარსელონაში" ბობი რობსონის თანაშემწე გახლდით. ის სეზონი ბრწყინვალედ მახსოვს და არც ის დამავიწყდება, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა მადრიდში ფაბიო. სადაც მუშაობდა, "მილანში", "რეალსა" თუ "რომაში", ყველგან იმარჯვებდა. მჯერა, "იუვენტუსთან" ერთადაც დაიპყრობს მწვერვალებს. სადაც კაპელოა, იქაა შედეგიც. ფეხბურთში სწორედ ესაა მნიშვნელოვანი. მომწონს მისი მუშაობის სტილი, დისციპლინის სიყვარული, თამაშის მისეული ორგანიზაცია... რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვარსკვლავებ[illegible]

მის ყოფილ გუნდს - "რეალს" სძლია. **თქვენი აზრით, რის ხარჯზე მოუგეს იტალიელებმა ესპანელებს?**

- თამაშის ორგანიზაციის მაღალი დონით! "რეალს" შეუძლია ერთი თამაში ჩააგდოს, მეორეში კი რამდენიც სურს, იმდენი გოლი გაიტანოს, მაგრამ "იუვენტუსთან" ამან არ გაჭრა. ტურინელებს მსოფლიოში ყველაზე უკეთ შეუძლიათ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება და ჩინებული დაცვაც ჰყავთ.

**- "მანჩესტერ იუნაიტედი" - "მილანის" დაპირისპირებაზე რას იტყოდით?**

- მიუხედავად იმისა, რომ რიო ფერდინანდის დაბრუნებით ალექს ფერგიუსონის გუნდის დაცვა გამოკეთდა, იტალიელებთან ოლდტრაფორდელები მაინც დამარცხდნენ. ამის მიზეზად ერთფეროვნება მიმაჩნია - "მანჩესტერ იუნაიტედი" ბოლო წლების მანძილზე არაფრით შეცვლილა, მაშინ, როცა მეტოქემ საგრძნობლად წაიწია წინ.

**- თქვენი ყოფილი კლუბი "პორტუ" მილანის "ინტერთან" დამარცხდა...**

- ახლაც ვთვლი, რომ თანაბარი ძალის გუნდების დაპირისპირებაში მოიგო იმან, ვისაც უფრო გაუმართლა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ლიგაში გამარჯვება დიდადაა დამოკიდებული ფორტუნაზე.

**- ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ "ჩელსი" - "ბარსელონას" მერვედფინალური მატჩი ნაადრევი ფინალი იყო?**

- ფინალი ერთი შეხვედრისგან შედგება, ჩვენ კი ორჯერ ვითამაშეთ. ამ პაექრობებთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ორი ძალიან საინტერესო მატჩი ვიხილეთ.

**- იტალიის ნაკრების თავკაცმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ წლეულს ლიგას რომელიმე გრანდი მოიგებს. ეთანხმებით მას?**

- მეც ასე ვფიქრობ, თუმცა, არც "ლიონია" ხელწამოსაკრავი - "ვერდერთან" ფრანგებმა ჩინებულად ითამაშეს. ეგეც არ იყოს, ბოლო წლებში [illegible]

რია. "პორტუში" მუშაობისას ამ ფრაზას ხშირად ვიმეორებდი და ფეხბურთელებმაც ირწმუნეს ჩემი. შედეგად ლიგა მოვიგეთ. "ჩელსიში" გაცილებით მეტის გაკეთება შემიძლია და მჯერა, რომ არა მარტო "ბაიერნს" ვაჯობებთ, უფრო ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგობასაც დავძლევთ!

**- "პორტუში" დეკუ გყავდათ, რომელიც გუნდის თამაშს უძღვებოდა. არის თუ არა მეორე დეკუ "ჩელსიში"?**

- არა, მაგრამ ჩვენთანაა ფრენკ ლამპარდი, რომელსაც ტოტალურ ნახევარმცველს ვუწოდებდი. ის უებრო მებრძოლია, რომელსაც შეუძლია, მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატაროს. ამას გარდა, მას თავდაცვაც ეხერხება და გოლების გატანაც, შეუძლია ჩინებული პასის გაკეთება... ერთი სიტყვით, გუნდის ლიდერია. აუცილებელია დაცვის ბრწყინვალე წყვილის - ტერი-გალასის დასახელება, შესანიშნავი მეკარის პეტერ ჩეხის აღნიშვნა... რაც შეეხება ნახევარდაცვას, ამ ხაზში ლამპარდის მხარდამხარ მოქმედებს კლოდ მაკელელე, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო შუახაზელად მიმაჩნია. თავდასხმაზე კი მგონი არაა საჭირო ხანგრძლივი საუბარი. შედეგები ყველაფერზე მეტყველებს.

**- თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რომელს აირჩევდით: ჩემპიონთა ლიგის მოგებას თუ პრემიერლიგისას?**

- პრემიერლიგისას! რაც უნდა იყოს, ჩემპიონთა ლიგა შარშან მოვიგე, დღეს კი ახალი წარმატება მსურს! მიმაჩნია, რომ კლუბი, რომელიც ესპანეთის, იტალიის ან ინგლისის პირველობას იგებს, მართლა ძლიერია. ლიგაში მოსაგებად გამართლებაც საჭიროა. მაგალითად, "პორტუს" შარშან ძალიან გაუმართლა, ისევე როგორც "მილანს" - შარშანწინ. რაც შეეხება ჩემპიონატებს, თუ გუნდი მას იგებს, ესე იგი, მართლა ძლიერია. 38 ტურის მერე შემთხვევით ვერ იქნები პირველი.

**- "ჩელსისთან" ხელშეკრულება ორ წელიწადში გითავდებათ. საინტერესოა, რას აპირებთ კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ?**

[illegible]

ინფოთეკა

### "ინტერს" "ტოტენჰემის" კაპიტნის შეძენა უნდა

მილანის "ინტერის" ხელმძღვანელობა ინგლისური "ტოტენჰემის" კაპიტნის ლედლი კინგის შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. ინგლისური მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, იტალიური კლუბი მზადაა კინგში 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

თავის მხრივ, ინგლისური კლუბი თავის ფეხბურთელთან განშორებას არ აპირებს. მეტიც, მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას გეგმავს.

### რუი კოშტა "მილანში" კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს

უეფას ოფიციალური საიტის ცნობით, "მილანის" ნახევარმცველმა 33 წლის რუი კოშტამ კლუბთან კონტრაქტის ვადა გააგრძელა - იტალიური გუნდის შემადგენლობაში იგი 2007 წლის ივნისამდე ითამაშებს.

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი "მილანმა" "ფიორენტინასგან" 2001 წელს 38 მილიონ ევროდ შეიძინა. 2002/03 წლებში რუი კოშტა კლუბს უეფას ჩემპიონთა ლიგის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში, ერთი სეზონის შემდეგ კი "სკუდეტოს" მოგებაშიც დაეხმარა.

მიმდინარე სეზონზე კოშტამ მონაწილეობა მიიღო სერია A-ს ჩვიდმეტ და ჩემპიონთა ლიგის შვიდ მატჩში.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 6 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ლივერპული" - "იუვენტუსი". პირველი მატჩი
14:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:05 თავისუფალი დარტყმა
16:20 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:20 "FUTBOL MUNDIAL"
17:55 რუსეთის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. "ამკარი" - "კრილია სოვეტოვი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. "ზენიტი" - "შინიკი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (20:45) - თავისუფალი დარტყმა
21:50 "ფუტბოლისტიკა"
22:25 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ჩელსი" - "ბავარია". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "მილანი" - "ინტერი". პირველი მატჩი

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:015, 15:45, 19:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპები შვედეთში
11:15 წყალში ხტომა. ჩინეთის დიდი პრიზი. ვაჟები. კოშკურა. ქალები. ტრამპლინი 3 მ. სინქრონული ხტომები. ფინალები
12:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:30 ჩვენი ჰოკეი პლუსზე
13:45 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. გადამწყვეტი მატჩები
15:15 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ბაჰამის კუნძულებზე. გადაცემა მესამე
16:00 "საუკეთესო არქივიდან". ამერიკული ფეხბურთი. Super Bowl XXXII. 1998წ.
19:15 "მწვერვალის ინტერესი" - "ევერესტის ჩრდილოეთ კდელი"
20:15 "სპორტისიმო"
21:00 "ვატერპოლე"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჩვენი ჰოკეი პლუსზე
22:15 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. ფინალი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
11:30 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. ფინალი
13:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. გერმანია - აშშ
15:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი ირლანდიაში
16:30 ველოსპორტი. ბელგიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 ველოსპორტი. ბასკთა ქვეყნების ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
20:00 ავტოსპორტი. ტელეჟურნალი. ეძღვნება ტურინგის კლასში მსოფლიო ჩემპიონატს
20:30 ფეხბურთი - უეფას თასი
22:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში. ქალები. კანადა - შვედეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:15 ახალი ამბები
00:30 გოლფი. სპეციალური მიმოხილვა
03:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
03:15 ფეხბურთი - გ-ო-ო-ოლ!!!

BRITISH AIRWAYS

[illegible]

(World Traveller)
(Club World)
BMED
GB

## მასონთა სულიერი საწყისები



უკვე ბანალობად იქცა იმის მტკიცება, რომ მასონური იდეოლოგიის საფუძვლები ბიბლიურ ტექსტებში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოციქულ იოანესთან დაკავშირებული ტექსტები — იოანეს სახარება, ეპისტოლეები და გამოცხადება ანუ აპოკალიფსი.

სამი პირველი ხარისხის მასონურ ლოჟებს სწორედ წმინდა იოანეს ლოჟები ეწოდება. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ წმინდა იოანეს ხსენების დღე დაკავშირებულია განსაკუთრებულ ასტრონომიულ თარიღთან — ზაფხულის ბუნიობასთან, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობამდელ წარმართულ კულტებშიც.

პირველ მასონურ წესდებაში, რომელიც ინგლისში გამოიცა 1723 წელს, ვკითხულობთ: “ძველ დროში ქვისმთლელი ძმები იკრიბებოდნენ მოციქულ იოანეს ხსენების დღეს განთიადზე, მონასტერში ან მის მახლობლად მდებარე მაღალ მთაზე. აქ ირჩევდნენ თანამდებობის პირებს და დღესასწაულის ადგილისკენ მიემართებოდნენ”.

ამავე დროს, პირველ მასონთა საიდუმლო ხასიათი თავიდანვე იზიდავდა ყველას: ერთნი საზოგადოებაში ჩაწერას ცდილობდნენ, მეორენი კი მისი მხილების სურვილით იყვნენ შეპყრობილნი. ერთ-ერთ ასეთ მამხილებელ ტექსტში, რომელიც 1744 წელს გამოიცა, მასონად მიღების რიტუალის შესახებ ვკითხულობთ, რომ კანდიდატი მიჰყავთ ტახტთან, რომელზეც იოანეს სახარებაა დასვენებული, ტახტის უკან კი საძმოს ვენერაბლი, ანუ მაღალ საფეხურზე მდგომი მასონი დგას. კანდიდატი ერთგულების ფიცს სწორედ იოანეს სახარებაზე დებს.

მოგვიანებით, XIX საუკუნეში, მასონობის ცნობილი თეორეტიკოსი, ჟოზეფ დე მესტრი, რომელიც ამავე დროს რომის პაპის პრიმატის მგზნებარე დამცველიც იყო, წერს, რომ იოანე მოციქულის სახელთან დაკავშირებული ტექსტები ტრანსცენდენტულ ქრისტიანობას წარმოადგენს, რომ მათი საზრისი შორს სცილდება ოფიციალური ეკლესიის მიერ მონიშნულ ხილულ საზღვრებს და მსოფლიოში არსებული ყველა რელიგიის სიღრმეს სწვდება.

მასონობის მეორე მნიშვნელოვანი საყრდენი ეგრეთ წოდებული ჰერმეტული ტრადიციაა. ამბობენ, რომ ეს არის იდუმალი ცოდნა, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის ქურუმთაგან შემორჩა. მასვე უკავშირებენ პითაგორიზმს, ორფიკულ კულტებს, ელინისტურ ეპოქაში შექმნილ ფილოსოფიურ მიმართულებებს, ნეოპლატონიზმს, ებრაულ კაბალას და ა. შ. შუა საუკუნეების განმავლობაში მსგავსი ელფერი დაჰკრავდა ასტროლოგიასა და ალქიმიას, რომლებსაც ძალზე დიდ დროს უთმობდნენ ქრისტიანი თეოლოგებიც. ამ კულტურულ შრეში თუ მიმართულებაში ამაო იქნება რაიმე ერთიანი და რაციონალურად ჩამოყალიბებული მოძღვრების ან ფილოსოფიური სისტების ძებნა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მასონები გამოსცემდნენ ინსტრუქციებს, როგორ უნდა შექმნა ქიმიური გზით საკუთარ სახლში პატარა მამაკაცი და ქალი, მინიატურული ადამი და ევა, რომლებიც აკვარიუმის მსგავს მინის ჭურჭელში დამკვირვებლის თვალწინ გაითამაშებენ ცოდვით დაცემასა და სამოთხიდან განდევნას.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმეს მართლაც შეექმნა მსგავსი რამ (ამისთვის საკმარისია თვალი გავადევნოთ საჭირო ქიმიური რეაქტივებისა და კომპონენტების სიას), მაგრამ საჭირო იყო იდუმალების ელემენტის მუდმივი შენარჩუნება. მაგრამ ნაჩქარევი იქნება, ყოველივე ამას, უბრალოდ, სისულელე რომ ვუწოდოთ: ადამიანური სიბრძნის მიმართ მასონთა დამოკიდებულებამ უდიდესი და აშკარად დადებითი როლი შეასრულა მეცნიერული და ფილოსოფიური იდეების გავრცელებაში, საგამომცემლო და საგანმანათლებლო საქმეში.

ამ თვალსაზრისით მასონური იდეოლოგიის ფესვები ღრმადაა გამჯდარი იტალიურ რენესანსსა და ჰუმანისტურ ტრადიციაში. იტალიის კონტაქტები ბერძნულ სამყაროსთან ყოველთვის ძალიან მჭიდრო იყო ვენეციელი და გენუელი ვაჭრების წყალობით. ამიტომაც კონსტანტინოპოლში თურქების შეჭრის შემდეგ საუკეთესო ბიზანტიელი ფილოსოფოსები სწორედ იტალიაში გაემგზავრნენ. აქ, ფლორენციისა და ბოლონიის უნივერსიტეტებში მათ მიერ წაკითხულმა ლექციებმა შეუწყო ხელი ლათინური და აღმოსავლური ტრადიციების განსაკუთრებულ სინთეზს, რომელმაც XV საუკუნის ბოლოს, ფრანგების მიერ იტალიის დაპყრობის შედეგად, საფრანგეთში შეაღწია.

ამ დროს თავისუფალ ქვისმთლელთა და ხუროთმოძღვართა საძმოები ხშირად მასპინძლობდნენ მოხეტიალე ალქიმიკოსებსა და ფილოსოფოსებს. ამგვარად იბადებოდა წინარემასონური სუბკულტურა, რომელიც ფილოსოფიისა და მეცნიერების პოპულარიზაციის, ასე ვთქვათ, მეორე საფეხურს წარმოადგენდა: ერთი მხრივ, მოხეტიალე შარლატანები ფილოსოფიას ფრაგმენტულად და ზერელედ იცნობდნენ, მეორე მხრივ, ხელოსნები კიდევ უფრო მოუმზადებლები იყვნენ ტერმინოლოგიისა და ძირითადი დებულებების ასათვისებლად. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი აღმოჩნდა თავისებური და მკვეთრად გამოხატული სუბკულტურის შესაქმნელად, რომელმაც მომავალში — როგორც კი მას შეუერთდნენ პოლიტიკური ძალაუფლებისა და სიმდიდრის მქონე ადამიანები — დიდი გავლენა მოახდინა ევროპულ სინამდვილეზე.

ასე გამომჟღავნდა ახალი დროის ერთი საინტერესო თვისება: არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ნიჭიერი და მცოდნე ხარ — მთავარია ფლობდე ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს. ასე ადვილად დაარწმუნებ ყველას, რომ სწორედ შენი აზრების ნაკადია უმაღლესი ჭეშმარიტება. დღეს იგივე ვითარება შეინიშნება რელიგიის სფეროშიც: ხშირად გაიგონებთ, რომ ჰარე კრიშნას რელიგია მხოლოდ უფერული და უგემოვნო ანარეკლია ნამდვილი ინდუიზმისა, რომ ბერძენ მეძველსტილეთა ბოდვა და გლდანელი ნათელმხილველების ჰალუცინაციები სულაც არაა მართლმადიდებლობა, რომ ისლამის და ტერორიზმი ერთმანეთთან შეუთავსებელია. მაგრამ წარმატებისთვის სულაც არაა აუცილებელი ჭეშმარიტებას ამბობდე, მთავარია, ბევრს გააგონო შენი ხმა.

სწორედ ამ გარემოების წყალობით იქცა ქვისმთლელთა წრეში მოარული ზღაპრები ახალი დროის ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დახურული საზოგადოების დუღაბად.

დღეს უკვე ამ ეზოტერული ზღაპრებისა გულწრფელ მასონებსაც აღარ სჯერათ, მაგრამ რიტუალის ძალა მაინც დიდია, რადგან ადამიანები იშვიათად არიან გონებით იმდენად დამოუკიდებელნი, რომ სიმშვიდისა და დაცულობის მოსაპოვებლად გარეგანი საყრდენი არ სჭირდებოდეთ.



# მასონთა შეულამაზებელი ისტორია I

დიდი ფრანგული ენციკლოპედია მასონთა შესახებ გვამცნობს, რომ ესაა “საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალის განხორციელებას” და რომ ეს არის “არა საიდუმლო, არამედ დახურული ორგანზიაცია”. მართლაც, საიდუმლო რომ ყოფილიყო, როგორ გვეცოდინებოდა მისი არსებობის შესახებ? მაგრამ რადგან მასონთა შესახებ მრავალი ტყუილ-მართალი ვრცელდება, დანამდვილებით კი ვერავინ ვერაფერს ამბობს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ორგანიზაცია მართლაც დახურულია.

აქ არ მოვყვებით მასონთა ანუ თავისუფალ ქვისმთლელთა ირგვლივ არსებულ ჭორებს, თუმცა ლეგენდებს მაინც ვერ ავცდებით, ოღონდ მხოლოდ იმ ლეგენდებს, რომლებსაც მასონები თვითონ ქმნიდნენ საკუთარი თავის შესახებ...




### ლეგენდები

თანამედროვე სახით მასონობა არსებობს 1717 წლიდან, როდესაც დაარსდა დიდი ლონდონური ლოჟა. მაგრამ ლოჟის წევრები მასონობის წარმოშობას პირველ კაცს — ადამს უკავშირებდნენ. ერთ-ერთი პირველი ლეგენდის მიხედვით ადამი აღმოსავლეთით მდებარე ედემში თვით მამაზეციერმა აკურთხა მასონად. რა თქმა უნდა, ამ ლეგენდის მიზანი იყო იმის განცხადება, რომ მასონობა არსებობდა ყოველთვის — ამგვარად სულიერ მოძრაობას ავტორიტეტი ემატებოდა.

ასე თუ ისე, მასონობა, ანუ თავისუფალი ქვისმთლელობა, სახელწოდებიდან გამომდინარე, ხელობასთან, უფრო ზუსტად კი ხელოსნების კორპორაციებთან, ამქრებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც, ყველაზე ძველი მასონური ტექსტი, ე. წ. “სამეფო ხელნაწერი”, რომელიც XIV საუკუნის ერთი პოემის გადაკეთებას წარმოადგენს, მოგვითხრობს ხელოსნობის მფარველ ოთხ წმინდა მოწამეზე.

ამ ტექსტის მიხედვით, იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს ხუთმა ქვისმთლელმა უარი თქვა წარმართული კერპის ამოკვეთაზე. ისინი სიკვდილით დასაჯეს. ასევე მოაკვდინეს მათთან ერთად ოთხი სამხედრო, რომლებმაც არ ისურვეს ესკულაპის საკურთხეველთან კმევა. ცხრა მოწამე ერთ საფლავში დაკრძალეს. 310 წელს პაპმა მელქიატემ ამ ოთხ ჯარისკაცს გვირგვინოსანი მოწამეები უწოდა, მოგვიანებით კი ისინი ქვისმთლელებში აურიეს. სწორედ ეს ოთხი გვირგვინოსანი მოწამე იქცა ხელოსნობის მფარველად.

მასონთა მიმართ მტრულად განწყობილი წყაროები, ჩვეულებრივ, არ ამახვილებენ ყურადღებას ამ ქრისტიანულ საწყისებზე. გაცილებით უფრო პოპულარულია ძველ აღთქმაზე დაფუძნებული ლეგენდები, რომლებიც მასონთა და იუდეველთა კავშირის მოწმობად გამოიყენება ხოლმე.

ასეთია, მაგალითად, მოთხრობა ადონირამზე, რომელიც ხელმძღვანელობდა სოლომონის დიდი ტაძრის მშენებლობას. მასონთა ლეგენდის მიხედვით, რადგან მშენებლობაზე იმდენი კაცი მუშაობდა, რომ მათი დამახსოვრება შეუძლებელი იყო, ადონირამმა შემოიღო საგანგებო ჟესტების, შეხებებისა და იდუმალი სიტყვების სისტემა. ამგვარად, ჯამაგირის დარიგებისას უცხო ადამიანს არ შეეძლო შეღწევა. მოგვიანებით ჟესტებისა და სიტყვების ამავე სისტემას იყენებდნენ მასონებიც.

მაგრამ ლეგენდარული ადონირამი სწორედ ამ თავის გამოგონებას შეეწირა: ოთხმა სარქალმა განიზრახა თვით ადონირამის საიდუმლო სიტყვის გაგება. თანამზრახველები მას ტაძარში ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ადონირამმა ოსტატის საიდუმლო სიტყვა არ გაამხილა. სარქლებმა ოსტატი მოკლეს და უდაბნოში დაფლეს. მეფე სოლომონმა ცხრა ოსტატს დაავალა ადონირამის ან მისი გვამის მოძებნა. ბოლოს და ბოლოს, ნახევრად გახრწნილ ცხედარს მიაგნეს და მის მპოვნელ ოსტატებს აღმოხდათ სიტყვა machenac, რაც “გახრწნილს” ნიშნავს. ყველანი შეთანხმდნენ, რომ იმ დღიდან სწორედ ეს იქნება ოსტატის საიდუმლო სიტყვა.

ადონირამის დაკრძალვაზე ყველა ოსტატი ქათქათა წინსაფრით გამოცხადდა იმის საჩვენებლად, რომ არც ერთს არ შეუბღალავს თავი წინამძღვრის სისხლით.

როგორც ვხედავთ, გვიანდელ ხანაში შექმნილი ეს ლეგენდა აღსავსეა მასონური სიმბოლიკით (საიდუმლო სიტყვები, თეთრი წინსაფრები და სხვა), რომელიც ვერასოდეს იარსებებდა სოლომონის ეპოქაში.

მასონურ ლეგენდებს, გარდა მოძრაობის სიმბოლური საფუძვლისა, კიდევ ერთი ფუნქცია აქვთ: აუცილებელია რომ ახლად შექმნილი იდეური მოძრაობა ეყრდნობოდეს ავტორიტეტულ წყაროს. საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემაზე ავტორიტეტული კი, რა თქმა უნდა, არაფერი არსებობს. ამიტომაც XVIII საუკუნის მასონებმა აირჩიეს ერთი მხრივ ქრისტიან მოწამეთა შესახებ არსებული გადმოცემები, მეორე მხრივ კი საღვთო წერილი.

მაგრამ ძნელი იქნება მათი დადანაშაულება რაღაც შეგნებულ თაღლითობაში, რადგან მასონთა დახურული ორგანიზაცია, რომელშიც არისტოკრატიის წარმომადგენლები შედიოდნენ, ეყრდნობოდა ლეგენდარულის გარდა ისტორიულ საფუძვლესაც: ეს იყო შუა საუკუნეებში ძალიან გავრცელებული ხელოსანთა კორპორაციები.

### ქმედითი მასონობის წანამძღვრები

ბევრი მკვლევარი ხელოსანთა კორპორაციების წარმოშობას უკავშირებს ე. წ. კოლეგიებს, რომლებიც ჯერ კიდევ ანტიკურ რომში არსებობდნენ. მათ შორის ირიცხებოდა ხუროთა და ქვისმთლელთა კოლეგიებიც. ეს გაერთიანებები პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებდა თავის წევრებს და იცავდა მათ. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა მომდევნო ეპოქაში ამგვარი წარმონაქმნების არსებობა მათ „ისტორიულ წინამორბედებთან“ დაკავშირებს. გარკვეულ სოციალურ პირობებში ასეთი გაერთიანებები თავისთავად წარმოიშობა.

რა პირობები უწყობს ხელს კორპორაციების დაარსებას?

ჯერ ერთი, კორპორაციის წევრები არ უნდა ეკუთვნოდნენ პრივილეგირებულ სოციალურ ჯგუფს. სწორედ ამის გამო გრძნობენ ისინი გაერთიანების აუცილებლობას და იმასაც, რომ საზოგადოება აუცილებლად დახურული უნდა იყოს. ამგვარი კედლის მიღმა დაცულობის შეგრძნება მატულობს.

მეორეც, კორპორაციის წევრები აუცილებლად უნდა იყვნენ გაერთიანებულნი ერთი პოზიტიური მიზნითა და ცხოვრების წესით. ხელოსანთა შემთხვევაში, ეს მიზანი და ცხოვრების წესი თვით ხელობაა. მასონებისთვის კი ერთიანი სულიერი მრწამსი, რიტუალი, საზიარო სოციალური იდეალები.

ბუნებრივია, შეიძლება დავსვათ შეკითხვა: პირველ მასონთა ლოჟებში ვხედავთ უმსხვილეს ფეოდალებს, თავისი დროის გავლენიან და უმდიდრეს ადამიანებს, როგორღა ეთანხმება ეს გარემოება კორპორაციის წარმოქმნის პირველ პირობას? მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისისთვის უკვე საკმაოდ განვითარებული იყო აბსოლუტისტური მონარქია. ამ პირობებში კი ვერც ერთი დიდგვაროვანი უკვე ველარ გრძნობდა თავს არხეინად. მონარქიული ხელისუფლების უსაზღვრო ზრდა, უპიროვნო და ძლიერი სამეფო ბიუროკრატიის წარმოშობა ისეთივე ორჭოფულ მდგომარეობაში აყენებდა ცალკეულ ჰერცოგებსა თუ გრაფებს, რომლის მსგავსშიც იმყოფებოდნენ ორი თუ სამი საუკუნით ადრე ქალაქელი ხელოსნები.

ამავე დროს, შუა საუკუნეები, ანუ საკუთრივ მასონთა წარმოშობის წინამორბედი ეპოქა ასოციაციური წარმონაქმნების მრავალფეროვან მაგალითებს შეიცავს.

მათგან უმთავრესია მშენებელთა სამონასტრო გაერთიანებები, საძმოები და გილდიები. ეკლესია-მონასტრების მშენებლობით დაკავებულ ამ კორპორაციებს ევროპის ისტორიაში VI-VII საუკუნეებიდან ვხედავთ. იმხანად იტალიური მეხსიერების შემორჩენილი ერთადერთი არქიტექტორის სწორედ ამგვარი ასოციაციების წევრები იყვნენ. ბევრმა საეპისკოპოსო ხარისხიც მიიღო. ესენია: ლიონი და გრიგოლი, ტურის ეპისკოპოსები; ფურიელი, ლიმოჟის ეპისკოპოსი; დალმაციუსი, როდეზის ეპისკოპოსი; აგრიკოლა, შალონ-სიურ-სონის ეპისკოპოსი და სხვები.

ეს ოსტატები ხელობას სწავლობდნენ გოთებისა და ბურგუნდების ძველ სამეფოებში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ხუროთმოძღვრული ტრადიციები. სწორედ აქედან იღებს სათავეს გოთური არქიტექტურა. მართლაც, ტერმინი “გოთირი” გაცილებით უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე ის სტილი, რომელსაც დღეს ამ ტერმინით მოვიხსენიებთ: სიტყვა პირველად გვხვდება მემატიანე ფრიდეგოდის ნაწერებში, რომლებიც 950 წლით თარიღდება.

თუ არქიტექტურის ისტორიას ხუროთმოძღვართა საძმოების კუთხით შევისწავლით, აღმოვაჩენთ, რომ რომანულსა და გოთურ სტილებს შორის დიდი პრინციპული განსხვავება არაა, რადგან ორივეს სათავეში ბენედიქტელთა ორდენის ბერები დგანან. ორი არქიტექტურული სტილის დაპირისპირების იდეა წარმოიშვა მხოლოდ XI-XII საუკუნეების შემდეგ, როცა მშენებელთა სამონასტრო საძმოების პარალელურად წარმოიშვა ახალი, საერო კორპორაციები. სწორედ XI საუკუნეში განიცადა ევროპამ პირველი და უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული აფეთქება: საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, მიწათმოქმედების ხარისხი და ეფექტურობა, გაფართოვდა საერთაშორისო ვაჭრობა. ამის გამო გაძლიერდა კანონიერება და საკუთრებაც უფრო დაცული გახდა.

პირველი საერო ოსტატები საეკლესიო ხუროთმოძღვართა მოწაფეები იყვნენ. მონასტრებიდან ისინი საერო ცხოვრებაში გადადიოდნენ, სადაც შეკვეთები უკვე მხოლოდ ტაძრების კი არა, ფეოდალთა ციხე-დარბაზების ასაშენებლად მოდიოდა. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ცოდნა კიდევ უფრო გავრცელდა და საერო ოსტატების რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა საეკლესიო არქიტექტორთა რიცხვს. სწორედ მაშინ, XII საუკუნიდან იქმნება ნამდვილი სამონასტრო საძმოები: ხუროთმოძღვრები ერთიანდებიან, რადგან მონასტერი უკვე აღარაა ცოდნისა და სიმდიდრის უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი: ისინი უკვე მხოლოდ მონასტერს ველარ დაეყრდნობიან და ამიტომაც გრძნობენ გაერთიანების აუცილებლობას.

მაშინვე ჩნდება გაერთიანების იურიდიული არსებობის კიდევ ერთი ფორმა — გილდია. ეს კავშირი დამახასიათებელია გერმანული და ანგლო-საქსური ქვეყნებისთვის და სათავეს იღებს ძველი გერმანული სუფრული ადათისგან. ჯერ კიდევ რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი ამბობს, რომ გერმანელებს ჩვევად ჰქონდათ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა საერთო ღრეობისას. ქრისტიანული ზიარების, საერთო სერობის იდეა მშვენივრად შეეხამა ძველ გერმანულ წესს. ასე წარმოიშვა თანამეინახე ხელოსანთა გილდია. VII საუკუნიდან ამ გაერთიანებებს რელიგიური და საზოგადოებრივი სახე ჰქონდა, XII საუკუნიდან კი ჩნდება ვაჭართა და ხელოსანთა გილდიებიც.



თავიდან მათი მოღვაწეობა იმართებოდა წესებით, ამიტომაც მათ რეგულარული კორპორაციები ეწოდებოდა, მოგვიანებით კორპორაციის წევრად მიღების რიტუალში შეიტანეს ფიცის დადების ელემენტი და, შესაბამისად, სახელიც შეიცვალა — ამ დროიდან მათ ნაფიც კორპორაციებად მოიხსენიებენ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ კორპორაციათა არსებობა და მოქმედება ყოველთვის დაპირისპირებული იყო სამეფო ხელისუფლებას, ან რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის ცდილობდა კორპორაციების გაუქმებას. პირიქით, XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, **ლუი IX**-ის მეფობაში სწორედ სამეფო ბიუროკრატიის მხრიდან მოხდა პარიზის ხელოსანთა საძმოების აღრიცხვა და მათთვის ერთიანი სავალდებულო წესდების რეგლამენტირება. ამ საქმეს ჩინებულად გაართვა თავი **ეტიენ ბუალომ**, სამეფო სასამართლოს უფროსმა მოხელემ, ანუ პრევომ, როგორც მას საფრანგეთში უწოდებდნენ.

რა თქმა უნდა, ყოველ ცალკეულ კორპორაციას თავისი წესდება ჰქონდა, მაგრამ მისი ტექსტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჰარმონიზებული ძირითად კანონთან. როგორც ვხედავთ, ხელისუფლების მოქმედების ფორმალიზება წერილობითი კანონის მეშვეობით ევროპაში ძალიან ადრე დაიწყო. მართალია, ამ კანონის ასამოქმედებელი მექანიზმები ჯერ სუსტი იყო, მაგრამ კანონის უზენაესობის იდეა თავიდანვე არსებობდა და ევროპული საზოგადოების ისტორია შეიძლება ამ იდეის განხორციელებასთან მუდმივ მიახლოებად განვიხილოთ.

მაგრამ რატომ მაინცდამაინც მასონები? რატომ ეწოდებოდა 1717 წელს ინგლისში შექმნილი პირველი დიდი ლოჟის წევრებს ქვისმთლელები და არა, მაგალითად, მჭედლები? ბუნებრივია, თუ რეალისტურ თვალსაზრისზე დავდგებით, სოლომონის ტაძრის ლეგენდა ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არ იქნება საკმარისი.

საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეებში, გარდა სამეფო ხელისუფლებით რეგლამენტირებული ხელოსანთა კორპორაციებისა, არსებობდა თავისუფალი საძმოები, რომლებიც საკუთარი განაწესის გარდა არაფერს ექვემდებარებოდნენ და თავისუფლად მოქმედებისა და გადაადგილების საშუალებას ფლობდნენ. ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო გავლენა ჰქონოდა ამგვარ საძმოებზე, ეკლესია იყო. ინგლისში ყველაზე ფართოდ იყო ცნობილი სწორედ თავისუფალ ქვისმთლელთა საზოგადოება, რომელიც XIII-XIV საუკუნეში სწორედ ქვისმთლელებს აერთიანებდა. მათ ააშენეს ინგლისური გოთიკის მრავალი ბრწყინვალე ნიმუში და ქვებზე მრავალი ემბლემა დატოვეს — ძირითადად, ფარგლები და გონიოები, ანუ თანამედროვე მასონთა მიერ ხშირად გამოყენებული სიმბოლოები. იმ დროს — ყველაზე ძველი ხელნაწერი კი 1376 წლით თარიღდება, ინგლისში ოფიციალურ ენად ფრანგული ითვლებოდა. სწორედ ამიტომ ეწოდება კორპორაციის წევრებს **ფრანკმასონები**, ანუ თავისუფალი ქვისმთლელები.

მოგვიანებით, XVIII საუკუნის დასაწყისისთვის, როცა თავისუფალ ქვისმთლელთა სახელი არა თუ დავიწყებას არ ყოფილა მიცემული, არამედ წარსულის ერთგვარი რომანტიზაციის საგანიც კი იყო, ლონდონში შეკრებილმა დიდგვაროვანმა პირებმა თავიანთი დახურული საზოგადოების სახელად სწორედ ეს აირჩიეს.

მართლაც, თავისუფლებას მოწყურებულ არისტოკრატთა მიერ ჩაფიქრებული იდეალური საზოგადოების სტრუქტურა უფრო ადვილად შეიძლება შეადარო შენობას, ვიდრე რომელიმე სხვა ხელობის ნაწარმს. საზოგადოებაც ხომ, შენობის არ იყოს, მრავალი და ერთმანეთთან რთულად დაკავშირებული ელემენტისგან შედგება და მის აგებასაც აუცილებლად სჭირდება წინასწარი გეგმა.

თანაც შუა საუკუნეების ქვისმთლელთა უჩვეულოდ თავისუფალ არსებობასა და მათ გათლილ ქვებზე დატოვებულ გაუგებარ ნიშნებში ისე ადვილად შეერწყა ძველი და ახალი აღთქმა, სარწმუნოებისა და აზროვნების საწყისები. მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო, რაც ერთნაირად ხიბლავდა როგორც საზოგადოების წევრებს, ასევე მის გარეთ მყოფებსაც: ძლიერი და მიუწვდომელი საიდუმლოს შეგრძნება.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

სახელი ______________________ მისამართი

გვარი ______________________

ასაკი ______________________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______________________

სიმაღლე ______________________

**1** ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

**2** შვილები: (თუ გყავთ)

**3** პროფესია :

**4** სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

**5** ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

**6** სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

**7** სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

**8** თქვენი ინტერესები

**9** თქვენი ჰობი

**10** თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

**11** როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

**12** როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

**13** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა__________________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მოხერხებულ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი შევსება

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ წებოვანი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი




1. ფარული მოქმედება, ხრიკები; 2. თოფის ლულაზე ჩამოსაცმელი ცივი იარაღი; 3. ამერიკელი კინომსახიობი; 4. ქალაქი აშშ-ს აღმოსავლეთში; 5. ძროხის ნაშიერი; 6. 1995 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი; 7. გულის შიდა გარსის ანთება; 8. ვაზის ნასხლავი; 9. პ. ჩაიკოვსკის ბალეტი; 10. საირიგაციო ნაგებობა; 11. ქიმიური ელემენტი; 12. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება; 13. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში 1960-61 წლებში; 14. გადასახლებაში გაგზავნილ პატიმართა ჯგუფი მეფის რუსეთში; 15. სპეციფიკური სუნისა და გემოს საკმაზი მწვანილი; 16. ცეცხლსასროლი იარაღი; 17. სოფელი მესტიის რაიონში; 18. რომის პაპის გვირგვინი; 19. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა; 20. "ლიონის" ბრაზილიელი ნახევარმცველი; 21. მწვავე ინფექციური დაავადება ბავშვებში; 22. ლოგიკური ან ეთიკური პრინციპების მოკლე ფორმულირება; 23. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება; 24. ამერიკული რელიგიური სექტის წევრი; 25. ზურგის ტვინის ანთება; 26. რუსული, სიმებიანი მუსიკალური საკრავი; 27. არაძვირფასი ქვებისა და ლითონის სამკაული; 28. რუსული მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი; 29. ოპტიკური ხელსაწყო; 30. თვითმპყრობელობაზე დაფუძნებული მმართველობის ფორმა; 31. გოგი ქავთარაძის როლი ფილმში "მაცი ხვიტია"; 32. ზამთრის მე-15 ოლიმპიადის მასპინძელი; 33. მე-16 საუკუნის იტალიელი ფერმწერი; 34. მაჰმადიანთა დღესასწაული.

## TV პროგრამა

6 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ჯეტიქსი **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "მეტროში მომხდარი ამბავი" (გ) **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **18.55** უცნობი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "ჩელსი" -"ბაიერნი" **02.00** ჩემპიონთა ლიგა. "მილანი" -"ინტერი" **03.45** პატრული

### ІІSІІ

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

**08.00** "ადრე" **22.00** დოკ. ფილმი "კოსმოსური ოდისეა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - კახა ლომაია **16.30** დოკ. ფილმი "ო, მოდა, მოდა" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ" მე-2ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ანტიკური საბერძნეთის გმირები" **23.00** ახალი პროექტი - "ტაძართმშენებლობა" **23.30** კინოსამყარო "ზვავი" (12) **02.10** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 13.00, 17.20, 00.30** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "სამარხების მძარცველნი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "ნუ მოკვდები მარტო" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "ვალი", "ათი სუტკა ჰაუტვახტში", "კვალი". **23.45** მხ. ფილმი "მევრჩები" (18) (სოფი მარსო)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **21.45** სპექტაკლი "სოფლის აშიკი" **22.35** კინოსეანსი "შემსრულებელი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **12.20, 17.10, 02.10** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ცეცხლოვანი უდაბნო" მე-3-4ს. **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 01.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **22.55** "უცნობი საქართველო" **23.25** მხ. ფილმი "იმიტატორი" (15) (ს. უივერნი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.30** სათავ. ფილმი "ლილიპუტები და გოლიათები" **13.15** მუს. კომედია "ქალებს გაუფრთხილდით" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** ფანტასტიკა "ნემეზიდის ვარსკვლავური გზა" **17.00** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "მონალიზას ღიმილი" **23.00** დოკ. ფილმი "ზიგმუნდ ფროიდი" **00.00** საინფორმაციო დაიჯესტი **00.25** თრილერი "სისხლიანი სამუშაო"

### 1 ОРТ

**06.00** Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Илья Носков в многосерийном фильме **"АЗАЗЕЛЬ". 1**-я с. **13.20** Леонид Филатов в детективе **"ПЕТЛЯ". 1**-я с. **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Ивар Калныньш в детективе **"УДАР ЛОТОСА: ЗАГАДКА СФИНКСА". 1**-я с. **16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Тульская бойня". **1**-2 с. **19.50** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 21.00** Время. **22.40** Тайны века. "Кража в Кремле". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Чарльз и Камилла". **00.30** Ударная сила. "Сезон космической охоты". **01.20** Кевин Костнер в фильме **"ВОЙНА".** Ветеран вьетнамской войны Стивен Саймонс уже много лет живет в постоянных душевных терзаниях. Во время боевых действий он бросил тяжело раненого друга: в вертолете было только одно место. Стивен так и не смог простить себе этого поступка, психологическая травма осталась навсегда. Работы ему найти не удалось, семья живет в бедности. К тому же сын Стивена враждует с местными мальчишками, отношения ребят приобретают характер затяжной войны... **03.40** Мэтти Лиу в фильме **"ВОЛНА СТРАСТИ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Особо опасен! **10.50** Сериал **"СЛЕПОЙ". 11.55** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 13.30** Чистосердечное признание. **14.00** Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 3-й. **"ВОСТОЧНЫЙ РУБЕЖ". 2**-я с. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.35** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 20.40** Сериал **"СЛЕПОЙ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** Закл. с. **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 02.25** Бильярд. **03.10** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ". 04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 05.05** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2". 05.50** Чрезвычайное происшествие.

# რუდოლფ ნურიევი ბრუნდება... მოდიდან

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში






თუ დავუჯერებთ ცეკვის უდიდესი მაგის, რუდოლფ ნურიევის დრამატულ ცხოვრებაზე დაფუძნებული, სულისშემძვრელი რომანის "მოცეკვავეს" (Dancer) ავტორს კოლამ მაკკენს, "ყველაფერი შარფებიდან დაიწყო". თავის გმირზე ავტორი წედა: "ის ატარებდა მუქი შეფერილობის შარფებს, რომლებსაც პარიზში, რიუ დუ ბაკზე "მისონისთან" ყიდულობდა. თანდათანობით, რამდენიმე წლის განმავლობაში, ის იმდენად დაუახლოვდა მაღაზიის მფლობელს, რომ მაღაზია კვირას, დილის საათებში, მხოლოდ მისთვის იღებოდა".

შარფებს მოყვა კოსტიუმები, რომლებსაც მისთვის კერავდნენ ნემსისა და მაკრატლის ჯადოქრები სევილ როუდან (ძვირად ღირებული მკერავების ქუჩა ლონდონში). შემდეგ შეკვეთილი ჩექმები საუკეთესო იტალიელი მეწაღეებისგან. და ასე, - შარფები, კოსტიუმები, ჩექმები - ამ ჯაჭვით დაიწყო რუდის "მატერიალურ კულტურაზე" გაგიჟება, რომელიც მისი სიმდიდრისა და დიდების ზრდასთან ერთად სულ უფრო ღრმა და დახვეწილი ხდებოდა. ზოგიერთი ფსიქოანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს "დიდებული ნივთის სინდრომი" ნურიევის უბედური ბავშვობის ქვეცნობიერი "კომპენსირებული და დაგვიანებული რეაქციაა".

ასეა თუ ისე, "კოსტიუმ ნაციონალის" (Costume Nacional) მთავარმა დიზაინერმა ენიო კაპაზამ თავისი ახალი კოლექციის შექმნისთვის, რომლის დემონსტრაცია ამ დღეებში მილანში ხმაურიანი წარმატებით მიმდინარეობდა, ნურიევი შთაგონების წყაროდ გამოიყენა. დიზაინერი იგონებს: "ერთხელ ვმუშაობდი რუდისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენაზე. სწორედ ამ დროს დამებადა ექსტრემალური კაცური ელეგანტურობის კოლექციის შექმნის იდეა, რომელიც არა სამოცდაათიანი წლების ჰიპური, არამედ სექსოფილური ექსცენტრული ბრწყინვალების იქნებოდა".

და უნდა ვაღიაროთ - ჩანაფიქრი გამოუვიდა. ჩვენება იყო დიდებული, ექსცენტრული და გრანდიოზული. ერთი კვირის განმავლობაში წარმოდგენილი იყო 54 შოუ, 52 ბრენდული ჩვენება და 57 კერძო პრეზენტაცია! ენიო კაპაზა პლანეტის მამაკაცურ ნახევარს თითქოს კარნახობდა, თავს ახვევდა ნურიევისეულ სილუეტებს შემოდგომა-ზამთრის 2005 წლის მოდის სეზონისთვის. რა თქმა უნდა, იმ მამაკაცთა ნახევარს, რომელთაც წვრილი წელი და სქელი ჯიბე აქვს. გაოგნებული მაყურებლის თვალწინ მიცურავდნენ, თუმცა, არა როგორც ჩაიკოვსკის "გედების ტბის" გედები, მანეკენები სხეულზე მჭიდროდ შემოტმასნილი ტუნიკებით, თხის ტყავისგან შეკერილი ჰიმალაური ქურთუკებით, ზამშის კოსტიუმებით, ტყავის ვიწრო პიჯაკებით, ჰუსარის ქამრებითა და კაზაკური ქუდებით. მანეკენები რუფუს აინრაიტის მანერული სიმღერის ფონზე მოძრაობდნენ, რასაც სამოცდაათიანების სექსოფილურ აზრისზე და შიდსის ეპიდემიის აფეთქების დროინდელ "თავქარიან ეროტიზებულ ხასიათზე" "მოგონებები უნდა აღეძრა" (ნურიევი შიდსის მსხვერპლი გახდა. - მ.ს.).

ნურიევი სცენაზე კლასიკური მოცეკვავე იყო, მაგრამ თეატრის კედლებს მიღმა, მაპატიეთ და, გაბღენძილ ფარშევანგს ჰგავდა. თუმცა, ამას მოცეკვავის იმიჯის, ეპატაჟისა და ეშმაკობის გარეშე ტანსაცმლის მნიშვნელობის, როგორც მამაკაცის იდენტიფიკაციის მისეული გაგების, გამართლება ჰქონდა. რომანტიკული საყვარელი სცენაზე, ნურიევი ცხოვრებაში ყოველგვარი ჰომოსექსუალური სისუსტის გარეშე "კერკეტი კაკალი" ბიჭის როლს თამაშობდა. ნურიევი ნარცისი იყო და ის თავის გარეგნობას, თუ შეიძლება სიკეთესთან ანალოგიით ასე გამოვხატოთ, ნარცისიზმს "მუშტებით" მოსავდა. მამაკაცების მოდის ჟურნალები რამდენიმე წლის განმავლობაში ნურიევის სპეციფიკური ნარცისიზმის პრომოუშენით იყვნენ დაკავებული. ახლაც კი მას მამაკაცების ახალი თაობის - გამბედავი, მაგრამ გაპრანჭული, მოჩხუბარი, მაგრამ სუნამოდაპკურებული, მათ, ვისაც მეტროსექსუალურის სახელი აქვთ მიკერებული (ჩვენებურად სექსუალურად დაინტერესებული მამაკაცები) - სიმბოლოდ და მოდელად მოძღვრავენ.







# მოსკოვი-ლისაბონი-თბილისი

## "ერისიონი" სამშობლოში კონცერტის ჩასატარებლად ემზადება

ია ვეკუა




ქართველი მაყურებლისთვის დღემდე მზეთუნახავის როლში მყოფი ანსამბლი "ერისიონი" "ქართულ ლეგენდას" კვლავ უცხოელი მაყურებლისთვის წარმოადგენს. 15 აპრილს ანსამბლის 65-კაციანი შემადგენლობა მოსკოვში მიემგზავრება და კრემლის სახელმწიფო დარბაზში 16 და 17 აპრილს ორ კონცერტს გამართავს.

ქართული ეროვნული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი წელს 120 წლის ხდება და ეს გასტროლები სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით იმართება. "ერისიონი" ლეგენდარულ პროგრამას მოსკოვში მეორედ წარმოადგენს. შარშან იმავე დარბაზში ანსამბლმა უკვე გამართა კონცერტი, რომელიც რუსულმა პრესამ მაშინვე სენსაციურ მოვლენად მონათლა.

"გლობალური მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო პროექტი "ქართული ლეგენდა" ფენომენალური მოვლენაა, რომელიც ქართული კულტურის განვითარების 15-საუკუნოვან ისტორიას აერთიანებს. დრამატურგიისა და დინამიკის თვალსაზრისით არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიოში ცნობილ Riverdance-ს და Lord of the Dance-ს. ეს შოუ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილბიუჯეტიანი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფოლკლორული სანახაობაა, რომლის რეალიზებაში ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება", - წერს ერთ-ერთი რუსული ინტერნეტ-გამოცემა, რომელიც მაყურებელს მოუწოდებს, ხელიდან არ გაუშვას ქართული ფოლკლორის დაგემოვნების მორიგი შანსი.

მოსკოვური გასტროლების შემდეგ ანსამბლი ცოტა ხანს შეისვენებს და პორტუგალიისკენ აიღებს გეზს. ლისაბონში 2-დან 12 მაისის ჩათვლით "ერისიონი" 6 კონცერტს გამართავს.

გულდაწყვეტილი არც ქართველი მაყურებელი დარჩება - საკუთარ იუბილესთან დაკავშირებით, "ერისიონი" თბილისში კონცერტის ჩატარებას გეგმავს, რაც, სავარაუდოდ, ოქტომბერში მოხდება. მაშინ ვნახავთ, რას გვიმალავდა ანსამბლი ამდენ ხანს და რით შეძლო მსოფლიოს გაოცება.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

# ცვლილება ლუვრში

დღეიდან ლეონარდო და ვინჩის "მონა ლიზას" ლუვრის სტუმრები საგანგებოდ ამ შედევრისთვის გამოყოფილ დარბაზში იხილავენ.

"ჯოკონდას" სახელმწიფო დარბაზის ორი მესამედი, 840 კვადრატული მეტრის ფართობი დაუთმეს. ცვლილება, რომელიც პერუელი არქიტექტორის ლორენცო პიკერასის პროექტის მიხედვით განხორციელდა, დაახლოებით ოთხი წელიწადი გრძელდებოდა და 5 მილიონ ევრომდე დაჯდა.

გადაწყვეტილება - "მონა ლიზას" ცალკე დარბაზი დათმობოდა, ლუვრის ადმინისტრაციამ მიიღო. მათი აზრით, შედევრი ძველ ადგილას, იტალიელი ფერმწერების ნამუშევრების გვერდით იკარგებოდა, დამთვალიერებლს კი რიგში დგომა უწევდა და ვინჩის გენიალური ქმნილებისთვის თვალის შესავლებად. ამასთან ერთად, სპეციალისტებიც სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევენ სიახლეს და ამბობენ, რომ ამიერიდან უფრო იოლად უზრუნველყოფენ ნამუშევრისთვის საჭირო ტემპერატურულ რეჟიმს. როგორც ამას წინათ შენიშნეს ექსპერტებმა, დაფა, რომელზეც შესრულებულია ნამუშევარი, მზრუნველობის მიუხედავად, დროთა განმავლობაში მცირე დეფორმაციას განიცდის.

როგორც ცნობილია, ლეონარდო და ვინჩიმ პორტრეტზე 1503 წელს იმუშავა, ხოლო ფლორენციიდან გადაბარგებულ მხატვარს ნამუშევრის დასრულება მილანში მოუხდა; მეფე ფრანცისკ პირველის მიწვევით საფრანგეთში წასულმა და ვინჩიმ ნამუშევარიც თან წაიღო. "მონა ლიზამ" საფრანგეთის უდიდეს მმართველზე შთაბეჭდილება მოახდინა და პორტრეტი საკუთარი სასახლისთვის მოისურვა. მოგვიანებით "ჯოკონდამ" გადაინაცვლა ლუვრში, შემდეგ კი - ვერსალში; გარკვეული ხანი პარიზის ტიულრის სასახლეშიც დაყო, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კი სამუდამოდ დამკვიდრდა ლუვრში. 1911 წელს სურათი დაიკარგა, თუმცა, მალევე ის იტალიაში იპოვეს. როგორც გაირკვა, ვინმე ვინჩენცო პერუჯამ, რომელიც ჭკუას კარგავდა "ჯოკონდაზე", სურათის სამშობლოში დაბრუნება მოინდომა. საფრანგეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების შედეგად იტალიურმა მხარემ "მონა ლიზა" წარადგინა ფლორენციის, რომისა და მილანის მუზეუმებში, რის შემდეგაც შედევრი ლუვრს დაუბრუნდა. მეორე მსოფლიო ომის დროს "ჯოკონდა" საგულდაგულოდ გადამალული ჰქონდათ პროვინციებში; 1956 წელს ბოლივიელმა, ვინმე უგო უნგაზამ სურათს ქვა ესროლა; სწორედ ამ ინციდენტის შემდეგ ტილო საგანგებოდ ჯავშნიან მინაში ჩასვეს.

შემდეგ "მონა ლიზამ" ორჯერ დატოვა ლუვრი: გასული საუკუნის 60-იან წლებში გაემგზავრა შტატებში სამოგზაუროდ, ხოლო 70-იანებში შედევრი ტოკიოსა და მოსკოვშიც ნახეს.


# განცხადება

სამშენებლო მასალების მომწოდებელი უმსხვილესი უცხოური კომპანია იწვევს საქართველოში დასაარსებელ წარმომადგენლობაში დირექტორს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

25-40 წლამდე მამაკაცი; უმაღლესი ტექნიკური განათლება; სასურველია დამატებითი განათლება ეკონომიკის მართვის და მარკეტინგის სფეროში;

წარმატებული ხელმძღვანელის გამოცდილება ტექნიკური პროდუქციის გაყიდვების სფეროში არა ნაკლებ 2 წლის მუშაობის სტაჟით; ეკონომიკური საქმიანობისა და ბიუჯეტის დაგეგმვის სტრატეგიული და ოპერატიული მართვა; კომპიუტერის გამართული ცოდნა; რუსულის და ინგლისური ენების საფუძვლიანი ცოდნა; ავტომანქანის ქონა.

რეზუმე გთხოვთ გამოაგზავნოთ
e-mail: region@ruflex.ru
ფაქსი:+7095 424 75 97
(ალექსანდრე კოჩეტოვისთვის)



# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.